ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი · შაბათი 13 აპრილი 2002 №65 (1587) · ფასი 50 თეთრი


# ეჭვიანი პარასკევი

## არც ფედერაციაა ოტელო და არც ტორპედოა დეზდემონა




„მერანი“ — „ტორპედო“ 1:2. გუშინ ავჭალაში ჩემპიონატისა და „ტორპედოს“ ბომბარდირმა ანდრი პორომინმა მეთოთხმეტე გოლი მიითვალა

რას მოვესწარით — საქართველოში მოდიან, აზერბაიჯანში ბარგი შეკრა და მშობლიურ „გორდაში“ ბრუნდება გიორგი კილასონია, ვისი ფეხებიც რუსთავის კლუბს პაერივით სჭირდება, გაგუდული პირველ ლიგაში რომ არ ჩაიძიროს, ხოლო კილასონიას ზაზა ჯანაშიამ ერთი დღით ჩამოასწრო კიდეც. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ დროს უცვლელმა ფორვარდმა რუსეთში ადგილი დაკარგა და თბილისში პპოვა. საქართველოს დედაქალაქელ რკინიგზელებს ზეჭქსეულის მორიგი მატჩი დღეს ელით, ჯანაშიას ვარჯიშიც მოუსწრია და წესით, მოედანზე უნდა ვიხილოთ, რაც „ლოკომოტივის“ საჩემპიონო ზრახვებს ერთიორად მომეტებულ ელფერს შეჰმატებს. „ლოკომოტივი“ „დინამოს“ ეთამაშება, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის ფულითა და ივო შუშაკის ტვინით მოლონიერებული საჩემპიონოდ იქაჩება, თან შერისხულ თანამშრომელს მეტისმეტი სისასტიკით ეპყრობა. ზაზა ზირაქიშვილი შეკრების თვითნებური დატოვებისთვის კლუბმა ჯერ დისკვალიფიკაციით დასაჯა, ახლა კი კაპიკ ხელფასსაც აღარ უხდის: ნეტავ რომელი კონტრაქტის თანახმად?

საჩემპიონო ამბიცია ქუთაისის „ტორპედოს“ ჯერ კიდევ სხვებზე მეტი აქვს. რიონის ფშანზე გაზრდილმა ბიჭებმა მე-3 ტურის ავჭალური მატჩი „მერანთან“ გუშინ ჩაატარეს, დასავლეთისკენ გამარჯვებულნი წავიდნენ, დატოვეს კი მღელვარე ეჭვი, რომელმაც დიდი გაჭირვებით ქართული ფეხბურთის ოფიციოზიც აამოძრავა და შეაქმნევინა კომისია „ტორპედო“ — „კოლხეთი“ — „მერანის“ ჩაწყობითი შეთქმულების (თუ ასეთი არსებობს) გამოსამზეურებლად. რას იტყვის კომისია „მერანი“ — „ტორპედოს“ გუშინდელ თამაშზე ჯერ არ ვიცით, მაგრამ ზემორე ეჭვი გუშინდელ მატჩსაც ახრდილივით დასტრიალებდა და ოდნავაც არ განელებულა.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

# მანჩესტერი — არსენალი გადადებულია, იუვენტუსი — მილანი გადიდებულია

ამ უქმეებზე ევროპულ ჩემპიონატებში მორიგი ტურებია. მორიგი თავისთავად ჩვეულებრივს ნიშნავს, მაგრამ შესაძლოა, სწორედ რომ არაჩვეულებრივი გამოდგეს. მიზეზი მარტივია — სეზონი დასასრულს უახლოვდება, ბოლომდე დივიზიონებში ოთხი-ხუთი ტურიღა დარჩა და ზღვარგადასულ დაძაბულობას თუ გავითვალისწინებთ, ჩემპიონობის მაძიებელთათვის ერთი წაფორხილება ეგებ საბედისწეროც გამოდგეს, შეცდომის გამოსასწორებლად ხომ დრო, ფაქტობრივად, აღარ დარჩებათ.

დავუშვათ, სერია A-ში „ინტერმა“ და „რომამ“ მოიგეს, ხოლო „იუვენტუსმა“ „მილანთან“ წააგო — ტურინული კლუბი საჩემპიონო რბოლას ჩამოსცილდება. ამავე დროს ისეც შეიძლება მოხდეს, ცხრილის სათავეში სწორედ „იუვე“ მოექცეს და სეირი მაშინ ნახეთ...

ან ესპანეთში, „რეალი“ და „ვალენსია“ ხომ ერთმანეთის დამარცხებაზე ოცნებობენ, ორივენი ერთად კი „დეპორტივოსაზე“, კვალში რომ ჩასდგომიათ.

ხოლო თუ „დორტმუნდმა“ ხვალ კაიზერსლაუტერნში წააგო, „ლევერკუზენმა“ კი დღეს ჰამბურგში იმარჯვა, ქვეყანა უნდა დაიქცეს, კლაუს ტოპმიოლერის ბიჭებმა ბუნდესჩემპიონობა რომ დაკარგონ.

აი, ინგლისურ პრემიერლიგაში სეზონის მთავარი მატჩი გადაიდო და ტურმაც მომხიბვლელობა რამდენადმე დაკარგა. დღეს „მანჩესტერ იუნაიტედს“ „არსენალისთვის“ უნდა ემასპინძლა და იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს სეზონის უმთავრესი შეხვედრა იქნებოდა, ცხრილში ჩახედვაც კმარა, მაგრამ ინგლისური ფეხბურთის მამებს სწორედ ამ უქმეებზე მოეპრიანათ „არსენალისთვის“ სათასო მატჩის დანიშვნა და „მანჩესტერიც“ უმეტოქეოდ დარჩა.

ერთი სიტყვით, ამ უქმეებზე გასამართმა ტურებმა, შესაძლოა, ბევრი რამ გაარკვიოს, ან ვითარება კიდევ უფრო ჩახლართოს.

აღდგომა და ხვალეო — ორშაბათს გვეცოდინება.

იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები




პირველ წრეში ტურინელებმა მილანიდან ქულა ალესანდრო დელ პიეროს წყალობით წაიღეს

# დინამო VS ზირაქიშვილი

## სასამართლო, ბორჩალო თუ ბოსმანი?



ზაზა ზირაქიშვილი

**წინა** ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი ზაზა ზირაქიშვილი თბილისის „დინამომ" რომ უსაქმოდ დატოვა, ამის შესახებ „სარბიელში" ბლომად დაიწერა. თუმცა მაინც შეგახსენებთ, რომ ზირაქიშვილმა საშუასეზონო კვიპროსული შეკრების წინ გუნდი თვითნებურად მიატოვა და სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაციასაც გამორჩა.

ზაზასთვის „დინამოს" გათავისუფლების ფურცელი არ მიუცია, კლუბის უფროსობა მხოლოდ იმ კომპრომისზე წავიდა, რომ ფეხბურთელს სხვა გუნდში ვარჯიშის და საკონტროლო თამაშების უფლება ალირსა.

ზირაქიშვილი ერთი პერიოდი გერმანულ კლუბებში ცდილობდა გადასვლას, ჩავიდა კიდეც გერმანიაში, მაგრამ სამშობლოში ხელცარიელს მოუწია დაბრუნება

ამასობაში „დინამომ" კიდევ ერთი ბიძგი სტკიცა ზაზას — ფეხბურთელი კონტრაქტით გათვალისწინებულ ხელფასს აღარ იღებს. ეს ინფორმაცია თვით ზაზა ზირაქიშვილმა დაგვიდასტურა.

მიმართავს თუ არა სასამართლოს ზირაქიშვილი, ჯერ გაურკვეველია. არადა, „დინამო" დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელს საარსებო მინიმუმს კი არა, თეთრსაც აღარ უხდის.

ვერავინ დაძრახავს კლუბს იმაში, რომ გუნდის თვითნებურად მიტოვების გამო ფეხბურთელს დისკვალიფიკაციის გარდა ფინანსურადაც სჯის, მაგრამ მოთამაშესთვის ხელფასის საერთოდ გაუქმება, უპრეცენდენტო ფაქტია. არ ვიცით, ბორჩალოს გუნდებში როგორ ხდება, მაგრამ ცივილიზებულ საფეხბურთო სამყაროში ამ ფაქტის ანალოგი ნამდვილად არ არსებობს.

ისე, ბორჩალოზე თუ მიდგა საქმე, ჟან-მარკ ბოსმანი სულაც ბელგიის მესამე დივიზიონის გუნდში თამაშობდა, მაგრამ მერე საფეხბურთო რევოლუციონერის სახელი დაიგდო...

**დავით თავართქილაძე**

# გეგუჩაძე არაბეთში გაიწვიეს

## ფიფა ქართველს არ ივიწყებს

**თბილისის** „დინამო 3"-ის თავკაცს გია გეგუჩაძეს საქართველოში ერთ-ერთ პერსპექტიულ, ნიჭიერ მწვრთნელად მიიჩნევენ და არცთუ უსაფუძვლოდ. ფიფა-უეფას ეგიდით გამართულ არაერთ სემინარზე ცოდნამიღებული გია გეგუჩაძე ერთ დროს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპის თანაშემწე იყო, თან ამავე მისიას თბილისის „დინამოშიც" ასრულებდა.

მოგვიანებით გეგუჩაძემ რუსთავის „გორდა" ჩაიბარა, თუმცა იქ დიდხანს არ უმუშავია და კვლავაც მშობლიურ დილმის ბაზას დაუბრუნდა. „დინამოს" ხელმძღვანელობამ მას რეგიონულ ლიგაში მოთამაშე „დინამო 3" ჩააბარა. გეგუჩაძეც საქმეს ჩვეულად შეუდგა და იანვარ-თებერვალში ჩატარებულ სასელექციო მუშაობის შედეგად უამრავი ყმაწვილი გასინჯა. საბოლოოდ გუნდი დააკომპლექტა, რამდენიმე მატჩშიც უთავკაცა განახლებულ რეგიონულ ლიგაში და... დღეს გია გეგუჩაძე არაბეთის გაერთიანებულ საამიროებშია...

არ იფიქროთ, ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელი რომელიმე იქაურ კლუბში სამუშაოდ წავიდა. საქმე ისაა, რომ ქალაქ დუბაიში ფიფას ეგიდით მორიგი სამწვრთნელო სემინარი ტარდება. ფიფამ პერსონალური მიწვევა გამოუგზავნა გეგუჩაძეს.

— ფიფამ ადრევე გვაცნობა ამის შესახებ და გიაც უპრობლემოდ გაემგზავრა დუბაიში. ყოველგვარი ხარჯები კლუბმა გაიღო — გვითხრა „დინამოს" პრესატაშემ, დავით ერაძემ.

დაახლოებით სამი კვირაა, გია გეგუჩაძე სემინარზე ცოდნას იღრმავებს. დუბაიში მწვრთნელებს თეორიასთან ერთად პრაქტიკულ მეცადინეობებსაც ჩაუტარებენ. სემინარი თვის ბოლოს დასრულდება და ქართველი მწვრთნელიც სამშობლოში დაბრუნდება.

ზემოთაც ვთქვით, ასეთი ლექციასემინარები გეგუჩაძისთვის უცხო სულაც არაა. ის დეკემბერ-იანვარში ბავშვთა მწვრთნელებს თავადაც უზიარებდა ცოდნას და მათ გამოცდაშიც მონაწილეობდა. მოგეხსენებათ, მაშინ რამდენიმე მწვრთნელმა B კატეგორიის ლიცენზია მიიღო, რაც ბავშვთა ფეხბურთში მუშაობის ნებართვას იძლევა.

**კახა ზალამბერიძე**



გია გეგუჩაძე



განებივრებულნი ნამდვილად არ ვართ იმ ქართველი ლეგიონერების რაოდენობით, ევროპის საუკეთესო ლიგებში რომ თამაშობენ. კახა კალაძეს და „მილანს" საქმეები ძალიან ცუდად ნამდვილად არ მისდით, გიორგი ქინქლაძის „დერბი" კი პრემიერლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია, ხოლო ხუთი ქართველის „ფრაიბურგი", რომელთაგან ზაზა ზამთარაძეს და გიორგი კიკნაძეს ბუნდესლიგაში ჯერაც არ უთამაშიათ, მოულოდნელად აღმოჩნდა გადარჩენისთვის მებრძოლთა შორის — „ფრაიბურგი" ხომ შარშან მე-6 ადგილზე გავიდა და ამ სეზონში უეფას თასზეც მოსინჯა ძალა.

ფოლკერ ფინკესა და ალექსანდრე ჩივაძის გუნდთა შემტევ ალექსანდრე იაშვილს ბოლო ორი ბუნდესლიგური ტურია არ უთამაშია, ანუ მას შემდეგ, რაც 24 მარტს ეროვნულ ნაკრებში გაისარჯა სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ

# ორი აზრის თეორია

## პირველი: ფრაიბურგი ბუნდესლიგის გუნდია

## მეორე: ქვედა ბუნდესლიგა არ მინდა

**— ნუთუ სამხრეთ აფრიკასთან ისე სერიოზულად დაშავდი, რომ ჯერაც არ შეგიძლია თამაში?**

— ასე გამოდის. ორი დღეა, რაც ძუნძული დავიწყე. იმედია, ჯანზე მალე მოვალ, ახლა ხომ შედარებით უკეთ ვარ.

**— სამხრეთ აფრიკასთან მეორე ტაიმის მიწურულს ტრავმის გამო შეგცვალა ჩივაძემ?**

— იმ მატჩში, დროზე რომ დამეტოვებინა მოედანი, ტრავმა, ალბათ, ასე არ გამირთულდებოდა — მაშინ, თამაშის დროს, უკვე ვგრძნობდი ტკივილს, მარჯვენა კოჭის მყესები დამიზიანდა.

**— ცხადია, „მიუნხენ 1860"-ის წინააღმდეგ ვერ გამოხვალ, მაგრამ მომდევნო ტურში თუ შეძლებ თამაშს?**

— არ ვიცი, ეს ჯერ გაურკვეველია, ნაკრებს კი უკრაინაში ვერ გავყვები.

**— „ფრაიბურგი" ახლა ძალიან ცუდ დღეშია. შეგიძლია, რაიმე კონკრეტული მიზეზით ახსნა ყოველივე?**

— საქმე ისაა, რომ მთელი სეზონი წარუმატებლად ჩავატარეთ. კონკრეტულად კი ძნელია, რაიმეს დავაბრალო ეს. მთელი სეზონის განმავლობაში ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც საჭირო იყო და როგორც შეგვიძლია. დასანანია, ყველაფერი საპირისპიროდ რომ შეტრიალდა, „ფრაიბურგი" თავისი შესაძლებლობებით და პოტენციით პირველი ბუნდესლიგის გუნდია.

**— „ფრაიბურგის" ბუნდესლიგაში დარჩენის შანსს, ალბათ, ის ფაქტორიც ასაზრდოებს, რომ არგავარდნისთვის მის უშუალო კონკურენტ „ნიურნბერგს" ერთობ რთული კალენდარი ელის...**

— ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი, რა თქმა უნდა, გვაქვს. მაგრამ მთავარია, ჩვენ მოვიგოთ თამაშები, სხვა რას იზამს, ამის იმედად ვერ ვიქნებით, თუმცა „ნიურნბერგს" დარჩენილ ტურებში ძალიან გაუჭირდება ქულების მოგროვება.

**— ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ „ფრაიბურგი" თუ გავარდა, ალბათ, კლუბის გამოცვლაზე იფიქრებ. თუმცა ასეც რომ არ მოხდეს, იქნებ დროა, სხვა გუნდში მოსინჯო ძალა.**

— ეს რთული საკითხია. ისე, ორი აზრი არ არსებობს, რომ მეორე ბუნდესლიგაში თამაში არ მინდა. კონტრაქტი კი „ფრაიბურგთან" კიდევ ერთი წლით მაკავშირებს, სხვა გუნდში გადასვლა-არგადასვლის საკითხი სეზონის დამთავრების შემდეგ გაცხადდება, ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**— „ფრაიბურგი" რომ ასეთ დღეში აღმოჩნდა, გულშემატკივრებისგან და პრესისგან დიდ ზეწოლას გრძნობთ? ფოლკეს ფინკეს მკაცრად სჯიან და მის გადადგომას მოითხოვენ?**

— მიუხედავად გაწბილებისა, გულშემატკივრები გვერდში გვიდგანან, მათგან კარგის მეტს ვერაფერს ვხედავთ. მაშინაც კი, როცა შინ „დორტმუნდთან" 1:5 წავაგეთ, გვამხნევებდნენ და ტაშს გვიკრავდნენ. ფინკეს გადადგომის შესახებ კი ლაპარაკიც არ არის, თუ, რა თქმა უნდა, თავად მწვრთნელი არ გადაწყვეტს წასვლას.

**დავით თავართქილაძე**



ალექსანდრე იაშვილი (№9) „ფრაიბურგს" ვერც დღეს დაეხმარება

### ინგლისი

პირველი დივიზიონი

XLV ტური

ძოვენთრი 0:1 მილუოლი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXXI ტური

კარლსრუე 1:0 როიტლინგენი

ბოხუმი 3:0 დუისბურგი

ბაბელსბერგი 1:2 ვალდჰოფი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XXIX ტური

დიუსელდორფი 4:1 ოსნაბრიუკი

კილი 0:0 მიუნსტერი

სამხრეთ რეგიონალლიგა

XXIX ტური

ელვერსბერგი 2:1 დარმშტადტი

შტუტგარტი (მ) 1:2 ბურგჰაუზენი

აალენი 7:0 ანსბახი

ოფენბახი 0:0 ბაიერნი (მ)

ფულდა 0:2 კაიზერსლაუტერნი (მ)

### ჰოლანდია

მეორე დივიზიონი

XXXI ტური

დენ ჰააგი 1:0 მაასტრიხტი

კამბური 2:1 ვოლენდამი

ოსი 2:3 ზვოლე

როზენდალი 5:2 ტელსტარი

ჰაარლემი 0:0 ჰერაკლესი

დორტრეხტი 2:1 ვენლო

### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი

XXXII ტური

მარსელი 1:0 პსჟ

### ჩეხეთი

XXVI ტური

ბანიკი 1:0 სპარტა

### ბელგია

პირველი დივიზიონი

XXXI ტური

სტანდარდი 1:1 ბრიუგე

### პოლონეთი

პლეი ოფი. X ტური

ამიცა 0:0 ლეგია

### თურქეთი

XXXI ტური

ტრაბზონი 0:0 მალატია

### რუსეთი

პრემიერლიგა. VII ტური

ტორპედო 1:2 სპარტაკი

### იტალია

სერია B. XXXI ტური

სალერნიტანა 1:0 ემპოლი

### პორტუგალია

პირველი ლიგა. XXXI ტური

მარიტიმუ 0:0 ბოავიშტა


 იყიდება

გაზ–2107 თეთრი ფერის,

1990 წელს გამოშვებული,

კარგ მდგომარეობაში.

ტელ: 39-48-29 (11.00 19.00);
69-89-56 (საღამოს)

კახა



იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მეხამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ².

დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე

ფასი შეთანხმებით

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7

კინოთეატრ "სულიკოსთან"

☎ (231) 7 17 58

ქუთაისში



საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი 13 3 ტური

## I–VI ადგილები

# პირველად იყო ეჭვი

თბილისი. სინათლე. 500 (ტევადობა 3 000). 12 აპრილი. 16 საათი

**მერანი 1:2 ტორპედო**

0:1 პოროშინი (48), 1:1 შენგელია (58), 1:2 დიდავა (84)

მერანი: ნაქცევია, გოგიტიძე, გუჯაბიძე, ძლიერიძე, გაბიდაური (დარსანია 78), ბაჯელიძე (გრიგორიევი 46), კოშკაძე, კ. მეტრეველი, ი. შენგელია, ჭინჭარაული, ზ. კვაკვასკირი (თ. ასათიანი 80). სათადარიგონი: გოგობერიძე, ხიზანიშვილი, კაკაშვილი, იველიანი. მწვრთნელი: ოთარ გაბელია

ტორპედო: ტოგონიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, თოდუა, ქემოკლიძე, დიდავა, იონანიძე (მ. ბაბუნაშვილი 12), პოროშინი, გ. კვარაცხელია, მ. ასათიანი (გოგშარიძე 75), ზე. ქუთათელაძე (ახალკაცი 55). სათადარიგონი: სტურუა, ავალიანი, გამეზარდაშვილი, მალანია. მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

გაფრთხილება: გაბიდაური (14), მეტრეველი (39)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

დარტყმა: 14-16; კუთხური: 1-4; კარისკენ დარტყმა: 6-7; კარში დარტყმა: 3-3; თამაშგარე: 2-2

**ვაჟა ხუციშვილი**

**თუ გინდა,** რომ საქმე არ გააკეთდეს, შექმენი კომისია — არსებობს ასეთი გამოთქმა. კიდევ ერთი: თუ კი რაიმე საეჭვოა, იქ საეჭვო არაფერია. მაგალითად, იგივე ფეხბურთში, როცა მსაჯს საჯარიმოში წესის დარღვევა ეეჭვება, თერთმეტმეტრიანი არ უნდა დანიშნოს. რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან კომისია და ეჭვი? მერის გაჩენამ შექმნა პირველის წინაპირობა, ანუ გაჩნდა ეჭვი, შემდეგ კი შეიქმნა კომისია.

ჯერ კიდევ პირველ წრეში დაიწყო ლაპარაკი ერთგვარ ბერმუდის სამკუთხედზე. ამ სამკუთხედზე, ბოლოს 22 მარტს, დაუფარავად განაცხადა ნუგზარ ჯულელმა. ეს მოხდა „ლოკომოტივი“ — „ბათუმის“ თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. მაშინ „ლოკომოტივის“ პრესატაშემ „ტორპედო“-„კოლხეთი“-„მერანის“ სამეულზე და მათ შორის შესაძლო გარიგებაზე ისაუბრა. ალბათ, ყოველივე ამის გამო ფეხბურთის ფედერაციაში შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელიც სამეულის თამაშებს დაესწრება და სათანადო დასკვნებსაც გააკეთებს. რა თქმა უნდა, თავისთავად ცუდია, როცა მსგავსი კომისიის შესაქმნელად საფუძველი არსებობს, მაგრამ ფაქტია. ცხადია, „მერანი“ — „ტორპედოს“ გუშინდელ მატჩს ზემოაღნიშნული კომისიის წევრებიც ესწრებოდნენ და ნანახის შესაბამის მოხსენებასაც წარადგენენ, სადაც საჭიროა. ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ურიგო არ იქნებოდა, სამეულის თამაშების კომისიისეული დასკვნების გაცნობა. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ხომ უნდა ვნახოთ კომისიის შრომის ნაყოფი.

გუშინდელი „მერანი“ — „ტორპედოს“ მატჩის შემდეგ მავანმა შეზარხოშებულმა გულშემატკივარმა გულარხეინად თქვა — მერე რა, რომ წავაგეთ, ეჭვსეულიდან მაინც არ გავვარდებითო. თუნდაც ამ კაცის ნათქვამიდან ჩანს, რომ პრობლემის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთ-ერთი თავი საიდანღაც განაღდებული არგავარდნის შეგრძნებაა. ბატონმა ოთარ გაბელიამ მატჩამდე განაცხადა, ჩვენთან ვერავინ გაისეირნებსო. არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ „ტორპედომ“ „მერანთან“ გაისეირნა, მაგრამ ხანდახან ყვავილებისთვის მინდორში გასეირნება სულაც არაა საჭირო, ისინი ბაზარშიც იყიდება და მაღაზიაშიც.

რაც შეეხება მატჩს, სამი გოლი გავიდა, რომელთაგანაც განსაკუთრებით ირაკლი შენგელიასი გამოდგა ლამაზი, რამეთუ მცველის ზემოდან თავით გაიტანა. პოროშინს და დიდავას კი სულაც არ გასჭირვებიათ შეგდება. ტრუსებზე ჯიბეები რომ ჰქონოდათ, ჯიბეში ხელებჩაწყობილნიც გაიტანდნენ.




ქუთაისელი მალხაზ ასათიანი (ზურგით) და გიორგი გაბიდაური

# წყენა იქა, გუჩუა აქა



თანაგუნდელების თხოვნამ გაჭრა და „კოლხეთის“ მწვრთნელმა სოსო ფილიამ ვალტერ გუჩუა შეიწყალა

ვალტერ გუჩუასა და სოსო ფილიას შორის მომხდარ ინციდენტზე „სარბიელმა“ გუშინ გაუწყათ. „კოლხეთის“ თავკაცმა ფუტკარივით მუშა ფეხბურთელი გუნდიდან დაითხოვა, უდისციპლინობას არავის ვპატიებო. გუშინ კი...

ფოთის „კოლხეთის“ ფეხბურთელებმა თანაგუნდელი და მეგობარი გასაჭირში არ მიატოვეს, კლუბის ხელმძღვანელობის სახელზე წერილი დაწერეს, ფილიას ვალტერ გუჩუას შეწყალება თხოვეს.

„ფაქტობრივად, მისი ბედი მე უნდა გადამეწყვიტა. ვალტერს დღეს პირადად ვესაუბრე, ვუთხარი, ვიცი, ემოციური კაცი ხარ, მთავარი პროფესიონალიზმი და დისციპლინაა-მეთქი. მანაც გამიგო, შეიგნო დანაშაული, აღიარა, არასწორად მოვიქეციო და ბოდიში მოიხადა. მეც რა უნდა მეთქვა, დავთმე და შევრიგდით. ფაქტია, მისი დარი ფეხბურთელი ძალიან მჭირდება. ვალტერ გუჩუაც „ბათუმთან“ აუცილებლად ითამაშებს, მისი მეიმედება“ — გვითხრა სოსო ფილიამ, როცა გუშინ ფოთში დავუკავშირდით.

ერთი სიტყვით, გუჩუა კვლავაც კოლხია, სულ ცოტა, სეზონის ბოლომდე. სწორედ ამ დროით ინათხოვრა იჯარის წესით „კოლხეთმა“ ვალტერი „ტორპედოდან“.

ფოთელთა თავკაცმა გუშინვე ერთიც გვითხრა. მეკარე მამუკა გვასალია ავადმყოფობის გამო ჯერაც ვერაა ჯანზე და ბათუმელებთან მატჩს გამოტოვებსო. „კოლხეთის“ კარს კი ზურაბ ქვაჩახია დაიცავს.

**გიორგი გუბაძიძე**

# გორდა სასწორზე, გიორგი ბაქანზე

## კილასონია რუსთაველია

**დღეს** ბოლნისში ჩასულ ზესტაფონის „მეტალურგს“ დიდი სიურპრიზი ელის. სიურპრიზი დილით მატარებლით ჩამოვიდა აზერბაიჯანიდან...

ზესტაფონელები „თემურ სტეფანიაზე“ „გორდას“ ეთამაშებიან პრინციპულ მატჩში. ორივე გუნდი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის. უფრო დიდი თავსატეხი კი რუსთაველებს გაჩენიათ, რაკილა სულ რაღაც 8 ქულის ამარა არიან.

დღეს თუ „გორდამ“ ვერ გაიმარჯვა, ჩათვალეთ, რომ უკეთეს შემთხვევაში, გადათამაშებას არ ასცდება. მოკლედ, სასწორზე რუსთაველთათვის სასიცოცხლო სამი ქულა დევს და მათ მატჩამდე გარკვეული უპირატესობა მოიპოვეს — „გორდა“ დღეს გიორგი კილასონიას დააზვედრებს იმერლებს.

უმცროსი კილასონიას გადაბირების პერსპექტივა ორი კვირის წინ გაუჩნდათ რუსთაველებს. დაშლის პირას მისული აზერბაიჯანული „თურანი“, სადაც გიორგი ბოლოს ირიცხებოდა, მზად იყო, ქართველს შელეოდა. რუსთაველებს საკონტრაქტო ფორმალობა ჰქონდათ მოსაგვარებელი, რაც სხვადასხვა მიზეზის გამო გუშინღა მოახერხეს.

„გორდას“ მესვეურებმა აზერბაიჯანში ფეხბურთელის მოთხოვნის ფურცელი აფრინეს, მეზობლებმაც დაუყოვნებლივ გამოაგზავნეს კილასონიას გათავისუფლების დამადასტურებელი საბუთი.

ბარგშეკრულ კილასონიას გუშინ შევეხმიანეთ: „დილით რუსთავში ვიქნები და მერე გუნდს შევუერთდები, დასვენებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. პრინციპული მატჩია, რომელზეც ჩემი მშობლიური გუნდის ბედი ჰკიდია და თავს არ დავზოგავ გამარჯვებისთვის“ — გვითხრა გიორგიმ.

ასე რომ, რუსთაველები დღეს გულმოცემულნი გავლენ მოედანზე. აქვე ისიც ვთქვათ, რომ გიორგის უფროსი ძმა, გამოცდილი ვარლამ კილასონია, ტრავმირებულია, მას საზარდული აწუხებს და სავარაუდოდ ოპერაცია დასჭირდება.



გიორგი კილასონია

**ბაადა ძვანტალიანი**


# გეპატიჟებათ გუდაურში სასტუმრო „ოზონი“



ორჯერადი კვება, მანქანით მომსახურება საბაგირომდე. ბარი და საუნა თქვენს განკარგულებაშია. შეგიძლიათ მოაწყოთ კონფერენციები, სემინარები, სხვა საქმიანი შეხვედრები, თქვენთვის სასურველი თავყრილობები

☎ 899 54 54 87, 50 11 40

## უეფას თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

მილანი. „სან სირო". 15 301 მაყურებელი. მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

### მილანი 3:1 დორტმუნდი (0:4)

1:0 ინძაგი (11), 2:0 კონტრა (19), 3:0 სერჟინიო (893), 3:1 რიკენი (90)

| მილანი | დორტმუნდი |
|---|---|
| აბიატი, ჰელვეგი, ლაურსენი, შამოტი, კალაძე, კონტრა (ხოსე მარი 63), გატუზო (ალბერტინი 76), სერჟინიო, პირლო, შევჩენკო (სიმონე 68), ინძაგი | ლემანი, ვიორნსი, მეცელდერი, ჰაინრიხი (ევანილსონი 58), დედე, როიტერი, ოლისე, ევერტონი (რიკენი 73), როსიცკი, ამოროზო, იან კოლერი |
| მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი | მწვრთნელი: მათიას ზამერი |

გაფრთხილება: გატუზო, ინძაგი, როიტერი, კონტრა, დედე, ლაურსენი, მეცელდერი

# შავი და წითელი ფინალშია ყვითელი

„**გუნდს** შეიძლება ძალა არ ეყოს. ჩვენ ტიფოზების დახმარება გვჭირდება. რაც უფრო მეტნი იქნებიან, მით უკეთესი" — კარლო ანჩელოტის მშვენივრად ესმოდა, რომ ოთხბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა მართლაც ძნელი იყო და მხარდასაჭერად ქომაგებს უხმო. „სან სიროზე" გულშემატკივრები კი მივიდნენ, მაგრამ წვიმაც თან მიჰყვა.

კოკისპირულმა მასპინძელთა მონდომებას ვერაფერი დააკლო. „მილანმა" თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და მთლიანობაში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ბურთი მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, როცა ჟილ ვესიეს სასტვენი შეხვედრას წყვეტდა. დანარჩენ დროში კი ორივე გუნდი ერთიმეორის ნახევარზე მყის გადადიოდნენ.

სასტვენის ხმა პირველ ტაიმში საკმაოდ ხშირად ისმოდა. ჟილ ვესიეს მოედანზე ფეხბურთელთა დაწყნარება უხდებოდა, მოედანს მიღმა კი კარლო ანჩელოტისა და „მილანის" სათადარიგოებისა. საწყის თხუთმეტ წუთში ფრანგ არბიტრს რამდენჯერმე მოუხდა გვერდით ხაზთან მისვლა, მაგრამ აბა, ანჩელოტის რა დაამშვიდებდა, როცი „მილანს", სულ ცოტა, ოთხი ჰქონდა გასატანი.

მეთერთმეტე წუთზე „სან სირომ" იხუვლა. შევჩენკომ მარცხენა ფლანგზე მქროლავ სერჟინიოს პასი გაუჭრა, ბრაზილიელმა კი ბურთი საჯარიმოში გადააგზავნა. მცველთან ჭიდილში ფილიპო ინძაგიმ ბურთს თავი შეაგება და მეკარე ლემანი უძლური აღმოჩნდა. გატანილმა გოლმა მასპინძლები კიდევ უფრო შეაგულიანა. სტუმრებს ბურთის მოთვინიერება უჭირდათ, მილანელები ზედიზედ ორი-სამი პასის გაკეთების საშუალებას არ აძლევდნენ.

ანდრეი შევჩენკო ბოლომდე ფორმააღდგენილი ვერ იყო, მაგრამ სტუმართა მცველებს ხშირად აწუხებდა. მის ერთ-ერთ განავარდებას კი მეორე გოლი მოჰყვა. გერმანელმა მცველებმა ფორვარდი ზედ საჯარიმოს ხაზზე წააქციეს. ანდრეა პირლომ ძლიერად დაურტყა ლემანს, რომელმაც უხეში შეცდომა დაუშვა — ბურთი წინ, კოზმინ კონტრასკენ მოიგერია. ამას სტუმრები არ ელოდნენ და რუმინელს იმდენი დრო აღმოაჩნდა მარაგში, რომ ბურთი ჯერ აიგდო და იენს ლემანის კარში ისე ჩააჭედა.

„სან სიროზე" შეკრებილებმა შავ-წითელი დროშები ააფრიალეს. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, მეოცე წუთზე საერთო სხვაობა ორ ბურთამდე შემცირდა. ქვევით, მოედანზე კი მასპინძლები ზეწოლას აგრძელებდნენ, მაგრამ ბოლო პასის გაკეთებისას სცოდავდნენ. პირველი ტაიმის ნახევარი საათი იყო გასული, როცა კახა კალაძის დარტყმულს მილანური ოცნება შეიძლებოდა, რეალობად ექცია. კალაძემ სერჟინიოსთან გაათამაშა ბურთი და ცაციათი უძლიერესად დაჰკრა. ლემანმა სველი ბურთი ვერ დაიმორჩილა, ფეხებს შუა გაუძვრა, ძელს ჩაუარა და კუთხურზე გადავიდა. მერე ფილიპო ინძაგი წაიქცა მეცელდერთან ჭიდილისას, მაგრამ ჟილ ვესიესგან თერთმეტმეტრიანი ამაოდ მოითხოვა. სტუმართაგან ერთადერთხელ მარსიო ამოროზომ შეძლო კარისკენ დარტყმა, თუმცა ოდნავ ააცილა.

მეორე ნახევარში მათიას ზამერის ბიჭებმა თამაშის გათანაბრება შეძლეს. მასპინძელთა იერიშებიც ისეთი მწვავე აღარ იყო, როგორც პირველში. „მილანმა" შეტევებს უდიდესი ძალები დაახარჯა, რაც საბოლოოდ დაღლილობაში აისახა. იმედის იოტისოდენა სხივი სერჟინიოს გატანილ პენალტს მოჰყვა, მაგრამ ლარს რიკენის ბოლო წუთზე გატანილმა ერთმა საპასუხომ ყველაფერს ხაზი გადაუსვა.

**კახა კალაძე**: „დღეს გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ ბოლომდე მაინც არავის სჯეროდა, რომ სასწაულს მოვახდენდით. მართალია, ორი სწრაფად გატანილი გოლის შემდეგ ახლოსაც ვიყავით საბოლოო გამარჯვებასთან, მაგრამ 90 წუთის განმავლობაში ერთნაირი მაღალი ტემპის შენარჩუნება შეუძლებელია. მით უმეტეს, ისეთ გუნდთან, როგორიც „დორტმუნდია". ფაქტია, რომ ორი მატჩის ჯამში მარცხის მიუხედავად, მოედანი თავაწეულებმა დავტოვეთ".

**გაგა ხუციშვილი**



REUTERS

როცა ანდრეი შევჩენკო კარგ ფორმაშია, სხვები იჭერენ, ახლა კი თავად მოქაჩა დედეს

როტერდამი. „დე კუიპი". 45 000 მაყურებელი. მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

### ფეიენოორდი 2:2 ინტერი (1:0)

1:0 ვან ჰოიდონკი (16), 2:0 ტომასონი (34), 2:1 კ. ძანეტი (84), 2:2 კალონი (903)

| ფეიენოორდი | ინტერი |
|---|---|
| ზუტებირი, გიანი, ვან ვონდერენი, პაუვე, აროსი, ემერტონი, ბოსველტი, კალუ (დუშ სანტუში 74), ვან პერსი (ლეონარდუ 35), ტომასონი, ვან ჰოიდონკი | ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, ფერარო, დი ბიაჯო, დალმა, კ. ძანეტი, ემრე, ზეედორფი (კონსეისაუ 58), რონალდო (კალონი 69), ვენტოლა |
| მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი | მწვრთნელი: ექტორ კუპერი |

გაფრთხილება: აროსი, კ. ძანეტი, ხ. ძანეტი, ემრე, ფერარო, ემერტონი, დი ბიაჯო, ვან ჰოიდონკი

# მორატის თასი რონალდოა



REUTERS

ინტერელი კლარენს ზეედორფი მაურისიო აროსს გასცდა და ბრეტ ემერტონს დაეჭიდა

„**ფეიენოორდმა**" ჰოლანდიური ფეხბურთი ასახელა. გუნდებმა ღია ფეხბურთი გააჩაღეს და ორივე მხარეს გოლის გატანის მრავალი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა. „ჩვენ მოედანზე მოსაგებად გავედით. ასეთმა განწყობამ საბოლოოდ წარმატება მოგვიტანა" — განაცხადა ნამატჩევს მასპინძელთა მწვრთნელმა ბერტ ვან მარვიიკმა.

უეფას თასი რომ როტერდამში უნდა ჩავიდეს და ახალ პატრონს იქ დაელოდება, ამის შესახებ ადრევე გაუწყეთ. ფინალი როტერდამში 8 მაისს გაიმართება. „ფეიენოორდი" კი, მოგეხსენებათ, როტერდამული გუნდია და ფინალშიც გავიდა. ახლა სრული ბედნიერებისთვის მხოლოდ ერთი რამ საჭირდება — „დორტმუნდის" დამარცხება. ბოლოს ევროთასის (ჩემპიონთა ლიგა) ფინალში ჰოლანდიური გუნდი 1996 წელს გავიდა. ის მეორედ აყვავების პერიოდში მყოფი „აიაქსი" გახლდათ. თავად „ფეიენოორდს", რომელმაც შორეულ 1974 წელს უეფას თასის ფინალი „ტოტენჰემი" დაამარცხა, 28-წლიანი შესვენების შემდეგ მეორე შანსი მიეცა.

ევროთასების ფინალში ზედიზედ სამჯერ გაღწევა ექტორ რაულ კუპერს მეოთხე ცდაზე ხელი მოეცარა — ჰოლანდიური ყველი „ინტერს" ყელში გაეჩხირა.

ჭაღარა არგენტინელმა დისკვალიფიცირებული ივან კორდობას ნაცვლად ყმაწვილი სალვატორე ფერარო ათამაშა დაცვაში. კუპერმა სასტარტო შემადგენლობაში კრისტიან ვიერიც არ ინდომა და როგორც იქნა, რონალდოსაც ეღირსა ბურთაობა. „მესმის, რომ ძნელია, „ატალანტასთან" მარცხის დავიწყება, მაგრამ მობილიზება აუცილებელია — უთქვამს მატჩამდე „ინტერის" მწვრთნელს. მან ისიც ივარაუდა, მინიმუმ ორი გოლის გატანას შევძლებთ და რონალდოსი ძალიან მეიმედებაო. ორ გოლს რომ გაიტანდნენ, კუპერმა კი გამოიცნო, მაგრამ ვაი, რომ დაგვიანებული აღმოჩნდა.

მასპინძლებმა ერთობ მონდომებით დაიწყეს თამაში, რითაც სტუმრებს აგრძნობინეს, ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებაზე არ ვფიქრობთო. აქტიურობა როტერდამელებს მალე დაუფასდათ. აყლარწულმა პიერ ვან ჰოიდონკმა მცველებთან ჯაჯგურში იმარჯვა და თავურით ანგარიში გახსნა.

გოლმა „ინტერს" ამოცანა კიდევ უფრო გაურთულა, ხოლო მას მერე, რაც კალუს დარტყმულს იონ დალ ტომასონმა დაამატა და შეაგდო, სტუმრები თითქმის უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნენ. მაგრამ კუპერი რის კუპერია, მის „ინტერს" კუდი არ მოექნია. შეცვლაზე შესულმა სერჟიუ კონსეისაუმ და მოჰამედ კალონმა მასპინძელ მცველებს თავსატეხი გაუჩინეს და ბოლო ოცი წუთის განმავლობაში მაგრადაც მიაწვნენ.

კუთხურიდან ჩაწოდებულს კრისტიანო ძანეტი საჭირო ადგილზე დაუხვდა და ერთი გოლი გაქვითა. მერე ნიკოლა ვენტოლას მიეცა ურეალურესი შანსი, მაგრამ რატომღაც ბოლო მომენტში ფეხი აუკანკალდა. სულ ბოლოს კი ავანსცენაზე თურქი ემრე გავიდა და ბოლო წუთზე პენალტი მოინადირა. მოჰამედ კალონმა გამთანაბრებელი გაიტანა და დრო რომ ყოფილიყო, „ინტერი" კიდევ იყო გამტანი, მაგრამ ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტოს საფინალო სასტვენის ხმა „ფეიენოორდს" ტკბილი სიმღერასავით ჩაესმა. ეს იყო ხმა სასტვენისა, რომელსაც როტერდამული კლუბი და მისი გულშემატკივრები 28 წელიწადი ელოდნენ. „ფეიენოორდი" კვლავ უეფას თასის ფინალშია.

ნამატჩევს ექტორ რაულ კუპერი, ცხადია, ნირწამხდარი იყო: „ფინალში გასვლის შესანიშნავი შესაძლებლობა გვქონდა. მარცხის მიზეზი კი, ვფიქრობ, ჩვენს კარში გატანილი მეორე გოლი გახდა. ამის შემდეგ გუნდმა ბოლომდე მობილიზება ვერ შეძლო. ნამდვილად ძნელია ორბურთიანი სხვაობის დროს ძალების გამონახვა. ყველაფერში დამნაშავე კი თავად ვართ. ორი მატჩის ჯამში თოთხმეტი რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ".

ინტერის პრეზიდენტი მასიმო მორატი მარცხით განაწყენებული კი იყო, მაგრამ სხვა რამ ახარებდა: „ფინალში ვერ გავედით, მაგრამ ჩემი გუნდის თამაშით უდავოდ კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა ნებისყოფა გამოიჩინეს და ბოლომდე იბრძოლეს. მთავარი, რაც მახარებს, ისაა, რომ რონალდომ მოედანზე 70 წუთი დაჰყო და არცთუ ურიგოდ ითამაშა".

**გაგა ხუციშვილი**

## ინგლისი. ასოციაციის თასი. ნახევარფინალი. ხვალ

# მიდლსბრო — არსენალი

# ფულემი — ჩელსი

**ინგლისის** ასოციაციის თასის ნახევარფინალში მოთამაშე ოთხი გუნდიდან სამი ლონდონურია, „ფულემი“, „არსენალი“ და „ჩელსი“. ასე რომ, დედაქალაქის ერთი კლუბი ნებისმიერ ვარიანტში ფინალში გავა. ხოლო იქნება თუ არა ფინალური მატჩი წმინდა ლონდონური, როგორც ეს უკანასკნელად 1982 წელს მოხდა (მაშინ „ტოტენჰემმა“ „ქუინზი პარკ რეინჯერსი“ დაამარცხა), ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა „არსენალი“ „მიდლსბროს“ დამარცხებას.

შეგახსენებთ, რომ არსენ ვენგერის გუნდმა სტივ მაკლარენის მიდლსბროელი შეგირდები ამ სეზონში ორჯერ უკვე დაამარცხა. ამასთან, ლონდონური კლუბი შარშანაც გახლდათ ფინალის მონაწილე და თან შანსი აქვს, ბოლო ხუთ სეზონში მეორედ შეასრულოს დუბლი, ანუ მოიგოს პრემიერლიგაცა და ასოციაციის თასიც.



„არსენალმა“ თასი ბოლოს 1998 წელს აღმართა

ხოლო სტივ მაკლარენს, სახელოვანი მეტოქის დამარცხებაზე თუ ფიქრობს, არ უნდა დაავიწყდეს, რომ ლონდონელთა თავდასხმის ფრანგულ-ჰოლანდიური დუეტი ბრწყინვალე ფორმაშია — ტიერი ანრიმ და დენის ბერხკამპმა ჯამში უკვე 31 გოლის გატანა მოახერხეს. სხვათა შორის, 1998 წელს, როცა „არსენალმა“ თასი მოიგო, გზად „მიდლსბროსაც“ შეხვდა და დაჯაბნა (სხვაგვარად თასს აბა, როგორ აიღებდა). „მიდლსბრო“ კი, თუ ახლა თასი მოიგო, პირველ ჯილდოს მოიპოვებს 127-წლიანი ისტორიის მანძილზე.

სტივ მაკლარენის განკარგულებაში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ იქნება. ნახევარმცველი პოლ ინსი დისკვალიფიცირებულია, თავდამსხმელი ნილ ვეილანი ტრავმირებული. ასევე საეჭვოა მოედანზე ბენიტო კარბონესა და ალენ ბოკშიჩის გამოჩენა. მოკლედ, საქმე რთულადაა. მეორე წყვილში „ფულემი“, რომელიც „ჩელსის“ ხვდება, მიდლსბროსნაირადაა, არსებობის მანძილზე ერთი ჯილდოც არ მოუპოვებია. მხოლოდ ერთხელ, 1975 წელს გავიდა თასის ფინალში და იქ „ვესტ ჰემთან“ 0:2 წააგო.

ეგებ გაგიკვირდეთ, მაგრამ „ფულემის“ მეპატრონე მოჰამედ ალ ფაიედს ამბიცია აქვს, გუნდი, რომელსაც არაფერი მოუგია, მეორე „მანჩესტერ იუნაიტედად“ აქციოს. ამის შესახებ მან წინა კვირაში განაცხადა. ისე, „ფულემს“ ბოლო ცხრა თამაშია არ მოუგია.

„ფულემი“ — „ჩელსი“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ლონდონური დერბია და ამ პრინციპულ მატჩში „არისტოკრატებს“ თავდასხმაში ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი ეყოლებათ. ჩელსელთა თავკაცი კლაუდიო რანიერი კი იმედოვნებს, მცირედ ტრავმირებულები — გრემ ლე სო, სელესტინ ბაბაიარო, იესპერ გრონკიაერი და უილიამ გალასი თამაშს შეძლებენო. რაც შეეხება „ჩელსის“ ტიტულებს, ეს გუნდი ბოლოს შარშანწინ ფლობდა ასოციაციის თასს, მანამდე სამი წლით ადრე კი, ამ შეჯიბრის ფინალში „მიდლსბროს“ მოუგო, გუნდს, რომელსაც, შესაძლოა, წლევანდელ ფინალში შეხვდეს.

**ნიკა შუბლაძე**

# მჯობნის მჯობნი

## ვან ნისტელროის ჯილდო პირესის ტრავმად ღირს



**ჰოლანდიელები** — რუუდ ვან ნისტელროი და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, ფრანგები — ტიერი ანრი და რობერ პირესი, ირლანდიელი როი კინი და ინგლისელი დევიდ ბექჰემი ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზის მოპოვების უმთავრესი კანდიდატები არიან.

გამოკითხვის შედეგები, რომელშიც პრემიერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელები მონაწილეობდნენ, ამ დღეებში გახდება ცნობილი. მანამდე კი ალბიონი ტრადიციული ნისლის გარდა მარჩიელ-პროგნოზისტთა აზრებსაც მოუცავს.

წინასწარი ვარაუდით, პირველობის საუკეთესო შანსი სეზონში ჯერჯერობით 30 გოლის გამტან რუუდ ვან ნისტელროის აქვს, თუმც ცოტა ხნის წინ კუნძულზე სხვაგვარად ფიქრობდნენ. მაშინ ინგლისელთა ფავორიტი ფრანგი რობერ პირესი გახლდათ.

პირესს მართლაც შეეძლო, ნისტელროისთვის ღირსეული კონკურენცია გაეწია, თუმც უმძიმესი ტრავმა მიიღო და ამ პრიზს ვინ დაეძებს, ვინძლო მსოფლიოს ჩემპიონატის მოლმაც დარჩეს. დანარჩენები კი „წითელი ეშმაკუნების“ ჰოლანდიელ მთავარმეგოლეს ჯეროვნად ვერ უძალიანდებიან. ამაზე ჟურნალისტთა წინასწარი გამოკითხვის შედეგებიც კარგად მეტყველებს — ვან ნისტელროი საუკეთესოდ 41 პროცენტმა მიიჩნია, მეორეზე „მეთოფე“ ტიერი ანრი გავიდა (26%), ხოლო მისი თანაკლუბელი რობერ პირესი მხოლოდ მესამეა (23%). აქვე გეტყვით, რომ გამოკითხვაში ორმოცდაათმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა და ინგლისელთა კერპ დევიდ ბექჰემს ერთი(!) ხმაც არ ერგო...

ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს პრემიერლიგის გამორჩეულ მობურთალთა აზრი, რომლებმაც წინასწარ გამოკითხვაში თავიანთი ხმა „გაასხვისეს“:

დენის ბერხკამპი („არსენალი“): „უსამართლობა იქნება, თუ რობერ პირესი ამ სეზონში უპრიზოდ დარჩება. მთელი ჩემპიონატი მან უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ის უსიტყვოდ იმსახურებს ამ ჯილდოს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მქონდა იმის უფლება, რომ თანაკლუბელისთვის მიმეცა ხმა.

ამის გამო უპირატესობა რუუდ ვან ნისტელროის მივანიჭე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის პრემიერლიგაში საოცრებებს ჩაიდენდა და ასეც მოხდა. მიხარია, რომ კიდევ ერთმა ჰოლანდიელმა დაამტკიცა საკუთარი სიძლიერე ინგლისში“.

ლეს ფერდინანდი („ტოტენჰემი“): „თავდამსხმელს პირველ რიგში იმიტომ უხდიან ფულს, რომ გოლი გაიტანოს. ამას კი ვან ნისტელროი შესანიშნავად აკეთებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ის მთელი ცხოვრება „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა. იგი ბრწყინვალე თავდამსხმელია“.

ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი („არსენალი“): „ყოველთვის მჯეროდა, რომ ვან ნისტელროი ძლიერი ფორვარდია. მან ეს მიმდინარე სეზონშიც დაამტკიცა. ძალიან მინდა, მან „არსენალში“ ითამაშოს. ვფიქრობ, ის წლეულს საუკეთესოა“.

ამ კომენტარების შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰოლანდიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი რუუდ ვან ნისტელროი სულ მალე სანუკვარ პრიზით დაიმშვენებს ხელს.

**კახა ფალავანდიშვილი**

# კლუბო, მომეც ხელფასი!

**ადრე თუ გვიან** ეს პრობლემა აუცილებლად გახდებოდა აქტუალური. ლაპარაკი კლუბების მიერ ფეხბურთელებისთვის კუთვნილი ჯამაგირის გადახდაზე. იტალიური „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, „ფიორენტინას“, „ვენეციასა“ და თვით რომის „ლაციოს“ ფეხბურთელების გვარიანი ფული მართებთ. ასე მაგალითად, ლაციოელებს დეკემბრის ხელფასები არ აუღიათ. „ლაციო“ ამბობს, ფეხბურთელები ინფორმირებულები იყვნენ და კუთვნილს მალე მიიღებენო.

აი, „ფიორენტინა“ და „ვენეცია“ დეკემბრიდან მოყოლებული ფეხბურთელებს თურმე ცარიელი დაპირებებით კვებავდა. „იების“ მოვალეთა სიაში გამოჩენა პრინციპში მოულოდნელი არც ყოფილა, „ფიორენტინა“ შარშან ზაფხულიდან კრიზისშია და ერთხანს მისი ფეხბურთელები, ჩვენი პენსიონერების არ იყოს, საპროტესტო აქციების მოწყობასაც კი აპირებდნენ. მაგრამ „ფიორენტინას“, „ვენეციასა“ და „ლაციოს“ ფინანსური გასაჭირი ერთეულ შემთხვევებს სცილდება და ნელ-ნელა მასშტაბური პრობლემის სახეს იღებს. სახელფასო ფონდები კლუბების ბიუჯეტებში სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს.

პრობლემას ერთი გარემოებაც ამძიმებს — სერია A-ს მატჩების ტრანსლაციის უფლებების მქონე ორი კონკურენტი კომპანიის, „ტელეპუსისა“ და „სტრიმის“ მოსალოდნელი გაერთიანება. ახლა კლუბების შემოსავლის 53,8 პროცენტს ტელეტრანსლაციით შემოსული ფული ქმნის. ამ ორი მედიაკომპანიის გაერთიანების შემთხვევაში კი სატელევიზიო ბაზარზე, ცხადია, კონკურენცია მოისპობა და ფასებიც დაიწევს. არადა, მადაგახსნილ მოთამაშეთა ხელფასებს, მხოლოდ აბონემენტების და ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხით ვერავინ გაისტუმრებს.

მაგალითად, 2000/2001 წლების სეზონთან შედარებით ამ სეზონში სერია A-ში მოთამაშეთა ხელფასებმა 32 პროცენტით აიწია. ეს მაშინ, როცა ზოგიერთი კლუბის შემოსავალმა იკლო. თუ აკვირდებით, იტალიის ჩემპიონატის ბევრ მატჩზე ტრიბუნები თითქმის ცარიელია, ხოლო ექსპერტთა გამოთვლებით, სერია A-ს კლუბების საერთო ზარალმა უკვე ამ სეზონში 133 მილიონი ევრო შეადგინა.

ამავე დროს ხელფასების პრობლემა სერია B-ს ბინადართაც აწუხებთ. იმავე „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, სერია B-ს ექვს კლუბს ფეხბურთელების რამდენიმეთვიანი დავალიანება აქვს.

„ლაციომ“ კი პრობლემის გადაჭრა ასე დაიწყო: ჯერ იყო და კლუბში ფეხბურთელთა რაოდენობა 25-მდე შეამცირა და თან ახალი სახელფასო „ჭერის“, წელიწადში 75 მილიონი ევროს იდეა წამოაყენა.

იტალიის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირის გენერალური მდივნის ჯანი გრაციოლის აზრით, რთული ვითარებიდან თავის დაღწევა მხოლოდ საერთო ძალისხმევით შეიძლება. „ცხადია, ფინანსური კრიზისის საფრთხე რეალურია. თუმცა ვიმედოვნებ ამ პრობლემას არაფერი ეშველება. გამოსავალი ყველამ ერთად უნდა მოვძებნოთ“ — თქვა გრაციოლიმ.

გამოსავალი კი, ალბათ, ისევ და ისევ ხელფასებისა და მოთამაშეთა რაოდენობის კლებაშია, ანუ იმაში, რის გაკეთებასაც „ლაციო“ აპირებს და ნაწილობრივ უკვე გააკეთა. მაგრამ როგორ აისახება ეს სერია A-ს პრესტიჟზე, სადაც მსოფლიოს დონის მოთამაშეთა მოდინება სწორედ იტალიური კლუბების მეპატრონეთა სქელი ჯიბეების წყალობით ხერხდებოდა? ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ იძლევა.

**სერგი ძორიძე**

## Copa Toyota Libertadores '2002

### ლიბერტადორესის თასი 2002

**V ჯგუფი. VI ტური**

სპორტინგ კრისტალი (პერუ) 0:1 მონარკას მორელია (მექსიკა)

ველეს სარსფილდი (არგენტინა) 0:1 ნასიონალი (ურუგვაი)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონარკას მორელია | 6 | 4 | 2 | 0 | 15:7 | 14 |
| ნასიონალი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:12 | 11 |
| ველეს სარსფილდი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| სპორტინგ კრისტალი | 6 | 0 | 0 | 6 | 5:14 | 0 |

„მონარკას მორელია“ და „ნასიონალი“ გავიდნენ მერვედფინალში

**VII ჯგუფი. VI ტური**

ტალერესი (არგენტინა) 1:1 რივერ პლეიტი (არგენტინა)

ამერიკა (მექსიკა) 3:2 ტულუა (კოლუმბია)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა | 6 | 5 | 1 | 0 | 9:2 | 16 |
| რივერ პლეიტი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:4 | 9 |
| ტალერესი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| ტულუა | 6 | 1 | 0 | 5 | 9:16 | 3 |

„ამერიკა“ და „რივერ პლეიტი“ გავიდნენ მერვედფინალში

**მერვედფინალი**

უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) — სან კაეტანო (ბრაზილია)

რივერ პლეიტი (არგენტინა) — გრემიო (ბრაზილია)

მონტევიდეო უონდერერზი (ურუგვაი) — პენიაროლი (ურუგვაი)

ნასიონალი (ურუგვაი) — ამერიკა დე კალი (კოლუმბია)

ოლმედო (ეკვადორი) — მონარკას მორელია (მექსიკა)

ელ ნასიონალი (ეკვადორი) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

სიენსიანო (პერუ) — ამერიკა (მექსიკა)

კობრელოა (ჩილე) — ოლიმპია (პარაგვაი)

პირველი მატჩები 23-25 აპრილს გაიმართება, საპასუხოები — 30 აპრილს და 2 მაისს


# რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80




# იყიდება

სამოთახიანი სუფთა ბინა
დიდი ზალით,
დიდი სამზარეულოთი და
ორი საძინებელი ოთახით
(მუდმივი დენი)

ცოტნე დადიანის ქუჩა. ტელ: 69-89-56 (საღამოს), 39-48-29 (დილით). კახა

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## F ჯგუფი: არგენტინა, ნიგერია, ინგლისი, შვედეთი






**ფართობი:** 449 964 კმ²
**მოსახლეობა:** 8 730 000
**დედაქალაქი:** სტოკჰოლმი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1904 წელს
ფიფას წევრი 1904 წლიდან
უეფას წევრი 1954 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ლარს-ეკე ლაგრელი
**გენერალური მდივანი:** სუნე ჰელსტრომერი
**სტადიონი:** „რასუნდა" (33 000)
**მწვრთნელები:** ტომი სოდერბერგი, ლარს ლაგერბეკი
**კაპიტანი:** პატრიკ ანდერსონი
**ფორმა:** ყვითელი მაისურა, ლურჯი ტრუსი, ყვითელი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „გეტებორგი", „მალმიო"
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 16




## არის ასეთი ქვეყანა

კომუნიზმი, რომელსაც მარქსი, ენგელსი და ლენინი ქადაგებდნენ, შვედეთში დამყარდა. ცხადია, არა იმ ფორმით, როცა ყველაფერი ყველასია, მაგრამ შვედეთში მათხოვარი სანთლით საძებარია და პრინციპში, უბრალოდ გაჭირვებულიც. გადასახადების მაღალი პროცენტის გამო მილიონერებიც არ არიან, მაგრამ ხალხი თავს დიდებულად გრძნობს და უკვე ასობით წელია, თოფ-ზარბაზნის ხმა არავის სმენია. შვედები ომს გადაეჩვივნენ, კარგავენ აგრესიის გრძნობას და როგორც იქიდან ჩამოსულები ჰყვებიან, ქმრები ოჯახში სწორედ რომ არ არიან პირველი ნახევრები. გასაოცარი მეტამორფოზაა ვიკინგთათვის, რომლებიც შუა საუკუნეთა ევროპას სისხლის ზღვაში აბანავებდნენ და წმინდა მიწისკენაც არაერთხელ წასცდენიათ ფეხი. მაგრამ დრო იცვლება და მასთან ჩვენც ვიცვლებით (პოპულარული ლათინური გამოთქმაა). თუ კარლოს XII-ის დროს შვედები ჯერ კიდევ დაჰქროდნენ ბებერ კონტინენტზე, ძლიერ ორგანიზებული არმიით ომს ომზე იგებდნენ და თავიდან პეტრე პირველის რუსეთსაც მწარედ ამტვრიეს კბილები, შემდგომ და შემდგომ სულ უფრო ახსენებდნენ სიტყვა „ნეიტრალიტეტს" და გაიკვირვეთ, მაგრამ სამეზობლოში მძვინვარე ორი საშინელი ომი, პირველი და მეორე მსოფლიო, შვედეთს ფრჩხილის ოდენადაც არ შეხებია.

ერთი თვეა, შვედეთს დედა აღარა ჰყავს, ესე იგი, ასტრიდ ლინდგრენი.

**დავით გულუა**

# მესამე, რომელსაც შეუძლია

**მსოფლიოს** თასის პირველ რაუნდში, ეგრეთ წოდებულ სიკვდილის ჯგუფში მოხვედრილი შვედეთის ნაკრების გამო დაჯერებით ვერ იტყვი, მეორე რაუნდში გავაო. მართლაც ძნელია ინგლისელთა, არგენტინელთა და ნიგერიელთა წინააღმდეგ ითამაშო და იმდენი მოახერხო, რომ შემდეგ ეტაპზე გახვიდე.

მაგრამ მეორე მხრივ, შვედებს არ დაეწუნებათ არც კვალიფიკაცია და არც ტაქტიკა. თან რამდენიმე ვარსკვლავიც ჰყავთ, რომელთაგან ჰენრიკ ლარსონისა და ფრედერიკ ლიუნგბერგის დასახელებაც იკმარებდა.

შესარჩევი ჯგუფის ცხრილს რომ დახედო, იფიქრებ, შვედები იოლად, ყოველგვარი პლეი ოფის გარეშე მოხვედრილან მსოფლიოს ჩემპიონატზე და შესარჩევი ტურნირის ნამდვილი ლაურეატები არიანო. მაგრამ ამ შთაბეჭდილებას სტამბოლში, შეხვედრის მიწურულს გამოხსული ორი ზუსტი დარტყმა ქმნის.

შვედთა ყველაზე ძლიერი მეტოქე ჯგუფში თურქეთის ნაკრები იყო. შვედების მთავარ მწვრთნელთა წყვილს, ტომი სოდერბერგსა და ლარს ლაგერბეკს სწორედ თურქებთან შინ 1:1-ზე დასრულებული შეხვედრის შემდეგ დაატყდათ თავს კრიტიკის ქარბორბალა, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა სლოვაკებთან გასვლითი უგოლო ფრის შემდეგ. ამ კრიტიკამ და კიდევ მარკუს ალბაკის ბრწყინვალე თამაშმა ჰენრიკ ლარსონის მხარდამხარ ნაკრების თავდასხმაში, შვედებს ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოაგებინა და სტამბოლშიც გაამარჯვებინა მატჩში, რომელსაც 88-ე წუთამდე აგებდა. იმ შეხვედრის გმირები იგივ ლარსონი და ანდრეას ანდერსონი იყვნენ და შვედეთი ისე გავიდა ფინალურ ეტაპზე, რომ თამაში არ წაუგია. ეს ერთგვარი შვედური სტილიც კია, თუ შვედეთის ნაკრები დიდ შეჯიბრებებზე გადის, ზურგს წაუგებლად ჩატარებული შესარჩევი ციკლი უმაგრებს ხოლმე.

შვედთა ბოლო დიდი წარმატება 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილის მოპოვება იყო. შემდეგ ისინი ბოლო ევროპის ჩემპიონატზე გამოჩნდნენ და იქაურობას კვალი ვერ დაამჩნიეს.

მთავარი კი ისაა, რომ შვედები ყოველთვის კარგად თამაშობდნენ ფეხბურთს და მოქლენათა გარკვეული განაწილების შემთხვევაში მათ არ შეეშლებათ სარგებლის ნახვა. ამიტომ ჯგუფში, სიკვდილისა რომ ჰქვია, შვედებს თავისი როლი აქვთ. ეს როლი კი იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის ფავორიტებს, არგენტინელებსა და ინგლისელებს ბევრწილად სწორედ შვედებთან შეხვედრებში მოუწევთ თავიანთი მომავლის გარკვევა. ინგლისელებს პირველივე სათამაშო დღეს, არგენტინელებს კი ჯგუფის ბოლო შეხვედრაში.

შვედეთის ნაკრები ამ ბრძოლებისთვის მზად ჩანს. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ შვედები ძალიან ცოტა გოლს უშვებენ და თავიანთი მოზომილი და ჭკვიანი თამაშის თავს მოხვევაც ეხერხებათ.

ასევე ტრადიციულად, შვედეთი პრობლემაა, რომელიც დიდი და ტიტულოვანი გუნდების თავისტკივილს იწვევს ხოლმე. სიკვდილის ჯგუფიც ამ ჯგუფს იმიტომ დაერქვა, რომ იქ ინგლისსა და არგენტინასთან ერთად შვედეთი მოხვდა — ანუ მესამე, რომელსაც შეუძლია იბრძოლოს.

შვედეთი დიდ ტურნირებში ჭიპმოჭრილი გუნდია. შვედებისთვის ესეც ტრადიციაა.

მათი ფეხბურთის ისტორია კი ლამის ინგლისური ფეხბურთის ისტორიის თანატოლია.

ამიტომ...

**ირაკლი გამყრელიძე**





ჰენრიკ ლარსონის გოლებით შვედებმა ბევრჯერ გაიხარეს

## განრიგი

| 2 ივნისი |
|---|
| საიტამა (იაპონია) 9.30 საათი |
| „საიტამა სტადიუმი" |
| შვედეთი – ინგლისი |
| **7 ივნისი** |
| კობე (იაპონია) 10.30 საათი |
| „კობე უინგ სტადიუმი" |
| შვედეთი – ნიგერია |
| **12 ივნისი** |
| მიაჯი (იაპონია) 15.30 საათი |
| „მიაჯი სტადიუმი" |
| შვედეთი – არგენტინა |

მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით

## გზა მსოფლიოსკენ

**IV ჯგუფი**

02.09.00
აზერბაიჯანი 0:1 შვედეთი
06.10.00
შვედეთიი 1:1 თურქეთი
11.10.00
სლოვაკეთი 0:0 შვედეთი
24.03.01
შვედეთი 1:0 მაკედონია
28.03.01
მოლდოვა 0:2 შვედეთი
02.06.01
შვედეთი 2:0 სლოვაკეთი
06.06.01
შვედეთი 6:0 მოლდოვა
01.09.01
მაკედონია 1:2 შვედეთი
05.09.01
თურქეთი 1:2 შვედეთი
07.10.01
შვედეთი 3:0 აზერბაიჯანი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 20:3 | 26 |
| თურქეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 18:8 | 21 |
| სლოვაკეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:9 | 17 |
| მაკედონია | 10 | 1 | 4 | 5 | 11:18 | 7 |
| მოლდოვა | 10 | 1 | 3 | 6 | 6:20 | 6 |
| აზერბაიჯანი | 10 | 1 | 2 | 7 | 4:17 | 5 |

## ტიტულები

ოლიმპიური ჩემპიონი (1): 1948
მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი (1): 1958
მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტი (3): 1938, 1950
მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანი (1): 1994

## ოპტიმალური შემადგენლობა



გიო ახვლედიანის

სვეტი

# ბექჰის ტერფში

ვინ არ დაუმტვრევიათო... ამხელა ამბავი იმიტომ ატყდა, რომ დევიდ ბექემი მედიისგან გაბერილი კაციაო.

თამაში თამაშიაო.

ასე თქვა ალდო (თუ პედრო) დუშერმა, „დეპორტივოს" არგენტინელმა ფეხბურთელმა, რომელსაც არც ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში უწევს თამაში და არც მსოფლიოს ჩემპიონატზე კაპიტნობს თავისი ქვეყნის ნაკრებს. და საერთოდაც, ალდო დუშერი არ არის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი.

სამაგიეროდ, ალდო დუშერი ფეხბურთელია და ვერავინ ეტყვის, ბურთისთვის არ იბრძოლოო. ტყუპი წიხლით და გაშლილი ფეხით ბურთისთვის ბრძოლის სასჯელი ბარათებია და დუშერიც გააძევეს თამაშის ბოლოს, მეორე სარმისთვის. ამიტომ ყველაფერი კანონიერადაა.

მაგრამ ბექემის ამბავი ამერიკულ ფილმს ჰგავს. დუშერის ამბავს წინ უძღვის დიეგო ტრისტანის ამბავი, რომელსაც სიმწრისაგან გონება გადაეკეტა და პირველი მეოთხედფინალის ბოლო წუთზე ბექემზე გაინადირა. მაშინ ბექჰი გადარჩა, ტკივილი ერთ კვირაში დაამარცხა და კვლავ გავიდა „დეპორის" წინააღმდეგ, ოღონდ მხოლოდ თექვსმეტი წუთით.

დიეგო ტრისტანისა და ალდო დუშერის შემთხვევები სხვადასხვაა. პირველმა, მოიბოდიშა კიდეც. მეორემ, თამაში თამაშიაო. პირველისა არ იყო სათამაშო ეპიზოდი, მეორისა — კი. საერთო ამ ორ მოცელვას განწირულობის შეგრძნება აქვს. შემოდგომაზე „დეპორტივომ" ორჯერ დაამარცხა „მანჩესტერი" და გაზაფხულზე აღმოაჩინა, რომ განიარაღებულია და ის ორი მოგება არაფერში არგია.

სამხრეთული სისხლი კი თავისას შვრება.

თუმცა, სულაც არ არის აუცილებელი, რადგან თავად ბექემმაც იცოდა ხოლმე სამაგიეროს გადახდა. გამოედევნებოდა კაცს და მოცელავდა ხოლმე, თამაში არ გამომდისო. ორი წელიწადია, ბექჰს ასეთი რამ აღარ უქნია. ასწავლეს, მოუარეს, გადააჩვიეს, აუხსნეს, რომ ამ გზით სპორტში სამაგიეროს გადახდა სისულელეა.

ბექემიც გადაეჩვია.

ზოგი გადაეჩვევა, ზოგი ვერა — ზინედინ ზიდანიც კარგავს ხოლმე მოთმინებას. მაგრამ დიდ ფეხბურთელებს სხვა პრობლემები აქვთ. ძალიან მტკივნეულია ხოლმე, როცა ჩვეულებრივი ფეხბურთელი არაჩვეულებრივ ფეხბურთელს ამტვრევს და ამას ჩვეულებრივ ამბავს უწოდებს.

ფეხბურთი ხომ იმით არის საუცხოო, რომ მას თამაშობენ ზიდანი, რივალდო და ნულარ გავაგრძელებთ.

ესენი რომ დაიმტვრნენ (ჯვარი წერიათ) და ბექემივით სავარძელში გადაინაცვლონ, ვისღა ვუყუროთ, დენი მილსს და ალდო დუშერს?

მსოფლიოს ჩემპიონატი მოგვადგა.




# იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა!

*შევხედოთ ფოტოს, მერე სათაურს (პირიქითაც შეიძლება) და ვიკითხოთ: რა უნდა ვიყიდოთ, ძაღლი? ცხადია, არა — მაისურა. ოღონდ ძაღლი თუ არ გყავთ, მაისურის ყიდვას აზრი ეკარგება, რაკი საგანგებოდ ოთხფეხა მეგობრებისთვისაა შეკერილი და ადამიანი ვერ ჩაიცმევს.*

*ზომები ნაირ-ნაირია, ფერი კი ერთი — ინგლისის ნაკრებისა, რაკი ამ მაისურას იქ ამზადებენ, სხვა ქვეყნის ეროვნულ მაისურას კი იქ გასავალი არ ექნება. ეს ჩვენთანაა, კაცს თვალი სხვისი კარგისკენ რომ გაურბის, იმათ თავისი კარგი ჰყავთ.*

*შენიშვნა: ეს ძაღლი ინგლისური ბულდოგია და ყბებში აუჰ... იმხელა ძალა აქვს.*



# კაცი მეგონე და, გენერალური მდივანი ყოფილხარ!

## ზენ-რუფინენმა ფიფა გატეხა

**ფიფას** ახლანდელი პრეზიდენტის სავარძელი სულ უფრო და უფრო მყიფე ხდება. ყველაფერი, რაც დაფარული იყო, სწორედ ახლა, ზეპ ბლატერისთვის გადამწყვეტ დროს ამოტივტივდა და გაცხადდა. აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტ ისა, ჰაუატოს საპრეზიდენტო კანდიდატურა ბლატერისთვის პირველი ლახვარი გამოდგა. აფრიკელის პრობლემის გადაჭრას შვეიცარიელი სწორედ აფრიკის ფედერაციებში ვოიაჟებით ცდილობდა, თუმცა აპრილმა ბლატერს ახალი და ერთმანეთზე უარესი პრობლემები მოუტანა.

ჯერ ერთი, გამოაშკარავდა ფიფას პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანს შორის დაპირისპირება. ორშაბათს კონკაკაფის კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ამერიკელმა ჩაკ ბლეიზერმა ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ-რუფინენი კონფედერაციის საქმეებში ჩარევასა და ფიფას პრეზიდენტის წინააღმდეგ მოქმედებაში დაადანაშაულა — ზენ-რუფინენის ქმედება უფლებების გადამეტებაა, მის გადადგომას ვითხოვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვთ, თავად ბლატერმა გადააყენოს — აი, ასეთი კატეგორიული იყო ბლეიზერი. გაცოფებულია კონკაკაფის პრეზიდენტი ჯეკ ვორნერიც, რომელიც ამავე დროს ფიფას ვიცე-პრეზიდენტიცაა. კონკაკაფის თავკაცები, რომლებიც ბლატერის უერთგულეს ადამიანებად არიან ცნობილნი, პირველად ფიფას 98-წლიან ისტორიაში, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს უნდობლობას უცხადებენ და მის თანამდებობიდან წასვლას მოითხოვენ.

მაინც რა მოხდა ასეთი? საქმე ისაა, რომ ჯეკ ვორნერს და, შესაბამისად, ჩაკ ბლეიზერსაც თავიანთ პოსტებზე ყოფნის სიამოვნების გახანრძლივება სურთ, ამ სურვილს კი საშიშროება დაემუქრა. კონკაკაფის პრეზიდენტის არჩევნებზე, რომელიც 20 აპრილს მაიამიში ჩატარდება, თავისი კანდიდატურა მექსიკელმა ედვარდო მენდესმაც წამოაყენა. ეს კი კონკაკაფის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ გვარიან საშიშროებად აღიქვა. სწორედ ამიტომ, მექსიკელს, როგორც კონკაკაფის ერთ-ერთ თანამშრომელს, არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალა. რაზეც ეს უკანასკნელი, რაღა გასაკვირია, არ დათანხმდა. საბოლოოდ საქმე ფიფას აღმასრულებელ კომიტეტამდე მიგორდა, სადაც გადაწყდა, რომ ეს საქმე თავად კონფედერაციამ მოაგვაროსო, ანუ ბლატერი თავის მეგობრებს დაეხმარა. მაგრამ სწორედ აქ აიმაღლა ხმა ბლატერის თანაკანტონელმა ზენ-რუფინენმა და მექსიკელს მისი საქმის ბიუროზე გატანას შეჰპირდა. ახლა, ალბათ, გასაგებია, თუ რატომ სკდებოდნენ გულზე კონკაკაფის ხელმძღვანელები. ყოფილმა მსაჯმა ზენ-რუფინენმა აშკარად ესროლა ხელთათმანი ბლატერს, რითაც დიდი ხნის განმავლობაში მოარული ხმები მათ შორის დაპირისპირების თაობაზე აშკარაზე აშკარა გახადა.

ზენ-რუფინენთან დაპირისპირებამ ბლატერის ფიფას პრეზიდენტად არჩევის ყბადაღებული თემა ისევ აქტუალური გახადა. ბლატერს 1998 წელს იუჰანსონისთვის წაგლეჯილი ხმები, ფინანსური მაქინაციები, კორუფცია, ანუ ყველაფერი ის, რაც ასე ახლობელია ჩვენთვის, ქართველებისთვის, გაუხსენეს. ამას ფიფას პარტნიორის ISL-ISMM-ის ფინანსური კრახიც თან დაერთო.

ფიფას ახალი პრეზიდენტის არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე ბლატერის შანსები დროის გასვლასთან ერთად გეომეტრიული პროგრესიით მცირდება.

დალმართზე დაქანებულ ბლატერს ზურგს კარგი მოზრდილი ლოდი ფიფას კიდევ ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა, ჩანგ მონდ-ჯუნმაც დაადევნა. ავსტრალიური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ჩანგმა ბლატერს სავარძლის დატოვება ურჩია და იმ სავარძელში კამერუნელი ჰაიატოს ჩაჯდომას დაუჭირა მხარი. „ვფიქრობ, ისა ჰაიატო ფიფას მომავალია, ბლატერი კი, აბა, რა ვთქვა, ის ჭკვიანი კაცია და ყველაფერს თავად მიხვდება. ფაქტია, რომ მისი პრეზიდენტობა ფაქტობრივად, ჟოაო აველანჟის 24-წლიანი მმართველობის გაგრძელებაა. ჩვენ კი ახალი გზით გვინდა სიარული" — განაცხადა ჩანგ მონდ ჯუნმა.

ზემოხსენებული ჩანგ მონგ ჯუნის განცხადება ბლატერის პოზიციების კიდევ უფრო შესუსტებაზე მეტყველებს. იქნებ მართლაც საჭიროა ახალი ხელმძღვანელობა. დღევანდელი გადასახედიდან ფიფაში ახალი პრეზიდენტის მოსვლა თითქოს გარდაუვალადაც კი ჩანს. ზეპ ბლატერს იდეებსაც უწუნებენ, მუშაობის სტილსაც, მოკავშირეებიც გაურბიან და ფინანსური პარტნიორებიც უკოტრდებიან. მომავალი ორი თვე პრეზიდენტისთვის ძალიან მძიმე იქნება.

**სერგი ძორიძე**

# ცხვირი ჰგავს? ჰგავს...

## პელემ მეექვსე აღიარა

**როგორია**, შვილს ფლავია კრისტინა კურც ვ. დე კარვალიო ერქვას, მამას კი მხოლოდ და მხოლოდ პელე? და ის როგორია, შვილი გყავდეს ამსიგრძე სახელით, შენ კი მთელი 34 წელიწადი არ იცოდე?

ერთი სიტყვით, როდესაც სან პაულუელმა ფლავია კრისტინა კურც ვ. დე კარვალიომ განაცხადა, პელე მამაჩემია და მალიაროსო, ფეხბურთის მეფეს ხუთი შვილი, ზოგი დამახსოვრებული, ზოგიც მერე გაცნობილი, უკვე ჰყავდა და ვინ იცის, გულზე შემოეყარა, ეს ვინღააო, მაგრამ რომ ნახა...

მართლაც, ამ ფოტოს შემყურე ჩვენ, მაგალითად, მათ მამა-შვილობაში ეჭვი არ გვეპარება, და პელესაც ეყო რაინდობა, ჩადენილი ეღიარებინა. ჩადენით კი მეფეს 1968 წელს ჩაუდენია ერთხელ ნანახ და მერე დავიწყებულ ქალთან, რომელიც, როგორც ხვდებით, ფლავია კრისტინა კურც ვ. დე კარვალიოს დედიკოა.

და ისევე, როგორც ბრაზილიურ სერიალებში, ბრაზილიურ ცხოვრებაშიც ყველაფერი კარგად დასრულდა — მამამ და შვილმა ერთმანეთი ნახეს (იტირეს თუ არა, ვერ გეტყვით), რის შემდეგაც მამამ თქვა, ამის ჭამა-სმა და ჩაცმა-დახურვა ჩემზე იყოსო.

ფოტო კი სან პაულუშია გადაღებული, როდესაც ფლავია კრისტინა კურც ვ. დე კარვალიო ჟურნალისტებს ფეხბურთის მეფის შვილის ანუ პრინცესის რანგში წარუდგა.





# იტალია

პაპუნა კაპია



დავიდ ტრეზეგე მუდამ „მკვლელობის" ადგილზეა

# დაქირავებული მკვლელების ტური

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| ზვალ | | |
| ინტერი | - | ბრეშა |
| ლეჩე | - | კიევო |
| ფიორენტინა | - | ლაციო |
| იუვენტუსი | - | მილანი |
| რომა | - | პარმა |
| ვენეცია | - | პერუჯა |
| ბოლონია | - | პიაჩენცა |
| ატალანტა | - | ტორინო |
| ვერონა | - | უდინეზე |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 30 | 18 | 8 | 4 | 53:27 | 62 |
| რომა | 30 | 16 | 12 | 2 | 49:23 | 60 |
| იუვენტუსი | 30 | 16 | 11 | 3 | 55:23 | 59 |
| ბოლონია | 30 | 14 | 7 | 9 | 37:34 | 49 |
| მილანი | 30 | 12 | 12 | 6 | 42:31 | 48 |
| კიევო | 30 | 12 | 11 | 7 | 50:42 | 47 |
| ლაციო | 30 | 11 | 11 | 8 | 40:29 | 44 |
| ტორინო | 30 | 10 | 10 | 10 | 34:35 | 40 |
| ატალანტა | 30 | 11 | 7 | 12 | 36:45 | 40 |
| პარმა | 30 | 10 | 7 | 13 | 37:41 | 37 |
| პერუჯა | 30 | 10 | 7 | 13 | 32:44 | 37 |
| პიაჩენცა | 30 | 9 | 9 | 12 | 43:38 | 36 |
| ვერონა | 30 | 10 | 6 | 14 | 35:43 | 36 |
| ბრეშა | 30 | 7 | 13 | 10 | 36:45 | 34 |
| უდინეზე | 30 | 9 | 7 | 14 | 38:48 | 34 |
| ლეჩე | 30 | 6 | 9 | 15 | 32:47 | 27 |
| ფიორენტინა | 30 | 5 | 7 | 18 | 28:55 | 22 |
| ვენეცია | 30 | 3 | 8 | 19 | 28:55 | 17 |

**წინა ტურში** ბევრი საინტერესო რამ მოხდა. შეგახსენებთ: „ინტერმა" შინ წააგო „ატალანტასთან", „რომამ" უკვე გავარდნილ „ვენეციას" ვერ მოუგო (მეტიც, თამაშის ბოლომდე 0:2-ს აგებდა და ორი პენალტის წყალობითღა მოახერხა ერთი ქულის წალება), ხოლო „იუვენტუსმა" პერუჯაში 4:0 გაიმარჯვა. თუ გახსოვთ, იმ ტურის მიმოხილვაში, კონკრეტული შედეგებიდან, ზოგადი ვითარებიდან, იტალიაზე ნანახი ფილმებიდან და წაკითხული წიგნებიდან გამომდინარე ლოგიკურად დავასკვენით, რომ ყველაფერი მაფიის ხელშია. და აი, მორიგი, 31-ე ტურის ანონსის დასაწერად რომ მოვემზადეთ და საკუთარი ცოდნის უცხოური მასალებით გამდიდრება გადავწყვიტეთ, მავანი სტიუარტ კოგინის წერილში ამოვიკითხეთ ფრაზა: „იუვენტუსისთვის" წინა ტური ციხიდან გათავისუფლების ტოლფასი იყო, რადგან..." და შემდეგ „ინტერისა" და „რომას" ის ანგარიშები ეწერა, რომლითაც ჩვენი ანონსი დავიწყეთ. მაშ ასე, ფაქტი ჯიუტია: უცხოელი მიმომხილველებიც თავის წერილს კრიმინალურ ილუზიებზე დაყრდნობით აწყობენ. რატომ?

ამ კითხვაზე პასუხი თქვენთვის მოგვინდია, ჩვენ კი დაქირავებულ მკვლელებზე გადავიდეთ. დავიდ ტრეზეგე! ვინც იტყვის, რომ ტრეზეგე დაქირავებული არ არის და „იუვენტუსის" მეპატრონეა, პირველმა გვესროლოს ქვა. ახლა მკვლელობაზე. განა მკვლელობა არ იყო, რაც მან ევრო 2000-ის ფინალში იტალიელებს გაუკეთა? და რასაც მერე „იუვეს" შემადგენლობაში თითქმის ყოველ მატჩში აკეთებს, მკვლელობა არ არის? თუნდაც ბოლო ტურში, „პერუჯას" მე-9 წუთზევე რომ გაუტანა და თანაგუნდელებს კიდევ სამის გატანისკენ გაუხსნა ხელ-ფეხი, მკვლელობა არ იყო? სწორედ ამის შემდეგ გამოვიდა „იუვე" ციხიდან და ისევ გაუჩნდა სკუდეტოს მოპოვების შანსი, ხოლო ევროპული პრესა ფრანგს უკვე რა ხანია, ყველაზე საშიშ თავდამსხმელს უწოდებს.

და ამ უქმეებზეც, „მილანთან" შეხვედრაში ტურინელების მთავარი კოზირი — ბუნებრივია, ჩინებულად ათამაშებულ დელ პიეროსთან ერთად — დავიდ ტრეზეგე იქნება.

ახლა „მილანზე" ვთქვათ. კარლო ანჩელოტი და მისი გუნდი გააფთრებულია და სახიფათოა. მათ მეოთხე ადგილზე გასვლა და სამომავლო ჩემპიონთა ლიგაში ადგილის დაბევება უნდათ (თან უეფას თასიდანაც რომ გამოვარდნენ?). არადა, იცით იტალიაში რას ამბობენ? „მილანის" სიმბოლო, მისი გამთამაშებელი რუი კოშტა, რომელზეც სეზონის დასაწყისში დიდ იმედებს ამყარებდნენ, სეზონის ბოლოს რასაც წარმოადგენს ყველანი ვხედავთო. ესეც შეურაცხყოფა! თან, ანჩელოტისაც წყალი აქვს შეყენებული. მაგრამ ისიც გავიგეთ, საკმარისია „შავ-წითლებმა" დარჩენილ ოთხ ტურში წარმატებით ითამაშონ, მწვრთნელის მომხსნელი აღარავინ იქნებაო.

ხოლო თავისი მკვლელი „მილანსაც" ჰყავს, თან ორი — ერთი რომ იშტაზე ვერ არის, მკვლელობებს მეორე სჩადის და მას ფილიპო ინძაგი ჰქვია. რაც გამოჯანმრთელდა, ინძაგი ჩინებულად ასრულებს თავის საქმეს, თუმცა ანჩელოტის, ბუნებრივია, მისი და ანდრეი შევჩენკოს ერთობლივად ჩადენილი „დანაშაული" ურჩევნია.

ერთი სიტყვით, ამ ტურში „დელე ალპიზე" დიდი საქმის გარჩევაა, რომელმაც შეიძლება ბევრ კითხვას გასცეს პასუხი, მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, რომ სკუდეტოს თუ სხვა რეგალიების ბედი მხოლოდ ერთ თამაშზე არ არის დამოკიდებული.

განა „რომას" და „პარმას" შეხვედრა ნაკლებია? „პარმა" მართალია, მთლად გასავარდნთა შორის არ არის, მაგრამ თავიც ქუდში არ აქვს, ხოლო „რომაზე" ლაპარაკიც ზედმეტია — ცნობილია, სადაც არის და რატომაც სჭირდება ქულები. ვფიქრობთ, აქ იმისი განხილვაც ზედმეტია, რომაელებმა მოგებით რა შეიძლება მიიღონ და წაგებით რა. საკმარისია ცხრილში ჩავიხედოთ, რომ ყველაფერი ნათელი გახდება. ერთადერთი, რასაც ამ თამაშთან დაკავშირებით ვერ ვხედებით, მისი კრიმინალურ სამყაროსთან კავშირია. არადა, ჩვენი ბოლო მიმოხილვები იმ მიმართულებისაა, რომ ეს კავშირი აუცილებლად მოსაძებნი გვაქვს.

არა უშავს, შევხედავთ თამაშს და ყველაფერს მივხვდებით. ყოველ შემთხვევაში, ის ნაღდია, რომ „პარმას" წარმატება გულწრფელად გაუხარდებათ „ინტერისა" და „იუვენტუსის" ქომაგებს.

სხვათა შორის, ლიდერ გუნდებს შორის ბრძოლამ ჩინოსანთა ურთიერთლანძღვის ფორმაც რომ მიიღო, იცოდით? კერძოდ, „იუვეს" დირექტორმა ანტონიო გირაუდომ „რომას" ვენეციაში ნათამაშებ ფრეზე ეჭვი რომ გამოთქვა და მისი პრეზიდენტისგან, ფრანკო სენსისგან მკვახე-მკვახე რომ მიიღო პასუხად... ოჰ, ეს მაფია!

სკუდეტოს კონკურენტთაგან ყველაზე იოლი თამაში კი „ინტერს" აქვს, იგი „ბრეშას" მასპინძლობს. ისე, წინა ტურში „ატალანტასთან" წაგების შემდეგ ყველაფერია მოსალოდნელია მაგრამ მეორე მხრივ მეტისმეტი გამოდის, „ატალანტასთან" წაგება, უეფას თასზე „ფეიენოორდთან" გავარდნა... არა, ცხადია, ყველაფერი მაფიაზეა დამოკიდებული, მაგრამ არც ის მაფია უნდა იყოს მთლად გადარეული, ხომ არ შეიძლება ლიდერმა უცბად ყველა თამაშში წაგება დაიწყოს! და „ინტერის" დაქირავებულ მკვლელ კრისტიან ვიერის რაღას ვუშვებით? მაგას ხომ სწორედ მეტოქეთა იმედების მოკვლაში უხდიან ფულს, თან დიდძალს.

ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, 31-ე ტური დაქირავებული მკვლელებისა იქნება.

# ინგლისი

დავით ჭელია

# თასი ლიგას გუნდებს სტაცებს

## ცხვარმა მგლებთან უნდა გაიტანოს

| XXXV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ასტონ ვილა | - | ლიდსი |
| ჩარლტონი | - | საუთჰემპტონი |
| დერბი | - | ნიუკასლი |
| ევერტონი | - | ლესტერი |
| სანდერლენდი | - | ლივერპული |
| ტოტენჰემი | - | ვესტ ჰემი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 33 | 21 | 9 | 3 | 68:33 | 72 |
| მანჩესტერი | 34 | 22 | 4 | 8 | 83:44 | 70 |
| ლივერპული | 33 | 20 | 8 | 5 | 55:26 | 68 |
| ჩელსი | 35 | 16 | 13 | 6 | 63:32 | 61 |
| ნიუკასლი | 33 | 18 | 7 | 8 | 62:44 | 61 |
| ლიდსი | 34 | 15 | 12 | 7 | 50:36 | 57 |
| ვესტ ჰემი | 33 | 13 | 7 | 13 | 41:50 | 46 |
| ტოტენჰემი | 34 | 13 | 6 | 15 | 45:49 | 45 |
| მიდლსბრო | 34 | 12 | 9 | 13 | 34:40 | 45 |
| ასტონ ვილა | 34 | 10 | 13 | 11 | 39:42 | 43 |
| საუთჰემპტონი | 34 | 11 | 8 | 15 | 41:49 | 41 |
| ჩარლტონი | 34 | 10 | 11 | 13 | 35:43 | 41 |
| ევერტონი | 34 | 10 | 9 | 15 | 38:49 | 39 |
| ბოლტონი | 34 | 9 | 12 | 13 | 42:54 | 39 |
| სანდერლენდი | 34 | 10 | 8 | 16 | 26:44 | 38 |
| ფულემი | 34 | 8 | 13 | 13 | 32:41 | 37 |
| ბლექბერნი | 33 | 9 | 9 | 15 | 42:43 | 36 |
| იფსვიჩი | 34 | 8 | 9 | 17 | 40:56 | 33 |
| დერბი | 34 | 8 | 5 | 21 | 30:56 | 29 |
| ლესტერი | 34 | 4 | 10 | 20 | 24:59 | 22 |

**პრემიერლიგის** ოცდამეთხუთმეტე ტური არასრულია, რადგან მსოფლიოს მნიშვნელობის თამაშიც რომ იყოს, ინგლისის ასოციაციის თასს ვერ გადაწონის. პლანეტის უძველეს საფეხბურთო შეჯიბრს, ცხადია თავისი კალენდარი აქვს და მას ვერც პრემიერლიგის კალენდარი გადასძალავს და ვერც ჩემპიონთა ლიგისა. ანუ ასოციაციის თასის მატჩისთვის ინგლისში ყველა სხვა თამაშის გადადება შეიძლება და არა პირიქით.

მოკლედ, დღეს თასის ნახევარფინალია, რომელშიც „არსენალი" „მიდლსბროს" ეთამაშება. თასის ნახევარფინალებზე ზოგი რამ ევროთასების თვალსაზრისითაცაა დამოკიდებული: უეფას თასის საგზური ან მარტო მე-5 ადგილოსანს ერგება, ან მე-6 ადგილზე გასულსაც. „ასტონ ვილა" — „ლიდსის" პრემიერლიგური მატჩი სწორედ უეფას თასის მხრივაა საინტერესო.

ბირმინგემელებს კრიტიკული დღეები უდგათ. „ვილა პარკზე" და სტუმრადაც ისინი ბევრად მეტ ქულას გასცემენ, ვიდრე იხვეჭენ და ბოლო 11 თამაშიდან მხოლოდ 1 მოიგეს. მე-10 პოზიციაზე მყოფ „ასტონ ვილას" (ვინც სეზონის დასაწყისში შეუდარებლად მაღალ ადგილებზე იყო წამოსკუპებული) უეფას თასის საგზურზე ფიქრი ჯერაც შეუძლია, თუ არა — ინტერნეტოტო და მისი ჯანი. ყოველ შემთხვევაში, ინგლისის მეორე ქალაქის (მოსახლეობით) გუნდი მშობლიურ სტადიონზე გააფთრებით იბრძოლებს და ერთ ჯარისკაცად ადრე სახელოვანი „მეთოფე", პოლ მერსონი ეყოლება. მერსონმა ოთხი თამაში აქილევსის მყესის გამო გამოტოვა და ტრავმები გახლავთ „ლიდსის" პრობლემაც. მუხლის აღდგენის შემდეგ იორკშირელთა დაცვას ჩაკირავს რიო ფერდინანდი, მაგრამ გუშინდელ „სარბიელში" ამოიკითხავდით ჯონათან ვუდგეიტის ყბის გატეხვის ამბავს. სხვის დამწიხლავ (პაკისტანელი სტუდენტი, საფრაზ ნაიჯები იგულისხმება) ვუდგეიტს ახლა აქეთ შესდგნენ წიხლებით და ეს სეზონი მისთვის უკვე დამთავრდა. დევიდ ოლირი იძულებულია, ბოლომდე გამოუშუშებელ რეზერვებს უხმოს. კერძოდ, სამხრეთაფრიკელმა ლუკას რადებემ ტერფის და მუხლის დაზიანებათა გამო მთელი სეზონი გააცდინა და ამჯერად მისი გამოჩენა მოსალოდნელია. შეიძლება ჰარი კიუელმაც ითამაშოს.

მეორე მნიშვნელოვანი თამაში: „ტოტენჰემ ჰოთსპური" (მე-8 ადგილი) „ვესტ ჰემ იუნაიტედის" (მე-7) წინააღმდეგ. ჩრდილოლონდონელებს ბოლო ტურებში გაწბილება სდევთ და დღესაც არ ეყოლებათ უმნიშვნელოვანესი ხალხი: მაურიციო ტარიკო და ლეს ფერდინანდი. ვინძლო, ლედლი კინგმა და სტეფენ ივერსენმაც ვერ ითამაშონ. „ვესტ ჰემს" კი არ ეყოლება კლუბის ლერძი პაოლო დი კანიო, რამაც შეიძლება გუნდის თამაშზე იმოქმედოს და 6 თამაშიდან მეხუთის მოგებაში ხელი შეუშალოს.

ხოლო საბრალო „დერბი ქაუნთი" უნუგეშო დღეშია. დღეს ეთამაშება „ნიუკასლს", მერე „ლივერპულს", მერე „ლიდსს", არის ბოლოსწინა ადგილზე და მოკლედ, დიდი შანსია, პრემიერლიგას გამოეთხოვოს. ჯონ გრეგორისს გამწვრთნელების დროინდელი ოპტიმიზმი შიშინით ჩაქრა, „ცხვრებმა" ზედიზედ ოთხჯერ შეაჭამეს თავი მეტოქეებს. თავის მხრივ, ჯორდებიც ვერ ვარგანან სეზონის მეორე ნახევარში, ჩემპიონთა ლიგის საგზურს „ჩელსი" ეცილებათ და ამ მატჩის მოგებას სულით და გულით ეცდებიან. ნაადრევი კი არისო, ბრძანებს ბობი რობსონი, მაგრამ შეიძლება, შეცვლაზე კრეიგ ბელამიც შევუშვაო.

„ევერტონი" ცოცხალ-მკვდარ „ლესტერს" უმასპინძლებს სრულიად უმოტივაციო მატჩში. არარც „ჩარლტონის" და „საუთჰემპტონის" ბრძოლას ექნება რამე ინტრიგა. ეს გუნდები ცხრილის შუაში მყარად დამკვიდრებულან.



რიო ფერდინანდი



ჯონ გრეგორი

# გერმანია

სოლომონ გულიაშვილი

# ბაიერნი ჯერ არ დამთავრებულა



შტეფან ეფენბერგი და ოტმარ ჰიცფელდი ლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლებენ

**ეს კვირა** მიუნხენის „ბაიერნისთვის“ მეტად დრამატული გამოდგა. გერმანული მედიის მთავარი თემაც, ცხადია, ევროპის საკლუბო ჩემპიონის მომავალია, რომელიც მადრიდის „რეალთან“ მარცხის შემდეგ, გაისად, შესაძლოა, ლიგის მიღმა დარჩეს. ბუნდესლიგაში ოთხი ტურიღა დარჩა გასამართი და „ბაიერნი“ ჯერჯერობით მეოთხე ადგილზეა. მოგეხსენებათ, ახალი სეზონიდან გერმანიას ჩემპიონთა ლიგაში ერთი ადგილი მოაკლდა, პირველ-მეორე ადგილოსნები პირდაპირ მიიღებენ ჯგუფური ეტაპის საგზურს, ხოლო მესამეს ერთი საკვალიფიკაციო წრის გავლა მოუწევს. ასე რომ, მიუნხენელთა მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, მით უმეტეს, რომ მესამეზე მდგარი „შალკე“ ბოლო დროს ჩინებულად თამაშობს.

მოკლედ, 1994-95 წლების სეზონის შემდეგ „ბაიერნი“ შეიძლება პირველად დარჩეს რაიმე ტიტულის გარეშე. ეს, ბუნებრივია, ყველაზე მეტად თავად მიუნხენელებს აწუხებთ და გამოსავალს ეძებენ. „რეალთან“ წაგების მერე მათმა ფრანგმა მცველმა ბიქსენტ ლიზარაზუმ განაცხადა, ახლა გერმანიის ჩემპიონატს გაათკეცებული ყურადღებით მივხედავთ და ვეცდებით, აუცილებლად მოვიპოვოთ ლიგის საგზურიო. ხოლო მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, ახლანდელი შემადგენლობის ხანა ჯერ არ დამთავრებულა, თუმცა გაისისთვის საკადრო ცვლილებებს აუცილებლად მოვახდენთო. ახალ სისხლზე ლაპარაკობს კლუბის მენეჯერი ული ჰოენესიც: „გულდაწყვეტილი გახლავართ, მაგრამ არ გავმტყდარვართ. სეზონის დასაწყისშიც ვიცოდით, რომ პრობლემები გველოდა. ახალი ფეხბურთელები გვჭირდება, რომლებსაც მეტი მოტივაცია ექნებათ“.

შეგახსენებთ, რომ ზაფხულიდან „ბაიერნს“ ლევერკუზენელი მიხაელ ბალაკი და ჰერტელი სებასტიან დაისლერი დაემატებიან. „ზე რობერტოს გადაბირებასაც ვეცდებით. ცხოვრებაში ალმასვლას დაცემა მოსდევს. პირადად მე, დამარცხების შემდეგ უფრო ვძლიერდები. ასე იქნება „ბაიერნიც“ — დასძინა ჰოენესმა.

დღეს „ბაიერნი“ „ნიურნბერგს“ დისკვალიფიცირებული განელი სემი კუფურისა და დაშავებული მეხმეთ შოლის გარეშე შეეჭიდება, მასპინძლებს კი ტრავმირებული ნახევარმცველი რაიკო ტავკარი და თავდამსხმელი კრისტიან მიოკელი არ ეყოლებათ.

წინა კვირის გმირი და ბუნდესლიგის ლიდერი „ლევერკუზენი“ კი „ჰამბურგს“ ესტუმრება. „ლევერკუზენმა“ სამშაბათს თავის „ბაიარენაზე“ ფანტასტიკური ფეხბურთი ითამაშა და ლიგიდან „ლივერპული“ გააგდო, ახლა ნახევარფინალში „მანჩესტერთან“ უწევს შეხვედრა, 11 მაისს კი ბერლინში გერმანიის თასის ფინალში „შალკეს“ დაუპირისპირდება.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მთავარი მაინც ბუნდესლიგის ჩემპიონობაა. მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა თქვა: „გუშინ „ლივერპული“ იყო, დღეს „ჰამბურგია“, ყველგან თავდადებაა საჭირო. წარმატება ძალიან გვწყურია, ბევრ ჩვენთაგანს ასეთი დიადი დროება ეგებ კიდევ დიდ ხანს არ ეღირსოს, ამიტომ მომენტი ხელიდან არ უნდა გავუშვათ“.

ტოპმიოლერი ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად ლაპარაკობს კლუბის მომავალზე, მწვრთნელს გული სწყდება, გაისად ჩემი ნამუშევრიდან, შესაძლოა, აღარაფერი დარჩესო. მართლაც, თუ ბალაკი, ზე რობერტო და ლუსიო გაიყიდნენ, ყველაფრის თავიდან დაწყება გახდება საჭირო: „პერსპექტივა ძალიან მაშფოთებს, ასეთი ჩინებული სეზონის მერე, წესით, ახალი ფეხბურთელები უნდა მოგვეწვია და უფრო გავძლიერებულიყავით, მაგრამ პირიქით ხდება, საუკეთესოებს ვკარგავთ“.

გერმანული მედიის აზრით, ქვეყნის სატრანსფერო ბაზარზე მომხდარი ცვლილებები მედიაგიგანტ „კირხის ჯგუფის“ გაკოტრებამ გამოიწვია, რომელიც გერმანული კლუბების შემოსავლის ლამის მთავარი წყარო იყო. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ბუნდესლიგის ფეხბურთელებს ხელფასები შეუმცირდებათ.

ბაიერელები ჰამბურგში, ცხადია, მოსაგებად ჩადიან, თანაც „ჰამბურგს“ „ლევერკუზენისთვის“ შინ 1993 წლის მერე აღარ მოუგია.

სტუმრად ითამაშებს „შალკეც“. ჰუუბ სტევენსის ბიჭები ბრემენის „ვეზერშტადიონზე“ ლამის უმოტივაციოდ დარჩენილი „ვერდერის“ გატეხვას შეეცდებიან, იმ „ვერდერისა“, რომელიც ორი ტურია ბოლო წამებზე გატანილი გოლებით გადის ფონს. ასე მოხდა ჯერ „ჰანზასთან“ (4:3), მერე „ბაიერნთან“ (2:2). მასპინძლებს უნგრელი გამთამაშებელი კრისტიან ლისტეში დააკლდებათ, ხოლო სტუმრებს დაშავებული გაგერმანელებული განელი ჯერალდ ასამოა.

ცალი ფეხით მეორე ბუნდესლიგაში ჩამდგარი ჩვენებურთა „ფრაიბურგი“, რომელსაც 26 იანვრის შემდეგ 11 ტურია აღარ გაუმარჯვია, დღეს „მიუნხენს“ „ოლიმპიაშტადიონზე“ ერთი ქართველით დაუპირისპირდება — სამხრეთ აფრიკასთან დაშავებული ალექსანდრე იაშვილი ვარჯიშს რამდენიმე დღეა შეუდგა, ხოლო ლევან კობიაშვილი ყვითლების გადახარჯვის მიზეზით დაისვენებს. „კიკერის“ ინფორმაციით, კობიაშვილის არყოფნაში კაპიტნის სამკლაურს რუსი ვლადიმირ ბუტი გაიკეთებს, ხოლო ფოლკერ ფინკე ძველ დროს გაიხსენებს და მასპინძელთა შევიწროებას ოთხი შემტევი ნახევარმცველით (ჰერმელი, ცქიტიშვილი, ბუტი, კულიბალი) ეცდება, თავდასხმაში კი ბოლო ტურების მეწყვილეები, ტუნისელი სელიმი და ფრანგი რამდანე ითამაშებენ.

მიუნხენელების ბანაკში სიახლე ის არის, რომ ბებერი თორსს ჰესლერი დისკვალიფიცირებული ჩეხი ტომაშ ვოტავას მაგიერ ლიბეროობას იკისრებს.

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ნიურნბერგი | - | ბაიერნი |
| გლადბახი | - | ვოლფსბურგი |
| მიუნხენი | - | ფრაიბურგი |
| კიოლნი | - | ზანქტ პაული |
| ჰამბურგი | - | ლევერკუზენი |
| ვერდერი | - | შალკე |
| ჰერტა | - | ჰანზა |
| ხვალ | | |
| შტუტგარტი | - | კოტბუსი |
| ლაუტერნი | - | დორტმუნდი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 30 | 20 | 5 | 5 | 73:33 | 65 |
| დორტმუნდი | 30 | 18 | 7 | 5 | 54:27 | 61 |
| შალკე | 30 | 17 | 7 | 6 | 49:28 | 58 |
| ბაიერნი | 30 | 16 | 8 | 6 | 56:22 | 56 |
| ჰერტა | 30 | 16 | 7 | 7 | 57:33 | 55 |
| ლაუტერნი | 30 | 15 | 5 | 10 | 53:46 | 50 |
| ვერდერი | 30 | 14 | 5 | 11 | 45:38 | 47 |
| შტუტგარტი | 30 | 12 | 8 | 10 | 38:35 | 44 |
| მიუნხენი | 30 | 13 | 3 | 14 | 46:51 | 42 |
| ვოლფსბურგი | 30 | 10 | 7 | 13 | 49:47 | 37 |
| გლადბახი | 30 | 9 | 10 | 11 | 36:44 | 37 |
| ჰამბურგი | 30 | 9 | 9 | 12 | 40:48 | 36 |
| ჰანზა | 30 | 9 | 6 | 15 | 32:45 | 33 |
| კოტბუსი | 30 | 9 | 6 | 15 | 33:52 | 33 |
| ნიურნბერგი | 30 | 8 | 4 | 18 | 28:51 | 28 |
| ფრაიბურგი | 30 | 5 | 9 | 16 | 28:53 | 24 |
| ზანქტ პაული | 30 | 4 | 10 | 16 | 32:58 | 22 |
| კიოლნი | 30 | 4 | 8 | 18 | 18:56 | 20 |

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# ვალენსია ფინალშია

## ბარსელონა ფიქრმა წაიღო

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| მალიორკა | - | ვალენსია |
| ხვალ | | |
| ვილიარეალი | - | სელტა |
| ბარსელონა | - | ალავესი |
| სარაგოსა | - | ბილბაო |
| სევილია | - | ლას პალმასი |
| რაიო ვალეკანო | - | ვალიადოლიდი |
| ოსასუნა | - | რეალი |
| ტენერიფე | - | ბეტისი |
| სოსიედადი | - | მალაგა |
| დეპორტივო | - | ესპანიოლი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 33 | 18 | 8 | 7 | 64:34 | 62 |
| ვალენსია | 33 | 17 | 11 | 5 | 43:25 | 62 |
| დეპორტივო | 33 | 17 | 7 | 9 | 54:37 | 58 |
| ბარსელონა | 33 | 15 | 9 | 9 | 54:31 | 54 |
| სელტა | 33 | 14 | 12 | 7 | 59:40 | 54 |
| ბეტისი | 33 | 13 | 14 | 6 | 35:26 | 53 |
| მალაგა | 33 | 12 | 12 | 9 | 39:37 | 48 |
| ალავესი | 33 | 15 | 3 | 15 | 36:37 | 48 |
| ბილბაო | 33 | 13 | 9 | 11 | 46:56 | 48 |
| ესპანიოლი | 33 | 12 | 8 | 13 | 41:46 | 44 |
| ვალიადოლიდი | 33 | 11 | 9 | 13 | 37:51 | 42 |
| სევილია | 33 | 10 | 10 | 13 | 44:38 | 40 |
| ლას პალმასი | 33 | 9 | 11 | 13 | 36:42 | 38 |
| ვილიარეალი | 33 | 9 | 10 | 14 | 40:45 | 37 |
| სოსიედადი | 33 | 10 | 7 | 16 | 39:48 | 37 |
| მალიორკა | 33 | 10 | 7 | 16 | 36:47 | 37 |
| ოსასუნა | 33 | 8 | 11 | 14 | 29:43 | 35 |
| სარაგოსა | 33 | 9 | 8 | 16 | 30:46 | 35 |
| რაიო | 33 | 8 | 10 | 15 | 37:50 | 34 |
| ტენერიფე | 33 | 8 | 8 | 17 | 25:45 | 32 |

**„რეალი“** და „ბარსელონა“ აქედანვე შესდგომიან ჩემპიონთა ლიგაში ერთმანეთთან დაპირისპირებაზე ფიქრს, „ვალენსიას“ კი, მოგეხსენებათ, პრიმერადივიზიონის მოგების გარდა სხვა საფიქრალ-საზრუნავი აღარაფერი შერჩა და „ხუთი ფინალიდან“ (ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა) პირველს გაითამაშებს „რეალ მალიორკასთან“. გუშინწინდელ „სარბიელში“ პრიმერადივიზიონის დარჩენილი ტურების და კალენდრის გარჩევისას აღვნიშნეთ, რომ თანაბარქულიანობის შემთხვევაში ჩემპიონი მადრიდის „რეალი“ ხდება და „ვალენსიას“ დედაქალაქელთა უცილობლად ქულებით გადასწრება მართებს. ჰოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ „რეალი“ ბლომად ქულების დამკარგავი არ ჩანს (საერთოდ თუ დაკარგა), „ვალენსიამ“ ხუთივე დარჩენილი მატჩი უნდა მოიგოს — ცხადია, ჩემპიონობას თუ ეპოტინება. აქვე შევნიშნოთ, რომ „ვალენსიამ“ ბოლოს 31 წლის წინ იჩემპიონა.

როგორც ვთქვით, დღეს ვალენსიელები „მალიორკას“ ხვდებიან და თითქოს მოგება არ უნდა გაუჭირდეთ, რაკიღა საუკეთესო სათამაშო ფორმას სწორედ ერთი-ორი კვირაა, რაც მიაღწიეს და ამის დასტურია წინა ტურში „რეალ სოსიედადის“ განადგურებაც (4:0).

„ცხადია, წნეხის ქვეშ ვართ მოქცეულნი — ქომაგი ჩვენგან აუცილებლად მოგებას ითხოვს — განაცხადა პაბლო აიმარმა — მაგრამ ეს ის წნეხია, რომელიც არ გვბოჭავს და პირიქით, საკუთარი შესაძლებლობების რწმენას გვმატებს.“

თავისი პრობლემები, ვალენსიელთაგან საპირისპიროდ, აქვთ ბალეარის კუნძულელებს. მათ გასავარდნთა ზონასთან ოდენ ორი ქულა აშორებთ, ხოლო ბოლო ტურში ლა კორუნიაში დიდი სირცხვილი ჭამეს (0:5).

კუნძულელებს, სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში ეყოლებათ კამერუნელი სამუელ ეტოო, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა, ა, ვალენსიელებს კი რობერტო ფაბიან აიალასა და მაურისიო პელეგრინოს გარეშე მოუწევთ თამაში.

თავში ვთქვით, ვინძლო „რეალი“ და „ბარსელონა“ უკვე ფიქრობდნენ ლიგის ნახევარფინალზეო. აი, დასტურიც — კარლოს რექსაჩი, სავარაუდოდ, „რეალისთვის“ შემოინახავს რივალდოს (არადა, იქამდე კვირაზე მეტი რჩება) და უბრაზილიელოდ დაუხვდება „ალავესს“, რომელთანაც პირველ წრეში, გეხსომებათ, საზიზღრად ითამაშა და დამარცხდა. „ბარსელონას“ კარს კი ხოსე მანუელ რეინა დაიცავს, რაკი რობერტო ბონანო ლიგის მეოთხედფინალში პანათინაიკოსელ ემანუელ ოლისადებესთან შეჯახებისას დაშავდა. ხოლო ბასკური გუნდი სრულ საბრძოლო შემადგენლობით წარსდგება „კამპ ნოუზე“, გულში კი უეფას თასზე გასვლა ამოუჭრია.

ბაიერნგამოვლილი „რეალი“ პამპლონაში ჩადის დისკვალიფიცირებულ რობერტო კარლოსის გარეშე. „სამეფო კლუბისთვის“ თითოეული ქულის მნიშვნელობაზე (ისევე როგორც „ოსასუნასთვის“) ლაპარაკს არ შევყვებით, ცხრილიდან ყველაფერი ნათლად ჩანს, მხოლოდ აღვნიშნოთ — „რეალს“ ბოლო შვიდი შეხვედრა არ წაუგია, ხოლო „ოსასუნამ“ ბოლო რვა მატჩში სამი ქულა გაჭირვებით დააგროვა.

„სელტამ“ წინა ტურში 0:2 წააგო „ესპანიოლთან“, არადა, იქამდე ოთხ შეხვედრაში თექვსმეტი გოლი გაიტანა. ვიგოელები ახლა „ვილიარეალს“ სტუმრობენ, სადაც დიდი ამბავია — იქაურ გუნდს მარტინ პალერმო დაუბრუნდა.

შეგახსენებთ, პალერმოს დამტვრევა, ალბათ, ყველაზე სულელური იყო იმ ვარიანტთაგან, რამაც ფეხბურთელი შეიძლება დააშავოს. ოთხი თვის წინ, სათასო მატჩში, არგენტინელმა გოლის გატანა სარეკლამო ფარზე ახტომით აღნიშნა. ფარი ჩატყდა და პალერმოს კოჭიც შეიწირა. „მოტეხილობის კვალიც აღარ დამრჩა — თქვა პალერმომ, ვის საპატივცემულოდაც თავის დროზე ნახევარმა „ვილიარეალმა“ თმა ყვითლად შეიღება — იოტისოდენა ტკივილსაც არ ვგრძნობ და არ არსებობს მიზეზი, რომელიც ძველებურად კარგად თამაშში ხელს შემიშლის.“

ისიც გეხსომებათ, როგორი ზარ-ზეიმით მივიდა ხავიერ კლემენტე „ტენერიფეში“. გუნდმა სამ მატჩში შვიდი ქულა მოიხვეჭა და თითქოს პრიმერადივიზიონში დარჩენის შანსიც გაუჩნდა, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, ზედიზედ სამი თამაში წააგო და, ფაქტობრივად, უიმედო ბოლოადგილოსანია. ამ ტურში კუნძულელები თოთხმეტ შეხვედრაში დაუმარცხებელ „რეალ ბეტისს“ მასპინძლობენ, რომელიც, სხვათა შორის, კლემენტეს ერთ-ერთი ყოფილი კლუბია.



მარტინ პალერმო: მე დავბრუნდი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 4,0 | 3,2 | 1,75 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| 18.30 | 002 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 18.30 | 003 | მიუნხენი-ფრაიბურგი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| 18.30 | 004 | კიოლნი-სტ. პაული | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3,6 | 3,2 | 1,85 | 1,65 | 1,2 | 1,15 |
| 18.30 | 006 | ვერდერი-შალკე | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 18.30 | 007 | ჰერტა-ჰანზა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 008 | ჰერტა-ჰანზა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 20.30 | 010 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | ალენი-შვაინფურტი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 015 | ალენი-შვაინფურტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 016 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 017 | ალემანია-უნიონი | 2,3 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 18.00 | 018 | უნტერჰახინგი-ფიურტი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 18.00 | 019 | ოსნაბრიუკი-ზაარბრიუკენი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 020 | ოსნაბრიუკი-ზაარბრიუკენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 23.15 | 021 | მაინცი-არმინია | 2,2 | 3,0 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXIX ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 024 | ბრაუნშვაიგი-ვერდერი (მ) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 17.00 | 025 | აუე-პადერბორნი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 17.00 | 026 | ვატენშაიდი-ფორტუნა | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| | 027 | ვატენშაიდი-ფორტუნა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 17.00 | 028 | მაგდებურგი-ლიუბეკი | 3,1 | 3,2 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| 17.00 | 029 | ქელნი-ქემნიცი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 17.00 | 030 | ლევერკუზენი (მ)-დრეზდენი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 17.00 | 031 | ფერლი-ურდინგენი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXIX ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 037 | რეგენსბურგი-ელვერსბერგი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 18.00 | 038 | ტრირი-კობლენცი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 039 | ტრირი-კობლენცი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 040 | მანჰაიმი-ვეჰენი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 041 | ზიგენი-ჰოფენჰაიმი | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXXV ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 043 | ასტონ ვილა-ლიდსი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 19.00 | 044 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 19.00 | 045 | დერბი-ნიუკასლი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 19.00 | 046 | ევერტონი-ლესტერი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 19.00 | 047 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 21.35 | 048 | სანდერლენდი-ლივერპული | 4,0 | 3,2 | 1,75 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXXV ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 052 | ჯილინგემი-სიტი | 3,3 | 3,4 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,2 |
| 19.00 | 053 | ბარნსლი-ნორვიჩი | 2,4 | 3,2 | 2,4 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 19.00 | 054 | ბრედფორდი-ვესტ ბრომვიჩი | 3,8 | 3,3 | 1,75 | 1,75 | 1,1 | 1,1 |
| 19.00 | 055 | კრისტალ პელასი-პრესტონი | 2,6 | 3,3 | 2,3 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 19.00 | 056 | გრიმსბი-ბერნლი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 19.00 | 057 | ნოტინგემი-ქრიუ | 2,1 | 3,3 | 2,8 | 1,25 | 1,1 | 1,5 |
| 19.00 | 058 | პორტსმუთი-უოტფორდი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 19.00 | 059 | როტერჰემი-ბირმინგემი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 060 | შეფილდი-უიმბლდონი | 2,0 | 3,3 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 19.00 | 061 | სტოკპორტი-უოლსოლი | 3,5 | 3,4 | 1,8 | 1,7 | 1,15 | 1,15 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 062 | ვულვერჰემპტონი-მილუოლი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXXV ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 065 | ბლექპული-ბრისტოლი | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,6 | 1,2 | 1,15 |
| 19.00 | 066 | ბორნმუთი-ჩესტერფილდი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 19.00 | 067 | ბრაიტონი-სუინდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 19.00 | 068 | ბერი-კოლჩესტერი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| 19.00 | 069 | კემბრიჯი-ტრანმერი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 19.00 | 070 | კარდიფი-ნოტსი | 1,5 | 3,5 | 5,3 | 1 | 1,15 | 2,1 |
| 19.00 | 071 | ჰადერსფილდი-პორტ ვეილი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 19.00 | 072 | ქუინზ პარკი-ბრენტფორდი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 19.00 | 073 | რედინგი-პიტერბორო | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 19.00 | 074 | სტოკი-რექსემი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 19.00 | 075 | უიგანი-ნორთჰემპტონი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| 19.00 | 076 | უიკომბი-ოლდჰემი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXXV ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 081 | რიუშდენი-ჰალი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 19.00 | 082 | კარლაილი-პლიმუთი | 3,8 | 3,3 | 1,75 | 1,75 | 1,1 | 1,1 |
| 19.00 | 083 | ჩელტენჰემი-ოქსფორდი | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 19.00 | 084 | დარლინგტონი-სკანთორპი | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| 19.00 | 085 | ჰარტლპული-სუონსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 19.00 | 086 | ლეიტონი-ექსეტერი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| 19.00 | 087 | ლინკოლნი-როჩდეილი | 4,2 | 3,5 | 1,65 | 1,9 | 1,15 | 1,1 |
| 19.00 | 088 | ლუტონი-მაკლსფილდი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 19.00 | 089 | რაშდენი-კიდერმინსტერი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 19.00 | 090 | საუთენდი-შრუსბერი | 3,0 | 3,3 | 2,0 | 1,55 | 1,2 | 1,2 |
| 19.00 | 091 | ტორკი-ჰალიფაქსი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,05 |
| 19.00 | 092 | იორკი-მენსფილდი | 3,3 | 3,4 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,2 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **XXXII ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 20.15 | 095 | ოსერი-სედანი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,3 |
| 23.00 | 096 | ლიონი-მონპელიე | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 23.00 | 097 | გენგამი-ბორდო | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 23.00 | 098 | ნანტი-ლორიანი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| 23.00 | 099 | ლილი-მონაკო | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 23.00 | 100 | მეცი-რენი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 23.00 | 101 | სოშო-ტრუა | 1,9 | 3,0 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,65 |
| 23.00 | 102 | ბასტია-ლანსი | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 104 | ნანსი-სტ. ეტიენი | 2,0 | 2,5 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,5 |
| 23.00 | 105 | ნიცა-მარტიგი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 23.00 | 106 | ნიორი-ამიენი | 2,0 | 2,5 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,5 |
| 23.00 | 107 | ისტრი-ლე ავრი | 2,9 | 2,6 | 2,5 | 1,35 | 1,3 | 1,25 |
| 23.00 | 108 | სტრასბური-გენიონი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 23.00 | 109 | ბოვე-ვალანსი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 23.00 | 110 | შატორუ-ლე მანი | 2,5 | 2,8 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,35 |
| 23.00 | 111 | ლავალი-გრენობლი | 1,75 | 2,8 | 4,7 | 1,05 | 1,25 | 1,7 |
| 23.00 | 112 | კანი-კრეტეი | 1,9 | 3,0 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 21.15 | 113 | ნიმი-აიაჩიო | 3,4 | 2,9 | 2,0 | 1,55 | 1,25 | 1,15 |
| | | **იტალია. სერია „ა". XXXI ტური** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 114 | ატალანტა-ტორინო | 2,1 | 2,2 | 4,4 | 1,05 | 1,4 | 1,45 |
| 18.00 | 115 | ბოლონია-პიაჩენცა | 1,55 | 3,1 | 6,0 | 1 | 1,2 | 2 |
| 18.00 | 116 | ფიორენტინა-ლაციო | 5,0 | 3,6 | 1,5 | 2,05 | 1,1 | 1,05 |
| 18.00 | 117 | ინტერი-ბრეშა | 1,3 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,55 |
| | 118 | ინტერი-ბრეშა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 119 | იუვენტუსი-მილანი | 1,6 | 3,1 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 1,95 |
| 18.00 | 120 | ლეჩე-კიევო | 3,5 | 3,2 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,15 |
| 18.00 | 121 | რომა-პარმა | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,55 |
| | 122 | რომა-პარმა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 123 | ვენეცია-პერუჯა | 4,2 | 3,3 | 1,7 | 1,8 | 1,2 | 1,1 |
| 18.00 | 124 | ვერონა-უდინეზე | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **იტალია. სერია „ბ". XXXI ტური** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 126 | ანკონა-ვიჩენცა | 2,0 | 2,6 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,55 |
| 18.00 | 127 | ჩიტადელა-სამპდორია | 2,3 | 2,7 | 3,0 | 1,2 | 1,3 | 1,4 |
| 18.00 | 128 | კომო-პისტოიეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 18.00 | 129 | კროტონე-ნაპოლი | 6,0 | 3,5 | 1,45 | 2,2 | 1,15 | 1 |
| 18.00 | 130 | ჯენოა-კოზენცა | 1,8 | 2,6 | 5,3 | 1,05 | 1,3 | 1,7 |
| 18.00 | 131 | მესინა-რეჯინა | 2,7 | 2,3 | 3,0 | 1,2 | 1,4 | 1,3 |
| 18.00 | 132 | მოდენა-პალერმო | 1,5 | 3,3 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,1 |
| 18.00 | 133 | ტერნანა-კალიარი | 2,0 | 2,5 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,5 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 134 | სიენა-ბარი | 2,0 | 2,6 | 3,8 | 1,1 | 1,3 | 1,5 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ა". XXXI ტური** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 135 | ალბინო-კარარეზე | 2,2 | 2,6 | 3,3 | 1,15 | 1,3 | 1,4 |
| 19.00 | 136 | არეცო-ლეკო | 2,0 | 2,7 | 3,6 | 1,1 | 1,25 | 1,5 |
| 19.00 | 137 | ჩეზენა-სპალ | 1,8 | 2,8 | 4,4 | 1 | 1,25 | 1,7 |
| 19.00 | 138 | ლუმეცანე-რეჯანა | 1,55 | 3,2 | 5,6 | 1 | 1,2 | 2 |
| 19.00 | 139 | მონცა-ლივორნო | 4,7 | 3,3 | 1,6 | 1,9 | 1,15 | 1,05 |
| 19.00 | 140 | პიზა-პადოვა | 2,2 | 2,3 | 4,0 | 1,1 | 1,4 | 1,45 |
| 19.00 | 141 | სპეცია-ტრიესტინა | 1,65 | 2,9 | 5,3 | 1 | 1,25 | 1,85 |
| 19.00 | 142 | ტრევიზო-ლუკეზე | 2,0 | 2,4 | 4,4 | 1,05 | 1,35 | 1,5 |
| 19.00 | 143 | ვარეზე-ალბინოლეფე | 1,8 | 2,6 | 5,0 | 1,05 | 1,3 | 1,7 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ბ". XXXI ტური** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 144 | ბენევენტო-ლანჩანო | 2,1 | 2,5 | 3,6 | 1,1 | 1,3 | 1,45 |
| 19.00 | 145 | კატანია-კოზე | 1,35 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,4 |
| 19.00 | 146 | ფერმანა-აველინო | 2,1 | 2,4 | 4,0 | 1,1 | 1,35 | 1,5 |
| 19.00 | 147 | ჯულიანოვა-პეზარო | 1,55 | 2,9 | 7,0 | 1 | 1,25 | 2 |
| 19.00 | 148 | ლოდიჯანი-ტორესი | 2,2 | 2,8 | 3,1 | 1,2 | 1,25 | 1,45 |
| 19.00 | 149 | ნოჩერინა-ასკოლი | 3,4 | 2,7 | 2,1 | 1,5 | 1,2 | 1,15 |
| 19.00 | 150 | პესკარა-ტარანტო | 2,1 | 2,3 | 4,4 | 1 | 1,4 | 1,5 |
| 19.00 | 151 | სორა-დი სანგრო | 2,4 | 2,5 | 3,0 | 1,2 | 1,3 | 1,35 |
| 19.00 | 152 | ვიტერბეზე-ჩელა | 1,8 | 2,8 | 4,4 | 1 | 1,25 | 1,7 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 00.30 | 153 | მალიორკა-ვალენსია | 3,1 | 3,0 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 154 | ვილიარეალი-სელტა | 2,6 | 2,9 | 2,5 | 1,35 | 1,25 | 1,3 |
| 21.30 | 155 | ბარსელონა-ალავესი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 156 | ბარსელონა-ალავესი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 22.00 | 157 | სარაგოსა-ბილბაო | 2,0 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 21.00 | 158 | სევილია-ლას პალმასი | 1,9 | 2,9 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 21.00 | 159 | რაიო-ვალიადოლიდი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 22.00 | 160 | ტენერიფე-ბეტისი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 21.00 | 161 | სოსიედადი-მალაგა | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 21.00 | 162 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 163 | დეპორტივო-ესპანიოლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 164 | ოსასუნა-რეალი | 4,2 | 3,3 | 1,7 | 1,8 | 1,2 | 1,1 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 21.30 | 165 | ლევანტე-ლეგანესი | 2,1 | 2,7 | 3,6 | 1,15 | 1,3 | 1,5 |
| 21.30 | 166 | ჰუელვა-ეიბარი | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1 | 1,25 | 1,95 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 167 | ალბასეტე-ექსტრემადურა | 1,6 | 3,1 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 1,95 |
| 15.00 | 168 | ატლეტიკო-ხერესი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1 | 1,2 | 1,85 |
| 21.00 | 169 | სალამანკა-ფეროლი | 2,1 | 2,7 | 3,6 | 1,15 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 170 | სპორტინგი-ხაენი | 1,75 | 2,9 | 4,7 | 1,05 | 1,25 | 1,75 |
| 21.00 | 171 | ბადახოსი-ბურგოსი | 2,3 | 2,7 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,45 |
| 21.00 | 172 | ნუმანსია-რასინგი | 2,7 | 2,6 | 2,7 | 1,3 | 1,3 | 1,3 |
| 21.00 | 173 | კორდობა-ოვიედო | 2,6 | 2,6 | 2,8 | 1,2 | 1,3 | 1,3 |
| 21.00 | 174 | ელჩე-ხიმნასტიკი | 1,65 | 3,0 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,85 |
| 21.00 | 175 | მურსია-პოლი ეხიდო | 1,85 | 2,8 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 177 | პორტუ-გიმარაეში | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| | 178 | პორტუ-გიმარაეში 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 01.00 | 179 | ვარზიმი-სპორტინგი | 4,7 | 3,3 | 1,6 | 1,9 | 1,15 | 1,05 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 180 | ბელენენსეში-ფარენსე | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 181 | ბელენენსეში-ფარენსე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.00 | 182 | სალგეირუში-ლეირია | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 20.00 | 183 | ალვერკა-ჟილ ვისენტე | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 20.00 | 184 | ბეირა მარი-ბრაგა | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 20.00 | 185 | სეტუბალი-სანტა კლარა | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 22.30 | 186 | ბენფიკა-ფეირენსე | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 187 | ბენფიკა-ფეირენსე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 188 | ამადორა-კამპომაიორენსე | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 20.00 | 189 | პორტიმონენსე-მაია | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 20.00 | 190 | ოლივეირენსე-ლეშა | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 20.00 | 191 | ოვარენსე-რიუ ავე | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 20.00 | 192 | ნავალი-ესპინიო | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 20.00 | 193 | ფელგეირაში-შავეში | 2,3 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 20.00 | 194 | მორეირენსე-ავეში | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 195 | მორეირენსე-ავეში 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.00 | 196 | ნასიონალი-აკადემიკა | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 21.00 | 197 | პენაფიელი-ლეისეში | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 199 | ბრედა-ნაიმეგენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 22.30 | 200 | დენ ბოსხი-როდა | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 22.30 | 201 | გრაფსხაპი-ჰერენვენი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 22.30 | 202 | სიტარდი-ტვენტე | 3,3 | 3,3 | 1,9 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 23.00 | 203 | ალკმაარი-ტილბურგი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 204 | სპარტა-აიაქსი | 7,5 | 4,0 | 1,3 | 2,6 | 1,1 | 1 |
| 16.00 | 205 | პსვ-ფეიენოორდი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 17.30 | 206 | ვალვაიკი-უტრეხტი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 17.30 | 198 | გრონინგენი-ვიტესი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 213 | ოსი-ჰელმონდი | 2,1 | 3,1 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,5 |
| 22.30 | 214 | ემენი-ექსელსიორი | 2,1 | 3,1 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,5 |
| 22.30 | 215 | ვენლო-ეინდჰოვენი | 1,5 | 3,8 | 4,7 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **XXXI ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 217 | ვესტერლო-ლირსე | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 218 | სტ. ტრუიდენი-გენკი | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 23.00 | 219 | მოლენბეკი-ლოკერენი | 2,1 | 3,1 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,5 |
| 23.00 | 220 | შარლერუა-აალსტი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,45 |
| 23.00 | 221 | ლომელი-გენტი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 222 | ბეერსხოტი-ბევერენი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 18.00 | 223 | ლოკერენი-ანტვერპენი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 23.00 | 224 | მუსრონი-ანდერლეხტი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| | | ბელგია. II დივიზიონი. XXXI ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 22.30 | 225 | მონსი-ჰელანდერენი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 226 | სერენი-დეინცე | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| 23.00 | 227 | პატრო-სტრომბეკი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 23.00 | 228 | მეხელენი-ტუბიზი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 229 | მეხელენი-ტუბიზი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 230 | ჰეუსდენი-დეხელი | 2,0 | 2,9 | 3,6 | 1,15 | 1,25 | 1,6 |
| 23.00 | 231 | ინგელმუნსტერი-რონსე | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,3 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 18.00 | 232 | დენდერლეუვი-ლიერი | 2,1 | 2,9 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,5 |
| 18.00 | 233 | რუზელარე-ვარეგემი | 1,85 | 2,9 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 18.00 | 234 | ეუპენი-გეელი | 2,1 | 2,9 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| | | საბერძნეთი. XXIV ტური | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 18.00 | 235 | არისი-პანიონიოსი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 18.00 | 236 | ქსანთი-ეთნიკოსი | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,1 | 2,45 |
| 18.00 | 237 | ეგალეო-პანათინაიკოსი | 5,6 | 3,6 | 1,45 | 2,15 | 1,1 | 1 |
| 18.00 | 238 | პანაჰაიკი-ოლიმპიაკოსი | 7,0 | 3,8 | 1,35 | 2,45 | 1,1 | 1 |
| 18.00 | 239 | აეკ-ირაკლისი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| | 240 | აეკ-ირაკლისი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 18.00 | 241 | იონიკოსი-ოფი | 2,0 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 18.00 | 242 | პაოკ-პროოდეფტიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| | 243 | პაოკ-პროოდეფტიკი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | ჩეხეთი. XXVI ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 13.15 | 245 | ჟიჟკოვი-სიგმა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 246 | ჟიჟკოვი-სიგმა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.30 | 247 | ჰ. კრალოვე-ბოჰემიანსი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 19.30 | 248 | ბრნო-სინოტი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 19.30 | 249 | ტეპლიცე-ბლშანი | 1,7 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,75 |
| 19.30 | 251 | იაბლონეცი-ოპავა | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 252 | იაბლონეცი-ოპავა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | პოლონეთი. პლეი-ოფი. X ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 19.00 | 254 | პოგონი-კატოვიცე | 1,75 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 19.00 | 255 | პოლონია-ოდრა | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 21.15 | 256 | რუხი-ვისლა | 3,1 | 3,0 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| | | პოლონეთი. პლეი-აუტი. X ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 19.00 | 257 | გორნიკი-გროცლინი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 19.00 | 258 | ზაგლებიე-სტომილი | 1,85 | 3,2 | 4,4 | 1,15 | 1,3 | 1,8 |
| 19.00 | 259 | რადომსკო-შლიონსკი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,05 | 1,15 | 2,2 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 17.30 | 260 | ოსტროვეცი-ვიძევი | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | თურქეთი. XXXI ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 16.30 | 262 | გოზტეპე-გენჩლერბირლიგი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 16.30 | 263 | ანკარაგუჯუ-იოზგათი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 264 | ანკარაგუჯუ-იოზგათი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 16.30 | 265 | სამსუნი-დენიზლი | 1,9 | 3,2 | 3,3 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 266 | ისტანბული-გალათასარაი | 4,7 | 3,3 | 1,6 | 1,9 | 1,15 | 1,05 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 16.30 | 267 | გაზიანთეპი-კოჯაელი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 16.30 | 268 | ბურსა-ანთალია | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,05 | 1,1 | 2,15 |
| 16.30 | 269 | დიარბაქირი-რიზე | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 16.30 | 270 | ბეშიქთაში-ფენერბაჩე | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXV ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 19.00 | 271 | აბერდინი-ჰარტსი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 19.00 | 272 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1,15 | 5,6 | 10,0 | 1 | 1 | 3,55 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 273 | სელტიკი-დანფერმლაინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 19.00 | 274 | დანდი იუნაიტედი-მაზერუელი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 19.00 | 275 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 19.00 | 276 | ლივინგსტონი-რეინჯერსი | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,15 | 1,15 | 1,05 |
| 16.00 | 277 | სტ. ჯონსტონი-დანდი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი. XXXIV ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 19.00 | 278 | არბროთი-როსი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| 19.00 | 279 | ეირი-ფოლკირკი | 1,7 | 3,6 | 3,4 | 1,1 | 1,1 | 1,7 |
| 19.00 | 280 | ინვერნესი-კლაიდი | 1,85 | 3,4 | 3,4 | 1,1 | 1,1 | 1,7 |
| 19.00 | 281 | რეითი-ეირდრი | 2,9 | 3,4 | 2,0 | 1,55 | 1,15 | 1,25 |
| 19.00 | 282 | სტ. მირენი-პარტიკი | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი. XXXIV ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 19.00 | 284 | ალოა-ბერვიკი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,05 | 1,15 | 2,2 |
| 19.00 | 285 | კლაიდბენკი-ფორფარი | 2,8 | 3,5 | 2,1 | 1,55 | 1,1 | 1,3 |
| 19.00 | 286 | კოუდენბიითი-სტრანრაერი | 2,2 | 3,0 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 19.00 | 287 | ქუინი-ჰამილტონი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 19.00 | 288 | სტენჰაუსმუირი-მორტონი | 1,8 | 3,5 | 3,4 | 1,15 | 1,15 | 1,7 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | XXXIV ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 19.00 | 290 | ალბიონი-ისტ ფაიფი | 1,45 | 4,0 | 5,0 | 1,05 | 1,1 | 2,2 |
| 19.00 | 291 | ბრეჩინი-დამბარტონი | 2,0 | 3,6 | 2,7 | 1,25 | 1,1 | 1,5 |
| 19.00 | 292 | ისტ სტირლინგი-ელგინი | 2,2 | 3,4 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 19.00 | 293 | პიტერჰედი-სტირლინგი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,05 | 1,15 | 2,2 |
| 19.00 | 294 | ქუინზ პარკი-მონტროუზი | 2,7 | 3,4 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| | | ავსტრია. XXXI ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 18.30 | 295 | ბრეგენცი-გრაცერი | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 18.30 | 296 | ზალცბურგი-კერნტენი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 18.30 | 297 | ტიროლი-რიდი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 298 | ტიროლი-რიდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 20.15 | 299 | შტურმი-ადმირა | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| | 300 | შტურმი-ადმირა 0:1 | 1,3 | 3,6 | 4,0 | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 19.30 | 301 | ავსტრია-რაპიდი | 1,9 | 3,1 | 3,4 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| | | შვეიცარია. „ა" ჯგუფი. IX ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 19.45 | 302 | ლუგანო-სტ. გალენი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 20.00 | 303 | სერვეტი-სიონი | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,3 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 19.00 | 304 | ბაზელი-გრასჰოპერი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 19.15 | 305 | ციურიხი-იანგ ბოისი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | შვეიცარია. „ა-ბ". ჯგუფი. IX ტური | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 17.30 | 306 | ლუცერნი-ივერდონი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 17.30 | 307 | თუნი-აარაუ | 1,95 | 3,1 | 3,5 | 1,1 | 1,2 | 1,6 |
| 17.30 | 308 | ვილი-ლოზანა | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 17.30 | 309 | ვინტერთური-ქსამაქსი | 3,0 | 3,1 | 2,1 | 1,5 | 1,2 | 1,2 |
| | | შვეიცარია. „ბ" ჯგუფი. IX ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 20.30 | 310 | ბადენი-ბელინცონა | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 22.30 | 311 | ლოკარნო-კრიენსი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 19.15 | 312 | ვადუცი-კიასო | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 19.15 | 313 | ეტუალი-კონკორდია | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| | | დანია. XXVII ტური | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 18.00 | 321 | ქბენჰავნი-ვიბორგი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 18.00 | 323 | სილკებორგი-ოდენსე | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 18.00 | 224 | ვეილე-ჰერფოლგე | 3,0 | 3,1 | 2,1 | 1,5 | 1,2 | 1,2 |
| 18.00 | 325 | ორჰუსი-ოლბორგი | 3,1 | 3,2 | 2,0 | 1,55 | 1,2 | 1,2 |
| 20.35 | 326 | ბრონდბი-მიდტიულანდი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რუსეთი. VII ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 17.00 | 328 | ლოკომოტივი-დინამო | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 16.00 | 329 | შინნიკი-სოკოლი | 1,8 | 2,9 | 4,3 | | | |
| 18.00 | 330 | როსტსელმაში-ზენიტი | 1,6 | 3,3 | | | | |
| 17.00 | 331 | კრილია-სპარტაკი | 1,95 | 3,0 | 3,6 | 1,15 | 1,25 | 1,6 |
| 18.00 | 332 | ანჟი-ურალანი | 1,85 | 2,9 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 18.00 | 333 | როტორი-ალანია | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1 | 1,2 | 1,85 |
| 16.00 | 334 | ცსკა-სატურნი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| | | შვედეთი. II ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 18.00 | 335 | იურგორდენი-აიკ | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 20.00 | 336 | ნორჩეპინგი-მალმო | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 20.00 | 337 | ოერებრო-ლანდსკრუნა | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 20.00 | 338 | ორგრიტე-კალმარი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 18.00 | 339 | სუნდსვალი-გეტებორგი | 2,8 | 3,1 | 2,2 | 1,45 | 1,2 | 1,25 |
| 18.00 | 340 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1,95 | 3,1 | 3,5 | 1,1 | 1,2 | 1,6 |
| 18.00 | 341 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| | | ნორვეგია. I ტური | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 22.00 | 342 | მოლდე-ბრანი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 21.00 | 343 | ბრინი-ლინი | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 21.00 | 344 | ლილესტრომი-ვიკინგი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 345 | მოსი-სოგნდალი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 346 | სტარტი-სტაბეკი | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 21.00 | 347 | ვალერენგა-ბოდო გლიმტი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 348 | როზენბორგი-ოდ გრენლანდი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 349 | როზენბორგი-ოდ გრენლანდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | ინგლისი. თასი. ნახევარფინალი (ნეიტრალურზე). | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 20.00 | 350 | მიდლსბრო-არსენალი | 5,6 | 3,4 | 1,55 | 2,1 | 1,2 | 1,05 |
| 23.00 | 351 | ფულჰემი-ჩელსი | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,8 | 1,2 | 1,1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფორმულა 1. IV რბოლა**
**(სან მარინო. იმოლა). 14 აპრილი**
**18.00 811. რბოლის გამარჯვებული**

მ. შუმახერი ---------- 2,0
მონტოია ---------- 2,7
რ. შუმახერი ---------- 4,0
ბარიკელო ---------- 10,0
კულტჰარდი ---------- 10,0
რაიკონენი ---------- 15,0
ტრული ---------- 35,0
ბუტონი ---------- 35,0
ჰაიდფელდი ---------- 100,0
სალო ---------- 100,0

**812. უსწრაფესი წრე**

მონტოია ---------- 2,5
მ. შუმახერი ---------- 2,8
რ. შუმახერი ---------- 3,0
კულტჰარდი ---------- 10,0
რაიკონენი ---------- 10,0
ბარიკელო ---------- 10,0
ტრული ---------- 30,0
ბუტონი ---------- 30,0
ჰაიდფელდი ---------- 100,0
სალო ---------- 100,0

**813. რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას**

9 ან ნაკლები ---------- 3,2
10 ან 11 ---------- 3,2
12 ან 13 ---------- 3,2
14 ან მეტი ---------- 2,6

**814 სხვაობა I და II ადგილებს შორის**

8 წამზე ნაკლები ---------- 1,8
8 წამზე მეტი ---------- 1,6

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 აპრილი | | | | | | | | | |
| 18.30 | 707 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 5,0 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 18.30 | 708 | მიონხენგლ.-ვოლფსბ. | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 709 | მიუნხენი-ფრაიბურგი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.30 | 710 | კიოლნი-სტ. პაული | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.30 | 711 | ჰამბურგი-ლევერკუზ. | 5,3 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 18.30 | 712 | ვერდერი-შალკე | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.30 | 713 | ჰერტა-ჰანზა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 2,8 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 12,0 |
| 19.00 | 714 | ასტონ ვილა-ლიდსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 715 | ჩარლტონი-საუთჰემპტ. | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 716 | დერბი-ნიუკასლი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,7 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 19.00 | 717 | ევერტონი-ლესტერი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 718 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 21.35 | 719 | სანდერლ.-ლივერპული | 6,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 5,0 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 00.30 | 720 | მალიორკა-ვალენსია | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| | | 14 აპრილი | | | | | | | | | |
| 20.30 | 721 | შტუტგარტი-კოტბუსი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.30 | 722 | კაიზერსლ.-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.00 | 723 | ატალანტა-ტორინო | 3,2 | 5,0 | 25,0 | 4,2 | 3,8 | 8,0 | 25,0 | 5,0 | 7,0 |
| 18.00 | 724 | ბოლონია-პიაჩენცა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,1 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 725 | ფიორენტინა-ლაციო | 7,5 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 5,0 | 3,0 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| 18.00 | 726 | ინტერი-ბრეშა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 2,8 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 12,0 |
| 18.00 | 727 | იუვენტუსი-მილანი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 728 | ლეჩე-კიევო | 5,3 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.00 | 729 | რომა-პარმა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 4,7 | 15,0 | 20,0 | 10,0 | 12,0 |
| 18.00 | 730 | ვენეცია-პერუჯა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 5,0 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 18.00 | 731 | ვერონა-უდინეზე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 21.00 | 732 | ვილიარეალი-სელტა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.30 | 733 | ბარსელონა-ალავესი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 22.00 | 734 | სარაგოსა-ბილბაო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 21.00 | 735 | სევილია-ლას პალმასი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 21.00 | 736 | რაიო-ვალიადოლიდი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 22.00 | 737 | ტენერიფე-ბეტისი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 | 738 | სოსიედადი-მალაგა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 21.00 | 739 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 12,0 |
| 23.00 | 740 | ოსასუნა-რეალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |

ბათუმში გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიუროები
ალმაშენებლის ქუჩა №21, (სავაჭრო ცენტრი ალამი 1); ჭავჭავაძის №13

# მასპინძელი სუფრას პირველი მიუჯდა



მირსად თურქჯანს ქებამ აწყენა: ევროლიგის უძვირფასესად დასახელებული წითელარმიელი თურქი „ტაუსთან" შერცხვა

**ახლა** უკვე გაორკეცებით ფაციფუცობენ ბოლონიაში ოთხთა ფინალის სამასპინძლოდ. „კინდერმა" ხუთშაბათ საღამოს სასურველი ანგარიში გაიხერხა „რეალთან" და ფინალის საგზურის თათარიახნად დაბევებით ბოლონიელთ არმაღანი უძღვნა.

ეს გუნდია, ვადაზე ადრე რომ გაინაღდა 3-დან 5 მაისამდე ფინალში ბურთაობის უფლება, სხვებს კი საამისოდ დიდი თავპირისმტვრევა ელით, განსაკუთრებით H-ჯგუფელებს. სანამ მათზე მოგითხრობთ, ჯერ გავარკვიოთ „კინდერის" საქმე, რადგან მავანმა ეგებ იკითხოს, ბოლონიელებმა მადრიდელებთან წააგეს და ეს რა სასურველი ანგარიშიაო. საქმე ისაა, რომ იტალიელთა გასწრების თეორიული შანსი მხოლოდ „რეალს" ჰქონდა და სხვა საოცრებებთან ერთად მათი „კინდერთან" 27-ქულიანი საშინაო მარცხიც უნდა აღმოფხვრილიყო, მაგრამ ესპანელთა ჭაპანწყვეტა ოდენ 11-ქულიან მოგებას გასწვდა.

ახლა კი H ჯგუფზე, სადაც კარგა ხნის წინ განწირული ზაზა ფაჩულიას „ულქერი", თუმც კი სხვა მიზეზით, რომელზეც გუშინდელ „სარბიელში" გამცნეთ, თელ ავივში „მაკაბისთან" სათამაშოდ არ ჩავიდა. ამ ჯგუფში სტამბოლელთა გარდა ყველას აქვს ფინალში გასვლის შანსი. უკეთესი კი მოსკოვის ცსკა-ს ჰქონდა, ოღონდ ბოლო ტურამდე. რუსები „ტაუს" მასპინძლობდნენ და მოგების შემთხვევაში სტამბოლში გამარჯვებაღა დარჩენოდათ, მაგრამ მეტად უგვანოდ ითამაშეს, იმაზე მეტით წააგეს, ბასკონიელებს ვიტორიაში რომ მოუგეს და ახლა ცხრილში ჩხირკედელაობენ გასვლის თეორიულ შანსებზე. მათი გამოთვლებით, თურქეთში გამარჯვება ჯიბეში აქვთ, „მაკაბიმ" კი, რომელსაც, ალბათ, მოგებას ჩაუთვლიან ანაც იოლად იმარჯვებს „ულქერთან", „ტაუს" ესპანეთში უნდა სძლიოს, მაგრამ არც ძალიან დიდი და არც მცირე ანგარიშით. ანუ ზუსტად იმდენით, რამდენიც მოსკოვს ხელს აძლევს, რაც დაახლოებით იმას ჰგავს, კალათბურთის ანგარიშის გამოცნობაზე ტოტალიზატორში ფსონს ჩახვიდე.

ჩრდილოელთათვის თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მესამე მეოთხედში ვიტორიელებმა ელეთმელეთი დამართეს წითელარმიელებს. ეს განსაკუთრებით ახლახან ევროლიგის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელებულ მირსად თურქჯანზე ითქმის, ვინც ტაუელ ლუის სკოლასთან ჭიდილში რომელიღაც ბუტუსურა კალათბურთელს დაემგვანა. სკოლა 5 წუთით შეუჩერებელი შეიქნა არმიელთათვის. მას ანდრეს ნოჩიონიც ეხიდებოდა და 14:0 მოგებული მონაკვეთის შემდეგი ესპანელები ბოლო მეოთხედის წინ 21 ქულით გალიდერდნენ...

„ბენეტონმა" ბარსელონაში დასანანი მარცხისთვის შური იძია და კატალონიელებს ფინალის გზაზე ძალუმად გადაელობა. შეხვედრა ტრევიზოელთათვის ოქროდ ფასობდა, რადგან წაგება ბოლონიაში მოხვედრის შანსს სპობდა. ახლა კი მაიკ დანტონის გუნდს სტუმრად ბოლონიისვე „სკიპერის" დამარცხებაღა აკლიათ.

ნიკა ცქიტიშვილს არ უთამაშია. დანტონიმ ამ წონის მატჩში არ გარისკა პირტიტველა ქართველის მოედანზე გაყვანა, სადაც მასპინძლები ნაღდაგ წინ კი იყვნენ, მაგრამ არავინ იცოდა, როდის აფეთქდებოდა კატალონიურ მატჩში იტალიელთა გამწბილებელი შარუნას იასიკევიჩუსი, ვის გათოკვასაც ბენეტონელები განსაკუთრებით ცდილობდნენ. სტუმართა ძონძროხა ცენტრ რობერტო დუენიასს ტრევიზოელი მეფარეები პირისპირ ვერ ჯაბნიდნენ, მაგრამ ძალით თავისას გატანას ხერხით ფონს გასვლას ამჯობინებდნენ და ჯაჯგურის მოყვარულ ესპანელს მხოლოდ 7 ქულა შერჩა.

მშვიდობისა და მეგობრობის ათენის სპორტულ დარბაზში არაფერი ამგვარი არ ხდებოდა. ოლიმპიური დერბი კი იყო და ფინალში გასვლის ყველაზე რეალური კანდიდატი ყველა მატჩის წამგებს ხვდებოდა, მაგრამ ბრძოლა ისეთი გამოდგა, დედა შვილს არ აიყვანდა.

ამ საგმირო მატჩის მონაწილე ვლადიმერ ბოისაც შეიქნა, ქართველი 10 წუთით გავიდა მოედანზე და იმდენი ქულა ჩააგდო, რა სხვაობითაც მისმა „ოლიმპიამ" საბოლოოდ გაიმარჯვა.

„ოლიმპიაკოსს" გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა, რადგან თუ ბოლო მატჩშიც იმარჯვებდა აეკ-თან, „პანათინაიკოსს" ურთიერთჩაგდებული ბურთებით მშრალზე ტოვებდა, მაგრამ გაუთვალისწინებელი იალიში მოუვიდა. მეტოქის სისუსტით ისედაც დამშვიდებული პირეოსელები დებიუტში 11:0 დაწინაურების შემდეგ მთლად დაარხეინდნენ და რაკა „ოლიმპიამ" თამაში იპოვა და პირველი ტაიმის დასრულებამდე ანგარიში გაათანაბრა, გამარჯვების იმტაზე მოსვლა ველარ მოახერხა. სლოვენიელთაგან საუკეთესო ბენო უდრიჰი იყო, რომელმაც მისიანების ჩაგდებულ ბოლო 23 ქულიდან, 16 თავის ანგარიშზე ჩაიწერა. „ოლიმპიაკოსისა" და ევროლიგის მთავარმექულე ალფონსო ფორდი იმ დღეს, ეტყობა, მარცხენა ფეხზე ადგა, რადგან პირეოსში დავიწყებული ჰქონდათ, ამ ზანგ ჯეელს 21 ქულა ბოლოს როდის ჩაეგდო.

**ირაკლი ბერტაია**

## ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. 10-11 აპრილი

### E ჯგუფი

**სკავოლინი 71:90 სკიპერი**

სკავოლინი: ბლერი (13), ბუკერი (12), ტუშეკი (12)
სკიპერი: გოლდვაირი (24), ფუჩკა (14)

**ბენეტონი 89:75 ბარსელონა**

ბენეტონი: გარბახოსა (15), ნახბარი (14), ბულერი (14)
ბარსელონა: ოკულაია (24), ნავარო (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 5 | 3 | 2 | 452:408 | 8 |
| ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 409:407 | 8 |
| სკიპერი | 5 | 2 | 3 | 409:423 | 7 |
| სკავოლინი | 5 | 2 | 3 | 411:443 | 7 |

### F ჯგუფი

**კინდერი 71:82 რეალი**

კინდერი: იარიჩი (20), ჯინობილი (13)
რეალი: ატრუილა (19), ერეროსი (16)

**ეფესი 101:84 ურალ გრეიტი**

ეფესი: ბრაუნი (25), ოქური (22)
ურალ გრეიტი: ბაშმინოვი (24), ავლეევი (24)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 5 | 4 | 1 | 382:345 | 9 |
| რეალი | 5 | 3 | 2 | 408:419 | 8 |
| ეფესი | 5 | 2 | 3 | 397:383 | 7 |
| ურალ გრეიტი | 5 | 1 | 4 | 429:463 | 6 |

### G ჯგუფი

**პანათინაიკოსი 96:92 აეკ**

ძირითადი დრო: 81:81
პანათინაიკოსი: ბოდიროგა (27), გიანულისი (15)
აეკ: კაკიუზისი (18), ბოლდენი (15), ხაძისი (11)

**ოლიმპიაკოსი 85:89 ოლიმპია**

ძირითადი დრო: 75:75
ოლიმპიაკოსი: ფორდი (21), დე მიგელი (16), რიზაშე (11)
ოლიმპია: უდრიჰი (29), ველში (16), ბოისა (10 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 5 | 4 | 1 | 417:395 | 9 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 2 | 405:387 | 8 |
| აეკ | 5 | 2 | 3 | 409:400 | 7 |
| ოლიმპია | 5 | 1 | 4 | 378:427 | 6 |

### H ჯგუფი

**ცსკა 73:90 ტაუ**

ცსკა: გირიჩეკი (26), ფოლკოვისკი (19), დოშანი (16), თურქჯანი (7), პეტრენკო (4), მაკენტსა (1)
ტაუ: სკოლა (22), ბენეტი (19), ტომაშევიჩი (15), ნოჩიონი (12), ფორესტი (11), ობერტო (9)

**მაკაბი — ულქერი**

ულქერი თელ ავივში სათამაშოდ არ ჩავიდა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 5 | 4 | 1 | 431:378 | 9 |
| ცსკა | 5 | 3 | 2 | 395:389 | 8 |
| მაკაბი | 4 | 2 | 2 | 314:305 | 6 |
| ულქერი | 4 | 0 | 4 | 299:367 | 4 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

ძველი „მინეაპოლისის" მასურამოცმულმა შაკილ ონილმა თანამედროვე მინეაპოლისელები მოარბია

# ნიუ იორკი ბავშვებმაც დაანგრიეს

11 აპრილი

**ლეიკერსი 96:83 მინესოტა**

ლეიკერსი: ონილი (32), ბრაიანტი (28)
მინესოტა: გარნეტი (18), შჩერბიაკი (16)

**მემფისი 102:99 პორტლენდი**

მემფისი: გასოლი (23), სვიფტი (17)
პორტლენდი: ვოლესი (22), ანდერსონი (19)

**ორლანდო 99:101 ნიუ ჯერსი**

ძირითადი დრო 90:90
ორლანდო: მაკგრეიდი (39 ქულა, 16 მოხსნა, 7 პასი), გარიტი (18)
ნიუ ჯერსი: მარტინი (26), ვან ჰორნი (19), კიდი (13 ქულა, 16 მოხსნა, 7 პასი)

**ნიუ იორკი 101:104 ჩიკაგო**

ძირითადი დრო 96:96
ნიუ იორკი: ტომასი (26), ჯექსონი (19)
ჩიკაგო: ჩანდლერი (16 ქულა, 15 მოხსნა)

**დალასი 95:98 ჰიუსტონი**

ძირითადი დრო 85:85
დალასი: ფინლი (25), ნაბერა (17), ნეში (16)
ჰიუსტონი: მობლი (29), ფრენსისი (20)

**ფინიქსი 96:97 იუტა**

ფინიქსი: მარიონი (24), მარბერი (24)
იუტა: მელოუნი (26), სტოქტონი (18)

ლოს ანჯელესში „ლეიკერსმა" დიდი პატივით მიიღო მინეაპოლისელი „მგლები", რისი მიზეზიც მისი მინეაპოლური წარმოშობაა. „ლეიკერსი" შორეულ ორმოციან წლებში ამ ჩრდილოურ ქალაქში იშვა და ლოს ანჯელესში 1960 წელს გადაბარგდა. კლუბის 13 ჩემპიონობიდან ხუთი (1949-54 წლებში) „მინეაპოლის ლეიკერსის" მონაპოვარია. ძველი ტკბილი (ლეიკერსს ახლაც სიამტკბილობის ხანა უდგას) დროის მოსაგონრად და მშობელი მინეაპოლისის ახლანდელ და ძველ ბინადართა პატივსაცემად ლეიკერსელებმა 50-იანების ტრუს-მაისურები ჩამო-ამოიცვეს და მოედანზე ასე ირბინ-იხტუნეს.

რაც შეეხება მატჩს, ლეიკერსელებმა მეტოქეს გამარჯობის თქმა აცალეს და პირველი მეოთხედის 20:20 გასრულების შემდეგ უდიდესი სიამოვნებით შეუდგნენ მათი დაცვა-კალათის მოოხრებას. ლოსანჯელესელთა ორმა ყოჩმა — ზემძიმე შაკილ ონილმა და ქვემსუბუქმა კობი ბრაიანტმა მეორე-მესამე თორმეტწუთეულებში რიგრიგობით იბოგინეს „მინესოტას" ნახევარზე და აზრდაკარგულ ბოლო მეოთხედამდე 19-ქულიანი უპირატესობა გამოკვერეს. ასეა, ჩახუტება და სენტიმენტები კარგია დერეფანში და შესვენება-დასვენებისას, მაგრამ როდესაც საათი მატჩისთვის კუთვნილ 48 წუთის გასასრულებლად გარბის, შენი მეტოქე შენი მტერია, თუნდ ძმა იყოს, შენი — ასეთია ჯორდანის თანამემამულეთა მრწამსი.

11 აპრილს გამართულ ექვს შეხვედრაში მონაწილე 12 გუნდიდან ჩემპიონებმა სხვებზე ძლევამოსით დატოვეს ფიცარნაგი. დანარჩენი ხუთი მატჩის მონაწილეებმა ერთმანეთს თანაბარ ბრძოლაში გამოსწურეს ოფლი, ხუთივე მატჩი მაქსიმუმ სამქულიანი სხვაობით დასრულდა, მათგან სამში გამარჯვებული ოვერტაიმში გაცხადდა.

წყნარი ოკეანისპირიდან ზღვასავით მდინარე მისისიპის პირად ქალაქ მემფისს ჩაფრენილ და იქ წაგებანაჭამ „პორტლენდს" ძალიან სურს თავის გამართლება, აქაოდა, დისკვალიფიცირებული სკოტი პიპენის არყოფნამ მებრძოლი სული დაგვიკარგა და ბალღების „მემფისთან" მარცხის მიზეზიც ესაა, მაგრამ ამით სირცხვილს ვერ ჩამოიწმენდს. ასეთი შემადგენლობის მყოლი „პორტლენდი" უპიპენოდაც ცალი ხელით უნდა უგებდეს ლიგის ბოლოდან მესამე შედეგოსან გუნდს. მისი მარცხის მიზეზთა ქექვაში შემთხვევით ერთი აზრიც იბადება. შემთხვევით შეგნებულად ხომ არ წააგო „პორტლენდმა"? და ხომ არ ცდილობს მეექვსე დასავლური ადგილიდან მეშვიდეზე ჩამოქვეითებას? ამით ხომ პლეი ოფის პირველ წრეში „ზელეიკერსს" აირიდებს, რომლისგანაც ბოლო ორ პლეი ოფიდან ამდენი სიმწარე ახსოვს. შიში ოხერიაო, და...

90-იანი წლების ერთ-ერთი მოზანზარე „ნიუ იორკ ნიქსი" სულ გამოვიდა მწყობრიდან. აგერ, „ჩიკაგოსთანაც" წააგო, მხოლოდ ერთი კარგი, ორი ლამის სკოლის მოსწავლე და ბევრი უვარგისი კალათბურთელის გუნდთან. თინეიჯერმა ჩიკაგოელმა ტაისონ ჩანდლერმა ოთხ მეოთხედში და დამატებით ხუთწუთეულში მაგრად მოუშალა ნერვები მეტოქეებს ოყლაყი და მათ საქომაგოდ „მედისონ სკვერ გარდენში" შექუჩებულ თითქმის ოცი ათას მოკვდავ ნიუიორკელს. ოვერტაიმის ბოლოსწინა წუთზე მისმა უმოხდენილესმა ჩატენვამ მასპინძლებს მთელი არსებით შეაგრძნობინა საკუთარი უსუსურობა, ხოლო კიდევ ერთი ბალღის, ედი კარის (კარგი ბალღია 211-სანტიმეტრიანი და 125-კილოიანი ვირგლა) სირენამდე 12 წამით ადრე ჩაგდებულმა ორმა საჯარიმომ ზედ ბოლო წამზე სამქულიანის მსროლელ კურტ ტომასს ხელი აუკანკალა.

ორლანდოში იქაურ „მეჯიქს" შემსკდარ „ნიუ ჯერსის" ლიდერ და სეზონის უძვირფასესობის მაძიებელ ჯეისონ კიდს სისხლი გაუშრო ხეტიტულის ადგილობრივმა მოსურნემ ტრეისი მაკგრეიდიმ. ყოჩაღმა მაკმა იმ საღამოს ბევრი იფრინა, რაც მოიწადინა, ყველაფერი გაუკეთა ნიუჯერსელებს, მაგრამ ბოლო წამებზე მეორე ნიუჯერსელის კენიონ მარტინის მსახვრალ მარჯვენას ვერ გაექცა. დამატებითი დროის მიწურულისკენ 99:101 ანგარიშის 101:101-ად საქცევად შემხტარ მაკგრეიდის საიდანაც კენიონ მარტინი ამოუფრინდა, დაუფარა და მატჩის მეორე ოვერტაიმში გაგრძელების მცდელობა ჩაუშალა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ჩოგბურთი და სტიქია

## აქეთ განქარდნენ, იქით ჩასველდნენ

ეშტორილი. თიხნარი
საპრიზო 625 ათასი $

**ვაჟები**

მეორე წრე

**მარატ საფინი** (2, რუსეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:3, 5:7, 6:2; **კარლოს მოია** (3, ესპანეთი) — ფედერიკო ლუცი (იტალია) 6:2, 7:6 (7:3); **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:1, 6:2; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — ალბერტო მონტანესი (ესპანეთი) 4:6, 6:0, 6:1

**ქალები**

მეორე წრე

**ანხელეს მონტოლიო** (1, ესპანეთი) — სელინ ბეგბედე (საფრანგეთი) 6:2, 6:2; **ანკა ბარნა** (გერმანია) — კატარინა სრებოტნიკი (7, სლოვენია) 7:5, 4:6, 6:3; **ლუდრეს დომინგეს ლინო** (ესპანეთი) — რიტა კუტი კისი (უნგრეთი) 6:3, 6:4

ეშტორილში მოჩოგნავეთა წინაალმდეგ იმ დღეს ალვირახსნილმა ოკეანურმა გრიგალმა დაჰბერა. გრიგალი ისეთი მედგარი და მძუვანი გახლდათ, რომ რუსმა მარატ საფინმა ერთი პირობა მატჩის ზედამხედველს კითხვითაც კი მიმართა, აქაოდა, გავაგრძელოთ თუ არაო. ზედამხედველმა, დასტური, უპასუხა და მარატს ტურნირზე მეორე სამსეტიანი ბრძოლის გადახდა მოუხდა. პირველში, ეგებ ვინმეს არ გახსოვდეთ და, საფინმა ესპანელ დავიდ ფერერს აჯობა.

ახლა რუსბიჭი 20 წლის ფინელ იარკო ნიემინენს შეხვდება, ვინაც ევროპის ერთ ყველაზე მზარდ ვარსკვლავად მიიჩნევა და სახელი შარშან სტოკჰოლმის ტურნირზე ფინალში თამაშით დაიგდო. მარატი იმედიანადაა — 2000 წელს თიხნარზე ბარსელონასა და მალიორკაში უმარჯვია და — ამინდი თუ არ შემიშლის, აქაც მოვიგებო — ამბობს.

თუმცა ნიემინენთან მაინც საბულრაო შეხვედრა მოელის. პირველ ორ წრეში, სადაც მან მიჯრით დაამარცხა მერვე ნომრად განთესილი ესპანელი ალბერტო მარტინი და ესპანელივე გალო ბლანკო, მან მხოლოდ 8 გეიმი წააგო და საფინთან პირველ საკარიერო შეხვედრას თავდაჯერებული და აჭრიალებული ეგებება.

ჩაუქად გაირჯა და მეოთხედფინალის საგზური კუთვნილად მიიღო განთქმულმა მეთიხნარე კარლოს მოიამ. მას ბელარუსთა უპირველესი მჩოგნე მაქს მირნი გაედავება, ვინაც მონტანესთან წაგებული პირველი სეტის შემდეგ ორის უკუგება მოახერხა.

მდედრთაში შარშანდლის განმეორებას ელტვის ესპანელი ჩემპიონი ანხელეს მონტოლიო. ფრანგი სელინ ბეგბედეს გასავლელად მას საათზე ოდნავ მეტი დასჭირდა.

ქალთა დანარჩენ ორ შეხვედრაში ნაკვალიფიკაციევმა ანკა ბარნამა და ლუდრეს დომინგეს ლინომ იმარჯვეს. პირველმა მეშვიდე ნომრად განთესილ კატარინა სრებოტნიკს აჯობა, მეორემ ვინმე რიტა კუტი კისს.

ამელია აილენდი. თიხნარი
საპრიზო 585 ათასი $

მეორე წრე

**ელენა დოკიჩი** (იუგოსლავია) — მარი პირსი (საფრანგეთი) 6:2, 6:0; **იმანუელი გალიარდი** (შვეიცარია) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 5:7, 6:4

მესამე წრე

**ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:4, 7:6 (7:5); **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — ჯილ კრეიბესი (აშშ) 6:0, 6:0

თუკი ეშტორილში თავმოყრილ ჩოგბურთელებს ჯიგრიანი ბურთაობა გრიგალმა და ქარბორბალამ არ დააცალა, ფლორიდულ ამელია აილენდის თიხნარზე შეკრებილი ქალები ატლანტისგალმური შხაპუნა წვიმებით ჩასველდნენ. მათი საქმეები ისე აეწყო, რომ ზოგიერთს და მათ შორის ეშხიან ელენა დოკიჩსაც, დღეში ორ-ორი მატჩის გამართვა მოუწევს.

ბედმა და ცამ ლამის მხოლოდ ვინუს უილიამსს გაუღიმა. ტურნირის მეპირველემა და მსოფლიოში მეორე ჩოგნის მჭნეველმა შავგოგომ მეოთხედფინალის მიჯნასთან რუსი ანასტასია მისკინა ჩამოიცილა, ოღონდაც ისე რომ საამისოდ კაი ძალღონის დახარჯვა მოუხდა.

უინტერესო და ცალკორტა გამოდგა დოკიჩისა და მარი პირსის სამეორწრეო შეხლა, რომელშიც სექსიუგმა ტანოვან ფრანგს მხოლოდ ორი გეიმი და 39 წუთი დაუთმო.

დღის კიდევ ერთ გასრულებულ შეხვედრაში არგენტინელმა პაოლა სუარესმა ამერიკელი ჯილ კრეიბასი დაანგრია. მეოთხედფინალში იგი სწორედ ვინუს უილიამსს შეხვდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ აქამდე მან ანა კურნიკოვასა და მეშვიდე ნომრად განთესილ მეგენ შონესს ფრიად უყოყმანოდ მოუგო, ხოლო მარტში აკაპულკოურ თიხნარზე ფინალშიც იასპარეზა, ვინუსს კიდევ ერთი საბოლარძუნო მატჩი უნდო ელოდოს.

**ლევან ძელაურაძე**

კასაბლანკა. თიხნარი
საპრიზო 400 ათასი $

**გილერმო კანასი** (1, არგენტინა) — ანდრესა (ბრაზილია) 7:6 (8:6), 6:4; **იუნეს ელ-აინაუი** (2, მაროკო) — მუნირ ლაარაჯი (მაროკო) 6:7 (4:7), 6:4, 6:2; **ჟულიენ ბუტე** (საფრანგეთი) — უეინ ართურსი (ავსტრალია) 6:4, 3:6, 6:3; **პოლ ანრი მატიო** (საფრანგეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:1, 7:5; **ანტონი დუპუი** (საფრანგეთი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:4, 7:5; **ატილა სავოლტი** (უნგრეთი) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 6:4



ელენა დოკიჩი


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23






**U 20 ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი**



აზერბაიჯანელთა შეტევას ანუ სუტი და კატერინა კოვერდალგი უმკლავდებიან

# ესტონელებმა აზერბაიჯანელებს რუსები შეურცხვინეს

12 აპრილი. სპორტის სასახლე

**ესტონეთი 3:2 აზერბაიჯანი**
**25:23, 16:25, 16:25, 25:16, 18:16**

**ესტონეთი:** გონჩაროვა, ტალვი, რააპი, პეერუტი, დევერე, სუტი, კოვერდალგი, კასელა, ტენისი, ტერასი (კაპ), მენგელი, ოტისი

**აზერბაიჯანი:** აბუმისლიმოვა, ტარაზუნოვა, აზდაროვა, პარხომენკო (კაპ), კორხოვა, სიმინიაგინა, აგაევა, ნურიევა, ასკეროვა, რასულოვა, დობროვოლსკაია, კოროტენკო

**მსაჯები:** ა. პისეცკი (ბელარუსი), ვ. პოდკოპაევი (უკრაინა)

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში 20-წლამდელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი დაიწყო. სპორტის სასახლეში შესვლა უფასოა კია, თუმც დარბაზის მხოლოდ მეოთხედი შეივსო. ქომაგს ალბათ, საქართველოს ნაკრების მეტოქეების ხილვა ნაკლებად აინტერესებდა და ემოციური მუხტი სადღეისოდ შემოინახა, როცა ქართველი გოგონები აზერბაიჯანელთა მომგებ ესტონელებს დაუპირისპირდებიან.

ვინც გუშინ სპორტის სასახლეში მივიდა, ნამდვილად არ წააგო. ქომაგობა ორად გაიყო. აღმოსავლეთით მსხდომნი მეზობლობის ხათრით აზერბაიჯანს გულშემატკივრობდნენ, დასავლელები კი ესტონელებს.

ფავორიტი აზერბაიჯანი იყო. ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს ჯიბეზე ხელი გაუკრავთ და რუსეთში დაბადებულ-გაზრდილი გოგოები გადაუბირებიათ. თან მათ ნაკრებს თვით ქვეყნის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი პატრონობს და მწვრთნელიც მისი მოგვარე დაუნიშნავთ. ესტონელებს კი მხოლოდ ერთი რუსულგვაროვანი მარინა გონჩაროვა აუყვანიათ. დანარჩენები ესტონელები არიან. მატჩის შემდგომ ბალტიისპირელები რუსულად დასმულ შეკითხვებს მშობლიურ ენაზე პასუხობდნენ. მათმა მწვრთნელმა კოა სკუინმა გვითხრა, ეგენი პრინციპულობას იჩენენ, თორემ რუსული როგორ არ იციანო.

თამაშს დაესწრო საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ნუგზარ მიქაძე. ქართველთა თავკაცი ბევრს ჩაინიშნავდა, რაკი მეტოქეებს მთელი არსენალის ჩვენება დასჭირდათ და გამარჯვებულის გამოსავლენად ხუთივე პარტია გახდა საჭირო. აზერბაიჯანის ნაკრებმა, როგორც ფავორიტმა, მძლავრად დაიწყო და ერთხანს 17:11 დაწინაურდა, მაგრამ ტანწერწეტა მარი ტერასის და ხორბლისფერკანიანი ქერა ანუ სუტის მელოზებით ესტებმა ჯერ გაათანაბრეს, მერე კი პირველი პარტია სათავისოდ დაასრულეს. მომდევნო ორი პარტია აზერბაიჯანელებისა იყო. იქამდე ჩრდილში მყოფმა ოლგა პარხომენკომ აიწყვიტა და მძლავრი დარტყმებით დაბომბა ესტონელთა მოედანი. ... ტანს ეშმაკური გადაგდებებიც ეხერხებოდა და რამდენჯერმე ოსტატურად გადაატარა ბურთი დასაფარებლად ამხტარ ესტონელებს. აზერთრუსის ნავარდი მესამე პარტიაში დასრულდა, როცა ესტებმა სამი დამფარებელი მიუჩინეს და ქანგბადი გადაუკეტეს. რაკი პარხომენკო ამოკეტეს, ბალტიისპირელმა ტანმაღალმა ოტისმა გაიჯეჯგილა. ესტონელებმა მეოთხე პარტია მოიგეს და ანგარიში გაათანაბრეს. მთავარი ამბები გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში დატრიალდა. ესტონელებმა თავიანთი კაპიტნის და იმედის მარი ტერასის და ანუ სუტის მოქნეული მარჯვენებით ჰეიდარ ალიევის ნალოლიავები გოგონების მოედანი მოაოხრეს და 12:4-ით დაწინაურდნენ. რადგან გადამწყვეტი პარტია 15 ქულამდე გრძელდებოდა, ესტონელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს. ესტონელთა სადაქალომ თავს და პარხომენკო-დობროვოლსკაიას დუეტს უფლება მისცა, რვა უპასუხო ბურთი ჩაეგდოთ და ანგარიში გათანაბრდა — 12:12. ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაში იყო და ნერვებისწყვეტა მანამდე გაგრძელდა, სანამ ანუ სუტმა მძლავრად არ დაჰკრა და აზერბაიჯანელთა ლიბერო სახტად დატოვა. ლიბეროს ამაო ნახტომი და ესტონელი გოგონების გამარჯვების ყიჟინა ერთი იყო. ბალტიისპირელმა ლამაზმანებმა ყმაწვილქართველობას ქომაგობისთვის ავტოგრაფებით და სამახსოვრო ფოტოებით გადაუხადეს მადლობა.

**ბაჩო სვანიძე**



აზერბაიჯანელებს წუთმისვენებები წყალში ჩაეყარათ

ოლიმპიზმი

# აქ რომ ბიჭები დაზრდილან...

## ჰაი, ჰაი, ქართლი ღირსია!

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა, პირველად არსებობის ისტორიაში, თბილისი დატოვა და სხდომა გორში შიდა ქართლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად გამართა.

პირველი გასვლითი სხდომის ადგილად გორი შემთხვევით არ აურჩევიათ. გორი და მთელი შიდა ქართლი სპორტში მუდამ სახელიანობდა. მართლაც, საქვეყნოდაა ცნობილი აქაურ სპორტსმენთა მიღწევები, მათ შორის მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ-პრიზიორების: ანზორ ქიბროწაშვილის, შოთა ჩოჩიშვილის, თემურ ხუბულურის, კობა კურტანიძის, გიორგი კანდელაკისა და სხვა მრავალთა მიღწევები.

სხდომაზე ისიც კი თქვეს, ამა თუ ქვეყნის ერთ რეგიონს კი არა, ბევრ სახელმწიფოს არა ჰყავს იმდენი ოლიმპიური ჩემპიონი, რამდენიც ჩვენ, ზოგისთვის კი ერთიც სანატრელიაო. ისიც აღნიშნეს, რომ აქაურ სპორტსმენთა დაოსტატებისთვის, დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, კვლავ წარმატებით საქმიანობენ ცნობილი მწვრთნელ-აღმზრდელები: გურამ პაპიტაშვილი, ნუგზარ სხიერელი, გივი ზაუტაშვილი, ლავრენტი კაციაშვილი და სხვები. საამისოდ მოწადინებულნი არიან შიდა ქართლის საზოგადოებრივი თუ სპორტული აქტივისტები და თავად საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში ირაკლი ბოჭორიძე და გორის საკრებულოს თავმჯდომარე, სეოკ-ის აღმასკომის წევრი შოთა ჩოჩიშვილი.

ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა ამ ერთობლივ სხდომაზე მათ და სხვა საზოგადოებრივ-სპორტულ მუშაკებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიპლომები საზეიმოდ გადასცა.

სხდომის დღის წესრიგით დაჯილდოების ცერემონიალის გარდა „შიდა ქართლის მხარეში 2002-2004 წლებში ოლიმპიური მოძრაობის, მაღალი მიღწევების სპორტისა და მასობრივი სპორტის („სპორტი ყველასთვის“) შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებზეც“ გაიმართა მსჯელობა, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ სეოკ-ის პრეზიდენტი და საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში, ბოლოს კი მიიღეს შესაბამისი დადგენილებაც.

**ავთანდილ მჭედლიშვილი**

# ჰაილეს კეთილი მუქარა

## ლონდონის მარათონს ვარსკვლავები გაანათებენ



ჰაილე გებრესილასიე დაფნის გვირგვინებს ნაზავვია

**შარშანდელზე** მეტი ელიტარული მორბენალი ლონდონის მარათონზე წლეულს ირბენს. საკმარისია, ჩამოვთვალოთ ხუთი და კვირას საერთაშორისო სპორტული არხების ყურება მოგინდებათ: ჰაილე გებრესილასიე, პოლ ტერგატი, აბდელკადერ ელ მუაზიზი, ანტონიო პინტუ და ხალიდ ხანუჩი.

ეთიოპი გებრესილასიე ყველა დროს საუკეთესო სტაიერად ითვლება. დაბადებიდან 28 წლის თავზე მან უკვე მოასწრო ორი ოლიმპიადის მოგება, 4 მსოფლიოს ჩემპიონატისა და 15 მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ამ საბუთებით ცხადი ხდება, რომ პატარა (ტანით) დიდი ჰაილე ლონდონშიც ფავორიტი იქნება და მისი წინასწარი გამონათქვამი მოწმობს, რომ ამბიციაც დიდი აქვს.

„დავიხმარ „კურდღლებს" და გზის შუაწელს 62 წუთში მივაღწევ" — განაცხადა მხნედ ჰაილემ, ოღონდ მერე შეასწორა, 62 წუთსა და 30 წამშიო. გებრესილასიეს მიმართ პატივისცემა გამოხატეს, მაგრამ არა თანხმობა, მაროკოელმა ელ მუაზიზმა და პორტუგალიელმა პინტუმ. ესენი ლონდონის მარათონზე დაიბადნენ, გაიზარდნენ და ცხოვრობდნენ. შარშან არაბმა გაიმარჯვა, შარშანწინ — პინტუმ, იმის წინ — ისევ ელ მუაზიზმა და ეს ორი პერსონა ჰაილე გებრესილასიეს მორიგეობით აფრთხილებს: ლონდონი რეკორდებზე ფიქრისთვის მოუხერხებელი ადგილიაო.

„ის არ იცნობს ტრასას — თქვა ელ მუაზიზმა — რომელიც ბევრი კუთხისა და აღმართ-დაღმართებისგან შედგება, რაც რბოლას აძნელებს. მე და პინტუს კი აქ ბევრი გვირბენია და საქმის კურსში ვართ".

გარდა ამისა, ელ მუაზიზმა შარშანდელი გაიხსენა, როცა ლონდონში დებიუტი ჰქონდა კენიელ ტერგატს, კროსში 5-გზის მსოფლიოს ჩემპიონს, რომელიც მას ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა. „ტერგატმა ვერ გაიმარჯვა, რატომ უნდა გაიმარჯვოს გებრესილასიემ?" — კითხულობს არაბი და მას პასუხობენ: „რატომაც არა". გებრესილასიეს პატიოსან კაცად იცნობენ, რომელიც სიტყვებს შოუსთვის არ ხარჯავს და, ალბათ, აქვს კიდეც რაღაცის იმედი, მაგრამ მარათონი მარათონია, სტატისტიკაც — სტატისტიკა და აი, ერთი ფაქტი: ბოლოს 42 კილომეტრი და 195 მეტრი გებრესილასიემ 15 წლისამ ირბინა. შეძლებს კი პირველსავე ცდაზე ამ საქმეში დალვინებულთა ძლევას და მით უფრო, მსოფლიოს რეკორდის დამხობას? იმ რეკორდისა, რომლის ავტორსაც ასევე ლონდონში ვიხილავთ. ხალიდ ხანუჩი მაროკოელი არაბია, რომელსაც ამერიკელი ცოლი ჰყავდა და მისი ხათრით თვითონაც იანკი გახდა. 2 საათი, 5 წუთი და 42 წამი სწორედ მისი საკუთრებაა და თუმც ბუქმეიკერები ხანუჩის შანსებს 10:1-ზე აფასებენ, რეკორდსმენის ჩამოწერა არ ეგების.

„ეთიოპი სირბილთან ჯვარნაწერია" — ამბობს ლონდონის მარათონის შარშანდელი გამარჯვებული დერარტუ ტულუ და ხვალის ქალთა განყოფილების მოგებას იქადნის.

**დავით გულუა**



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ათასით კაცი დაფასდა



REUTERS

ლოსანჯელესელმა ზიგმუნდ პალფიმ
ვანკუვერელ ედ ჟოვანოვსკის კინალამ თავზე დააბიჯა

11 აპრილი

**ვანკუვერი 5:2 ლოს ანჯელესი 1:0 1:1 3:1**
**1:0 ჩუბაროვი (11), 1:1 ელორანტა (23), 2:1 ბერტუცი (37), 3:1 ნესლუნდი (53), 4:1 ნესლუნდი (57), 4:2 დედმარში (58), 5:2 ნესლუნდი (60)**

ვინ არის მათი მთავარი მტერის ვინაობას მალე, ახლა შეიტყობენ დალასელები. მთელი ტეხასი გულისფანცქალით ელოდა ახალ ამბავს ვანკუვერიდან და ყველას მთელი არსებით ეწადა ლოსანჯელესელთა მოგება, მაგრამ მათი იმედები მარკუს ნესლუნდმა გააცრუა და 1999 წლის ჩემპიონის პირში ჩალა გამოავლო. შშვიდობით, პლეი ოფო! 53-ე წუთამდე იმედი ჯერ კიდევ ცოცხლობდა, როცა ვანკუვერის შვედი კაპიტანი შავ საქმეს (ცხადია, დალასისთვის) შეუდგა. მან მეტიუ შნეიდერის არაზუსტი პასი ჩაჭრა და ისე გაისროლა, ფელიქს პოტვინმა განძრევაც ვერ მოასწრო. ოთხი წუთის შემდეგ ნესლუნდის გარღვევა დაგვირგვინდა წარმატებით და ამას ბოლო წამებზე ცარიელ კარში გატანილიც დაუმატა. ნესლუნდის კარიერაში ეს მე-7 ჰეთ თრიქია, თანაც ბოლო 8 მატჩში შვედი უქულოდ არ ტოვებს მოედანს და 88 ქულით პრაქტიკულად გაინაღდა მეორე ადგილი ბომბარდირთა დავაში.

**ოტავა 4:0 ბოსტონი 0:0 2:0 2:0**
**1:0 ბრიუნე (5), 2:0 ბონკი (39), 3:0 ხარა (56), 4:0 პოისა (59)**

ორივე გუნდს თავი ქუდში (პლეი-ოფში) აქვს, მაგრამ ოტავას გაცილებით დიდი სტიმული ჰქონდა. მისმა თავკაცმა ჟაკ მარტენმა ფაის სახელოვან თანაშემწეს, 67 წლის როჯერ ნილსონს სცა პატივი და თავისი პოსტი გადააბარა ორ მატჩში, რათა მას ლიგაში მე-1000 თამაში ჩაეტარებინა მთავარი მწვრთნელის რანგში. მართალია, მე-1000 მომდევნო, ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა იქნება, მაგრამ 999-ეს ხომ არ გააფუჭებდნენ. ჰოდა, შეგირდებმაც ხალისიანი და ჯიგრიანი თამაშით გაახარეს მოხუცი დროებითი თავკაცი. საინტერესოა, რომ ნილსონი ამასთანავე ლიგაში პირველი მწვრთნელი შეიქნა, ვისაც 8 კლუბი გაუყვანია ყინულზე. 2000 წელს მან სიმსივნის ოპერაცია გაიკეთა და მაინც შეძლო მუშაობის გაგრძელება. ნილსონი ჭეშმარიტად ღირსეული კაცია და მოგებაც შესაფერისი უბოძეს.

**სენტ ლუისი 4:1 სან ხოსე 1:1 2:0 1:0**
**0:1 გრეივსი (9), 1:1 სტილმანი (11), 2:1 ტკაჩუკი (23), 3:1 სტილმანი (26), 4:1 ფერარო (43)**

სან ხოსემ წინა დღეს დაიბევა დივიზიონში პირველი ადგილი, სენტ ლუისს კი პლეი ოფის საგზური სჭირდებოდა და რა გასაკვირია, რომ სრიალში მთელი თავისი ჯიგარი ჩააყოლა. მასპინძლები აშკარად უკეთ იყვნენ მობილიზებულნი, კორი სტილმანმა კი ორი ულამაზესი გოლი გაიტანა. ევგენი ნაბოკოვი დაასვენეს, სან ხოსეს კარს მის ნაცვლად დუბლიორი მიიკა კიპრუსოფი იცავდა. სენტ ლუისი ზედიზედ 23-ე სეზონია, პლეი ოფში გადის.

**ნეშვილი 2:5 აილენდერსი 0:2 1:0 1:3**
**0:1 ისბისტერი (14), 0:2 მილერი (17), 1:2 სიმპსონი (32), 1:3 კვაში (41), 2:3 ერატი (43), 2:4 ჩერკავსკი (47), 2:5 პეკა (60)**

მხოლოდ ერთ დღეს დათმო აილენდერსმა აღმოსავლეთის მეექვსე ადგილი. ნეშვილთან მოგების შემდეგ ნიუიორკელები კვლავ სასურველ პოზიციაზე აღზევდნენ და ნიუ ჯერსი ჩააქვეითეს. მოგეხსენებათ, მეექვსეადგილოსანი კაროლინას შეხვდება, რაც ყველას ხელს აძლევს.

**სამველ ღარიბიანი**



# F1

მეოთხე ეტაპი **სან მარინოს დიდი პრიზი**

**ენცო და დინო ფერარების ტრასა**

*იმოლა, 14 აპრილი*




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . . . **4.933 კმ**
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . **62 წრე — 305.846 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 რ. შუმახერი (უილიამსი); 2 კულჰარდი (მაკლარენი); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 ჰაკინენი (მაკლარენი); 5 ტრული (ჯორდანი); 6 ფრენცენი (ჯორდანი)

**წრის რეკორდი:** 2001 — რ. შუმახერი (უილიამსი) 1:25.524 (207,6 კმ/სთ)

# მუხრუჭი ენასაც სჭირდება

**იმოლას** ავტოდრომზე რბოლის წინ სენსაციურ-მოულოდნელი ბევრი არაფერი მომხდარა. მთავარი ისაა, რომ კონტინენტიდან კონტინენტზე თვენახევრიანი წოწიალის შემდეგ „მოხეტიალე ცირკი" შინ, ევროპაში დაბრუნდა. 11-დან ათი გუნდი ხომ სწორედ „ბებერ" კონტინენტზე ბინადრობს. „სახლთან" ყველაზე ახლოს „სკუდერიაა", მანძილითაც და ისედაც, „იმოლა" ხომ „ფერარის" დამაარსებელ ენცო ფერარისა და ტრაგიკულად დაღუპული მისი ვაჟიშვილის დინოს სახელს ატარებს.

აქ წინა, ბრაზილიური ეტაპის მსგავსად საათის ისრის საწინააღმდეგოდ დაქრიან, რაც, როგორც ცნობილია, პილოტებს საკმაო უხერხულობას უქმნის. დევიდ კულჰარდი: „რბოლა განსხვავებული მიმართულებით, თანაც აღმართ-დაღმართიან გზაზე, გასწრების საშუალებასაც გვიზღუდავს და სხვა სირთულეებსაც გვიქმნის. ერთი სიტყვით, ეს ერთ-ერთი ურთულესი ევროპული ეტაპია". კულჰარდის მიერ სან პაულუში მოპოვებული მესამე ადგილით „მაკლარენის" ხელმძღვანელობა იმედიანადაა, რაკი იმოლაში ჰაერის ტემპერატურა გაცილებით ნაკლები იქნება, ეგებ უკეთესის შანსიც გვაქვსო.

უილიამსელი რალფ შუმახერიც დიდ გულზეა, მან ხომ თავისი პირველი დიდი პრიზი შარშან სწორედ „იმოლაზე" მოიგო და ახლაც არანაკლები წარმატების იმედი აქვს. ცნობისთვის, „უილიამსს" ყველაზე მეტი — რვა გამარჯვება დაუგროვდა, „მაკლარენს" — ექვსი, „ფერარის" — ოთხი. რუბენს ბარიკელოც რიხიანად აცხადებს: „სკუდერიის" ტრეკზე უახლესი „ფერარი F2002"-ით გამოვალ და მე ვიციო.

მათ ბაქიბუქში კი გუშინდელ ოფიციალურ ვარჯიშზე ორივე ცდა უსწრაფესად მიხაელ შუმახერმა გაიქროლა. მეორე-მესამე დრო ბარიკელოს და ჯანკარლო ფიზიკელას („ჯორდანი") ჰქონდათ.



REUTERS

გუშინ ორივე ცდისას საუკეთესო მიხაელ შუმახერი იყო

**ფლევანდელთა იმოლური მონაგარი**

| | | | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რბოლა | ვ/ფ | 92 | 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 98 | 99 | 00 | 01 | ქულა |
| მ. შუმახერი | 10 | 3 | — | II | I | — | II | II | II | I | I | — | 54 |
| კულჰარდი | 7 | 2 | | | | IV | — | — | I | II | III | II | 29 |
| ფრენცენი | 8 | 3 | | | — | VI | — | I | V | — | — | VI | 14 |
| ბარიკელო | 9 | 4 | | — | — | — | V | — | — | III | IV | III | 13 |
| ირვინი | 7 | 2 | | | | — | IV | III | III | — | — | — | 11 |
| რ. შუმახერი | 5 | 2 | | | | | | — | — | — | — | I | 10 |
| ვილნევი | 6 | 3 | | | | | — | — | IV | — | V | — | 5 |
| ფიზიკელა | 6 | 3 | | | | | — | IV | — | V | — | — | 5 |
| ტრული | 5 | 4 | | | | | | — | — | — | — | V | 2 |
| სალო | 6 | 4 | | | | — | — | — | — | — | VI | | 1 |
| პანი | 7 | 3 | | | — | — | — | — | — | — | | — | 0 |
| დე ლა როსა | 2 | 2 | | | | | | | | — | — | | 0 |
| ბატონი | 2 | 1 | | | | | | | | | — | — | 0 |
| ჰაიდფელდი | 2 | 1 | | | | | | | | | — | — | 0 |
| ბერნოლდი | 1 | — | | | | | | | | | | — | 0 |
| მონტოია | 1 | 1 | | | | | | | | | | — | 0 |
| რაიკონენი | 1 | 1 | | | | | | | | | | — | 0 |
| იონგი | — | — | | | | | | | | | | — | — |

შენიშვნა: ვ/ფ — ვერ მივიდა ფინიშამდე;
ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ქართული ხელბურთის ოქროს აპრილი

*ზუსტად 40 წელი გავიდა ჩვენი ხელბურთის პირველი უდიდესი წარმატებიდან. 1962 წლის აპრილი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის მატიანეში — თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდმა კაუნასის „სპორტჰალეში" ერთკვირიანი უმძაფრესი ბრძოლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მაშინ უმაღლეს მიღწევად სწორედ უზარმაზარი იმპერიის ჩემპიონობა ითვლებოდა, რადგან რესპუბლიკებს დამოუკიდებლად, ანუ თავის ნებაზე საერთაშორისო სარბიელზე გასვლის უფლება არ ჰქონდათ.*



გიორგი შარაშიძე

**ხელბურთი** საქართველოში გასული საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ, 1956 წელს შემოვიდა. ახალგაზრდობას ემოციური, აზარტული თამაში თავიდანვე მოეწონა და თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნა გუნდები. იმ დროს ევროპა ჯერ კიდევ მისდევდა ორ ხელბურთს: ერთი იყო სადღეისოდ ძნელად წარმოსადგენი „დიდი" ხელბურთი, რომელსაც 11-კაციანი გუნდები თამაშობდნენ საფეხბურთო მოედნებზე, მეორე კი „შვიდკაცა", რომელმაც თანდათან განდევნა კონკურენტი და ახლა „დიდი" უკვე აღარავის ახსოვს.

ჩვენებმაც უცებ აუღეს ალღო სიახლეს, უფრო ცოცხალ, სხარტ „შვიდეულზე" გადაერთვნენ და თბილისის „ბურევესტნიკმა" მალე წარმატებებსაც მიაღწია. რამდენიმე პროფკავშირულ-სტუდენტური შეჯიბრების შემდეგ პირველი საკავშირო ჩემპიონატის დროც დადგა და სწორედ აქ გამოიჩინეს თავი ქართველმა ახალგაზრდებმა.

საბჭოთა კავშირის ისტორიული და ამასთან უმოკლესი პირველობა 1962 წლის მარტ-აპრილში ჩატარდა, სულ რაღაც სამიოდ კვირაში. თავიდან იყო შესარჩევი ჯგუფური ტურნირები ოთხ ქალაქში 20 გუნდის მონაწილეობით. ერთ-ერთი ტური თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა. „ბურევესტნიკს" მეტოქეებად მოსკოვის „ტრუდი", ბაქოს „დინამო", ერევნის „სპარტაკი" და აშხაბადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდები ჰყავდა. ფინალურ ეტაპზე ორ-ორი საუკეთესო გადიოდა. ფავორიტებად მასპინძელი და მოსკოველი ხელბურთელები ითვლებოდნენ. მათ მიზნის მიღწევა არც გასჭირვებიათ, მაგრამ ერთმანეთში ფრით თავიდანვე გაირთულეს რვა ფინალისტთა მომავალ დავაში საპირველადგილო შანსი, რადგან უმთავრესმა კონკურენტებმა — ტირასპოლის გუნდმა და კაუნასის „ატლეტასმა" ბრძოლა მოგებებით დაიწყეს, თანაც დასკვნითი ტური ლიტველთა მოედანზე ტარდებოდა.

ჩვენებმა ფინალური ტურნირი მორიგი ფრით დაიწყეს. ვერაფრით შეძლეს უხეშობით გამორჩეულ კიეველ თანაკლუბელთა წინააღმდეგობის დაძლევა, მიუხედავად იმისა, რომ საფინალო სასტვენამდე ათიოდე წუთით ადრე ოთხი ბურთით იყვნენ წინ და უფრო დაიმძიმეს სატურნირო მდგომარეობა. მაგრამ სწორედ ამ მეორე უხეირო შედეგის მერე ჩვენმა ბიჭებმა „აიწყვიტეს" და ზედიზედ ოთხი მატჩის მოგებით მასპინძლებთან დასკვნითი შეხვედრის წინ ბოლოს და ბოლოს სატურნირო ცხრილის სათავეში ჩაუდგნენ. ტირასპოლი და კაუნასი თითო ქულით ჩამოგვრჩებოდნენ.

ცოდვა გამხელილი ჯობს და, როგორც თავად იმ ისტორიული ასპარეზობის მონაწილეები იხსენებენ, თბილისიდან მოკრძალებული მიზნით გამგზავრებულან — უმთავრესი საპრიზო სამეულში გასვლა იყო, პირველობაზე არავინ ფიქრობდაო. ეტყობა, იმავე აზრზე იდგა საკავშირო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობაც და ჩემპიონობის მთავარ კონდიდატად თავისიანებს, „ტრუდს" თვლიდა. აკი ამიტომაც მონიშნეს კალენდარში კარგა ხნით ადრე ტურნირის დამაგვირგვინებელ, ესე იგი, „ოქროს მატჩად" მოსკოველ და კიეველ ხელბურთელთა შეხვედრა. მაგრამ ორგანიზატორების ვარაუდი რეალობასთან ახლოსაც ვერ მოვიდა, რადგან პირველი ადგილის ბედი წინა თამაშში, თბილის — კაუნასის დაპირისპირებისას გადაწყდა, „ტრუდმა" კი წააგო და ჩემპიონობას ვინ ჩივის, სულაც სამეულის მიღმა აღმოჩნდა.

უმთავრესსაც მივადექით. ოქროს მედლებს ერთმანეთს ეცილებოდნენ „ატლეტასი" და პრესის მიერ „ქართულ გრიგალად", „იდეალურ შვიდეულად", „ყველაზე მონოლითურ გუნდად" მონათლული „ბურევესტნიკი". სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენებს ფრეც აძლევდათ ხელს, მაგრამ მოედანზე საყაიმო შედეგისთვის გასვლა ხომ უაზრობა იყო. თითქმის ათი ათასი ქომაგის მხურვალე მხარდაჭერით გამხნევებულმა მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და მალე საგრძნობლადაც დაწინაურდნენ — 6:2. თბილისელთა სასტარტო შვიდეული — ჯემალ აბაიშვილი, თამაზ ანთაძე, ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე, ბორის კოპალეიშვილი, გარი მაჭავარიანი და იმედო ფხაკაძე, აგრეთვე მერე მათ მხარდასაჭერად ბრძოლაში ჩაბმულები ლერი კარტოზია, თემურ ზარდალიშვილი, ილია შელეგია და არტურ რატიანიძე არ შედრკნენ და შუა ტაიმში გაათანაბრეს ანგარიში, თუმცა შესვენებისას მაინც კაუნასელები იყვნენ წინ — 11:10.

მეორე ტაიმში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. არაობიექტური მსაჯობის მიუხედავად, ქართველმა ხელბურთელებმა ზედიზედ რამდენიმე შედეგიანი ტყორცნის წყალობით საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე სამბურთიან უპირატესობას მიაღწიეს — 17:14. თითქოს საქმე მოთავებული ჩანდა, მაგრამ ახლა ლიტველებმა გამოიდეს თავი და ანგარიშიც მერამდენედ გაყაიმდა — 17:17. თამაშის ბოლომდე ხუთიოდე წუთი კიდევ რჩებოდა, ორივე მხარე გაფრთხილებით უტევდა, მაგრამ ვერც ერთმა ვეღარ მოახერხა წინ გასვლა და თბილისის „ბურევესტნიკი" სასურველ ფრეს დასჯერდა.

გუნდის კაპიტან ანთაძეს იქვე „სპორტჰალეში" გადასცეს უზარმაზარი საჩემპიონო თასი, თერთმეტივე ხელბურთელი კი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. „ბურევესტნიკი" აღიარეს ყველაზე კორექტულ გუნდად. ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი მოთამაშის პრიზი ცერცვაძემ დაიმსახურა, აბაიშვილი კი საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. საწყენია, რომ მენისკის ოპერაციის გამო შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღო გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ ჯანო ბაგრატიონმა.

იმ მართლაც დიდი გუნდის მწვრთნელი გიორგი შარაშიძე იყო. „გერმანიჩის" წინამძღოლობით „ბურევესტნიკმა" ორი წლის მერე მეორედ მოიპოვა ჩემპიონობა. ბატონი გიორგი ოთხი წელი საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც ედგა სათავეში და 1967 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში მეტად საპატიო მეოთხე ადგილზე გაიყვანა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შარაშიძესთან შეხვედრას და ინტერვიუს ვგეგმავდით, მაგრამ...

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენოსანი გიორგი შარაშიძე ორიოდ კვირის წინ 74 წლისა გამოეთხოვა წუთისოფელს. სამწუხაროდ, იმ შემადგენლობიდან კიდევ სამნი — ჯემალ აბაიშვილი, ლერი კარტოზია და ანზორ ექსეულიძე დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან.

**ზია ახალაძე**


იმედო ფხაკაძე, ბორის კოპალეიშვილი, გიორგი შარაშიძე, ანზორ ექსეულიძე და ჯემალ აბაიშვილი „ატლეტასთან" მატჩში შესვენებისას


40 წლის წინანდელი ტრიუმფის ფოტო — „ბურევესტნიკი" ჩემპიონის თასით (მარცხნიდან): ანზორ ექსეულიძე, ჯემალ ცერცვაძე, ბორის კოპალეიშვილი, თემურ ზარდალიშვილი, გარი მაჭავარიანი, ილია შელეგია, ლერი კარტოზია, იმედო ფხაკაძე, არტურ რატიანიძე, ჯემალ აბაიშვილი, თამაზ ანთაძე

სარბიელის არქივიდან

### „ბურევესტნიკის" მატჩები

**თბილისის ტურში:**

„ბურევესტნიკი" — სსი (აშხაბადი) 48:20
„ბურევესტნიკი" — „სპარტაკი" (ერევანი) 43:16
„ბურევესტნიკი" — „დინამო" (ბაქო) 20:16
„ბურევესტნიკი" — „ტრუდი" (მოსკოვი) 15:15

**ფინალურ ტურნირში:**

„ბურევესტნიკი" — „ბურევესტნიკი" (კიევი) 21:21
„ბურევესტნიკი" — „ბურევესტნიკი" (მინსკი) 31:25
„ბურევესტნიკი" — მვტუ (მოსკოვი) 24:14
„ბურევესტნიკი" — ტირასპოლის გუნდი 21:15
„ბურევესტნიკი" — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 29:15
„ბურევესტნიკი" — „ატლეტასი" (კაუნასი) 17:17

**1962 წლის ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბურევესტ. (თბ) | 7 | 4 | 3 | 0 | 154:122 | 11 |
| ტირასპოლი | 7 | 4 | 1 | 2 | 132:133 | 9 |
| ატლეტასი | 7 | 4 | 1 | 2 | 151:131 | 9 |
| ტრუდი | 7 | 3 | 2 | 2 | 140:113 | 8 |
| ბურევესტ. (კ) | 7 | 3 | 1 | 3 | 138:136 | 7 |
| ალუმინსტროი | 7 | 2 | 2 | 3 | 133:142 | 6 |
| ბურევესტ. (მნ) | 7 | 1 | 1 | 5 | 135:182 | 3 |
| მვტუ | 7 | 1 | 1 | 5 | 113:137 | 3 |

**ჩემპიონთა გოლები:**

ჯემალ ცერცვაძე — 51, თამაზ ანთაძე — 28, ბორის კოპალეიშვილი — 22, ანზორ ექსეულიძე — 17, გარი მაჭავარიანი — 13, იმედო ფხაკაძე — 12, თემურ ზარდალიშვილი — 5, ლერი კარტოზია — 4, ილია შელეგია — 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS მანჩესტერიდან

# ეჰ, ბექს...



REUTERS ლონდონიდან

ეზოში ყავარჯნებით ბორძიკი, ესღა დარჩენია დევიდ ბექემს უახლოესი თვენახევრის განმავლობაში. „მანჩესტერ“ — „დეპორტივოს“ მატჩში ფეხმოტეხილი ბექემი ლონდონშიც ვერ წავიდა, სადაც განთქმულ „ოდეონის“ კინოდარბაზში მის შესახებ გადაღებული ფილმის, „მოიქეცი ბექემივით“ პრემიერა იყო. ეს პუტკუნა ქალბატონი კი ამ ფილმის რეჟისორი გურინდერ ჩადჰა გახლავთ.

# NBAზეუმი

„ლეიკერსი“ მხოლოდ ლოს ანჯელესში როდი სახლობდა და არც მარტო 80-იანებში გრუხუნობდა. ეს დიადი კლუბი ჩრდილო ქალაქ მინეაპოლისში დაიბადა და სანამ წყნაროკეანისპირეთს მიაშურებდა, 1949-54 წლებში ხუთჯერ იჩემპიონა.

11 აპრილს მინეაპოლისის ამჟამინდელი ბინადარი „მინესოტა“ „ლეიკერსს“ ესტუმრა, „ლეიკერსის“ ლოსანჯელესელ ლეგენდათა მაისურებთან მინეაპოლისელ დიადთა გვარსახელის მიწერაც ამათ შორის ბურთაობის დიდი შესვენებისას გადაწყდა. აგერ შუამდგომი ლოსანჯელესელი ჯეიმს ვორსი (გადახრილ ლენინს რომ ჰგავს) მინეაპოლისელებს ვერნ მიკელსენს და კლაიდ ლოველეტს დარბაზის ჭერზე ამზირებს. ძველი „ლეიკერსის“ მთავარლეგენდა ჯორჯ მაიკენი ინვალიდის ეტლში ხარობს, შემდგომი „ლეიკერსის“ ასები ელჯინ ბეილორი და მეჯიქ ჯონსონიც შორიახლოს დგანან. ჩაკილა სურათის ოფიციალურ განმარტებას მოვრჩით, ჩვენი ნებით შევნიშნოთ, რომ „მინეაპოლის ლეიკერსის“ ბაბუები ფერად-თეთრები არიან, ლოსანჯელესელები კი შავგვრემანნი, რაც ნბა-ს ევოლუციას ერთხელაც გვახსენებს.








REUTERS ბანგკოკიდან

# ჭკუაში დაუჯდა

რა უნდა ქნას სტუდენტმა გოგონამ, რომელიც ტაილანდში მოგზაურობს? კანადელ სარა რევნს, რომელიც ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობს, გადაუწყვეტია კიკბოქსინგის სწავლაში გაატაროს არდადეგები. კიკბოქსინგი, ვინა ტაიკრივი, ვინა მუაი ტაი, ტაილანდელთა ეროვნული სპორტია და დედაქალაქ ბანგკოკში ყოველ ფეხის ნაბიჯზეა კიკბოქსინგის შემსწავლელი კლუბები, სადაც გამოცდილი ოსტატები საათში შვიდ დოლარად იქაური კრივის ანაბანას შეგასწავლიან. ჰოდა, სარასაც ჭკუაში დაჯდომია ეს ამბავი.



REUTERS ბანგკოკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge